

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიურ საბჭოს**

თსუ აკადემიური საბჭოს ღრმად პატივცემულო წევრებო,

გთხოვთ, თსუ აკადემიური საბჭოს უახლოეს სხდომაზე საბოლოოდ გადაწყვიტოთ უკვე მომავალი სემესტრიდან „**ბუნებრივი ენების ლოგიკისა და გამოთვლითი ენათმეცნიერების**“ სამაგისტრო პროგრამის საუნივერსიტეტო დაფუძნების (ე.ი. ამუშავების) საკითხი.

ამით უნივერსიტეტი დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეძლებს ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით დღეს არსებული სასწავლო ინტერესების დაკმაყოფილებას.

ამავე თხოვნით ჩვენ მივმართეთ თსუ რექტორს ა/წ 16 იანვარს (იხ. დანართი 1).

ცხადია, რომ უნივერსიტეტის უპირველესი ვალდებულებაა დააკმაყოფილოს თავისი წარჩინებული სტუდენტების (მაგისტრანტების) სასწავლო მიზნები, მით უფრო თუ ეს მიზნები განსაზღვრულია ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით!

უკვე ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ბ-ნ რექტორს ჩვენი არცერთი წერილი რეაგირების გარეშე არ დაუტოვებია და თითქმის ყველა (გარდა ორისა და ამ ორთან დაკავშირებითაც საბოლოო საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების გამოკვეთის პროცესი დღესაც მიმდინარეობს!) პასუხგაცემულია, მაშინ როდესაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ რ. ბოჭორიშვილისგან ამავე საკითხებზე ამავე ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე თითქმის ყველა ჩვენი მიმართვა უპასუხოდაა დატოვებული!

ის, რომ ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით დღეს უნივერსიტეტში მიმდინარე ჩვენი (კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ლ. აბზიანიძე, ს. მასხარაშვილი) მოძრაობა ასეთ მძაფრ კონფლიქტურ ფაზაშია შესული, განპირობებულია სწორედ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ/შ რ. ბოჭორიშვილის ზემოაღნიშნული ქცევებით, რითაც იგი სრულ იგნორირებას უკეთებს იმ საუნივერსიტეტო წესდებას, რომლის სამსახურშიც იმყოფება. – წინამდებარეს თან ვურთავთ მისი მხრიდან უპასუხოდ დატოვებული მიმართვების ნაწილს (და არა მარტო მათ) მცირე კომენტარებით (იხ დანართები 2-14).

პატივისცემით,  
ქართული ენის უფლებების დამცველი:

/კ. ფხაკაძე/

21 იანვარი, 2009 წელი.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს  
პროფესორ გიორგი ხუბუას**

ბ-ნო რექტორო, თქვენი მხარდაჭერითა და თსუ ხარისხის მართვის სამსახურის ორგანიზებით ა/წ 24 დეკემბერს თსუ ივ. ჯავახიშვილის სხდომათა დარბაზში შედგა „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და გამოთვლითი ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის წინასწარი პრეზენტაცია.

პრეზენტაციებისას ჩვენი მხრიდან (კ. ფხაკაძე, გ. ჩიჩუა, ს. მასხარაშვილი, ლ. აბზიანიძე) ხაზი გაესვა როგორც ამ სამაგისტრო პროგრამის და თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ მჭიდრო ურთიერთკავშირებს, ასევე ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნების პირდაპირ კავშირებს ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნულ მიზანთან.

პრეზენტაციების სადისკუსიო ნაწილს უძღვებოდა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ქ-ნი ი. დარჩია: **დისკუსიის არცერთ მონაწილეს არც გაკვრით, და არც ხაზგასმით ის, რომ ჩვენს მიერ არა ერთხელ გაკეთებული განაცხადი ქართული ენის წინაშე მდგარი საფრხეების შესახებ რეალურ საფუძვლებს მოკლებული პოპულიზმია, არ აღუნიშნავს. პირიქით, დისკუსიისას კიდევ ერთხელ დადასტურდა საკითხის აქტუალობა და მისი განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობები.**

დასასრულს ქ-ნმა ი. დარჩიამ საუნივერსიტეტო წესდების გათვალისწინებით დასახა პრობლემის გადაწყვეტის ორი შესაძლო ლეგიტიმური გზა: კერძოდ, აღინიშნა, რომ კონფლიქტური სიტუაციების შემთხვევაში თსუ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება სავალდებულო სტატუსით იღჭურვება საფაკულტეტო საფეხურის სტრუქტურებთან მიმართებაში. ამასთან, საკითხის თსუ აკადემიური საბჭოს სხდომაზე გატანამდე გამართლებულად მიიჩნია სამაგისტრო პროგრამის სარეცენზიოდ გადაგზავნა თსუ ჰუმანიტარულ და თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე.

ბ-ნო რექტორო, გთხოვთ, საკითხთა საბოლოო გადაწყვეტის მიზნით უახლოეს მომავალში დანიშნოთ თსუ აკადემიური საბჭოს სხდომა, რათა სამაგისტრო პროგრამის ამუშავების საკითხი გადაწყდეს უკვე მომავალი სემესტრიდან, რითაც უნივერსიტეტი სამწლიანი დავვიანებით, მაგრამ მაინც შეძლებს მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით არსებული სასწავლო მიზნებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას. ამასთან, აკადემიური საბჭოს სხდომაზე ჩვენ:

1. პასუხს გავცემთ „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და გამოთვლითი ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის მხრიდან შემოსულ სტანდარტულ შეფასებაში არსებულ იმ საქმიან, თუმცა კი არაარსებით, ანუ ტექნიკური ხასიათის შენიშვნებს, რომელთაგან ნაწილი, ბუნებრივია, გათვალისწინებულიც იქნება სამაგისტრო პროგრამის საბოლოო სახის ფორმირებისას.

**კომენტარი:** ამასთან, რადგან თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ნაცვლად სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული შეფასებისა წარუდგინა მხოლოდ მოხსენებითი ბარათი, ზემოაღნიშნულ აკადემიური საბჭოს სხდომაზე ჩვენ ამ მოხსენებით ბარათსაც მივცემთ შეფასებას, რომელიც, წინასწარვე გეტყვით, იქნება მეტად მკაცრი, თუმცა კი ფაქტობრივ არგუმენტირებული და ამდენად დასაბუთებული: მანამდე კი მხოლოდ ერთი შენიშვნა მათი მოხსენებითი ბარათის ძირითადი ნაწილის თაობაზე, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

**(ციტატის დასაწყისი)**

„მოსმენილ იქნა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის, ასოც. პროფ. გ. ქუთელიას და პროფესორ თ. ვაშაყმაძის ინფორმაცია კ. ფხაკაძის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მოწყობილი განხილვის შედეგების შესახებ და განხილულ იქნა საკუთრივ პროგრამა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ყველა დამსწრემ. მსჯელობის შედეგად ერთსულოვნად მიღებულ იქნა შემდეგი დასკვნა:

- გამოთვლითი ენათმეცნიერება (Computational Linguistics) სპეციალისტების მიერ განიხილება, როგორც ხელოვნური ინტელექტის ან (გამოყენებითი) ლინგვისტიკის ან როგორც ინტერდისციპლინალური დარგი, და არა – მათემატიკის.“

**(ციტატის დასასრული)**

ბ-ნო რექტორო, მათ შესაფასებელი ჰქონდათ სამაგისტრო პროგრამა, რომლის დასახელებაა „ბუნებრივი ენების ლოგიკა და გამოთვლითი ენათმეცნიერება“. ისინი კი, რატომღაც, ბუნებრივი ენების ლოგიკას ივიწყებენ და მასზე არაფერს ამბობენ. არადა ეს სამეცნიერო ხაზი, რომელიც მონტეგეიუსეული ლოგიკურ-ლინგვისტური კვლევების შემდგომი განვითარების საფუძველზე ჩამოყალიბდა, თავიდან ბოლომდე მათემატიკურია! - ქვემოთ მომყავს ციტატა აკად. თ. გამყრელიძის სახელმძღვანელოდან „თეორიული ენათმეცნიერების საფუძვლები“.

**(ციტატის დასაწყისი)**

„რიჩარდ მონტეგეიუს შრომებმა საკმაო გავლენა მოახდინა მათემატიკური ლოგიკის თეორიის განვითარებაზე და მათ გარკვეულ წილად ეყრდნობიან ლინგვისტიკის. მაგრამ როგორც ლოგიკოსები, ისე ლინგვისტები ყოველთვის ერთხმად აღნიშნავენ ამ თეორიის წმინდა მათემატიკურ ხასიათს“ (გვ. 334)

**(ციტატის დასასრული)**

გარდა ამისა, ამ საკითხთან დაკავშირებით ხაზგასასმელია ისიც, რომ 2007 წლის 22 მაისს რ. ბოჭორიშვილს ერთობლივად მიმართა ჩვენმა ჯგუფმა და ენათმეცნიერების ინსტიტუტმა. ამ მიმართვით ჩვენ მას შეძლევს ვთხოვდით:

**(ციტატის დასაწყისი)**

„გთხოვთ წინმსწრებ რეჟიმში, როგორც ეს ხდება ხოლმე საზოგადოდ, განიხილოთ და დადებითად გადაწყვიტოთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის ჩამოყალიბების საკითხი“. ... საკითხის ასეთი წინმსწრები პრინციპული გადაწყვეტა ამ საკითხით დაკავებულ ჯგუფს (თსუ „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ჯგუფი“, ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი) საშუალებას მისცემს შემდგომი სასწავლო წლისთვის სტუდენტებს ადგილობრივი პირობებისა და ამ სფეროში დღეს არსებული საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით შესთავაზოს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო ხაზის მაქსიმალურად ოპტიმალური განაწილება“.

**(ციტატის დასასრული)**

ამავე სამაგისტრო პროგრამის საკითხს ეხებოდა აგრეთვე ჩემი 2007 წლის 28 მაისს გაკეთებული №27 მიმართვა. – ხომ სრულიად ნათელია, რომ რ. ბოჭორიშვილის მხრიდან ჩვენი ამ ორი წლის წინანდელი ინიციატივის უყურადღებოდ არ დატოვების შემთხვევაში დღეს უნივერსიტეტში ქართული ენის ბედ-იღბალთან დაკავშირებული საკითხები ასეთ კონფლიქტურ ვითარებაში არ ჩადგებოდა და არც ბუნებრივი ენების ლოგიკის სპეციალიზაცია არჩეული ქართველი სტუდენტების პირველი თაობის სასწავლო საუნივერსიტეტო უფლებები ისე უხეშად არ დაირღვეოდა, როგორც ეს სამწუხაროდ უკვე მოხდა.

ამდენად, გასაგებია, რომ თსუ აკადემიური საბჭოს მიერ „ბუნებრივი ენების ლოგიკის და გამოთვლითი ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის დამტკიცების შემთხვევაში უნივერსიტეტი, ერთი მხრივ, ნაბიჯს გადადგამს ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების ნიველირების მიმართულებით და, მეორე მხრივ, ნაწილობრივ მაინც შეამსუბუქებს იმ სტუდენტების უარყოფით განწყობებს, რომლებმაც რ. ბოჭორიშვილისეული არასაუნივერსიტეტო ქცევების შედეგად უკვე არჩეული საუნივერსიტეტო სპეციალობით თავ-თავიანთი საუნივერსიტეტო განათლების გასრულების შესაძლებლობა დაკარგეს.

2. წარმოვადგენთ აგრეთვე „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და გამოთვლითი ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამასთან უშუალო კავშირში მყოფ თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების ფარგლებში ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ხმით მართვადი ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნით წარმოებული კვლევების შედეგებს და დეტალურად მიმოვიხილავთ იმ ამოცანებს, რითაც დაკავდება „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია. – ეს ყველაფერი, ცხადია, გარდა სამაგისტრო პროგრამის საკითხის გადაწყვეტისა წაადგება 2007 წლის 22 ივნისის, 2007 წლის 24 დეკემბრისა და 2008 წლის 29 დეკემბრის მომართვებით წამოჭრილი „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო

ლაბორატორიის ფორმირების საკითხის გადაწყვეტას ქართული ენისა და, შესაბამისად, ქართველი ერის სამომავლო ინტერესების გათვალისწინებით.

**კომენტარი:** ხაზგასასმელია, რომ ზემოხსენებული შედეგების პრეზენტაციების მიზნით რ. ბოჭორიშვილს პირველად 2007 წლის 22 მაისს მიემართე, მეორედ 2007 წლის 5 ივლისს, მესამედ 2007 წლის 29 ნოემბერს, მეოთხედ 2008 წლის 27 თებერვალს, მეხუთედ 2008 წლის 14 მარტს, მეექვსედ 2008 წლის 6 ნოემბერს, თუმცა კი უშედეგოდ! – ანუ, მიუხედავად იმისა, რომ რ. ბოჭორიშვილს თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში უწყვეტლევ ვთხოვდი მოეცა საშუალება ჩემი და ჩემი ჯგუფის შედეგების საფაკულტეტო პრეზენტაციებისა, მე არა თუ ეს ვერ შეეძლო, ვერც ის მოგახერხე წერილობით ეპასუხნა, თუ რატომ ბლოკავდა, ერთი მხრივ, ასე ადვილად გასაკეთებელ საფაკულტეტო ღონისძიებას და, მეორე მხრივ, ასე საჭიროს!

3. წარმოვადგინო ჩვენეულ ხედვას უნივერსიტეტში იმ აუცილებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რაც გამომდინარე ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეებიდან გადადებას არ ექვემდებარება.

**კომენტარი:** ბატონო რექტორო, ნაშრომი სათაურით „ცისფერი მთები“ ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! – ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად“, რომელსაც თქვენ უკვე იცნობთ, სანამ თქვენამდე მოვიდოდა 4 თვის განმავლობაში რ. ბოჭორიშვილს მაგიდაზე ედო და ოთხი თვის განმავლობაში ვთხოვდი მას, რომ მისი და იმ პროფესორების მონაწილეობით, რომლებმაც ზემოაღნიშნული სამარცხვინო საუნივერსიტეტო პრეცედენტი დაუშვეს, ფაკულტეტზე შემდგარიყო თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ განხილვა, ოღონდ ამჯერად უკვე ამ მიზნობრივი პროგრამის მონაწილეობით! – მხოლოდ იმის გამო, რომ რ. ბოჭორიშვილთან მე ესეც კი ვერ შეეძლო, საკითხებმა 2007 წლის 24 დეკემბერს მთელი სიმძაფრით თქვენსკენ გადმოინაცვლა.

ამას რაც მოყვა თავადაც მოგეხსენებათ. და დღეს ვართ იქ, სადაც ვართ! – ის, რომ მე არა ვარ დაინტერესებული საკითხის პოლიტიზირებით და არც უნივერსიტეტიდან მისი კონფლიქტურად გატანით ადრეც არაერთხელ აღმინიშნავს.

არც იმას დაგიმალავთ, რომ ქ-ნ ი. დარჩიასთან ამ საკითხის გასწვრივ საუბრებიდან გამომდინარე, მაქვს იმედი, რომ იგი სულ ახლო მომავალში უნივერსიტეტშივე გადაწყდება და თანაც დადებითად.

თუმცა, იმასაც მოგახსენებთ, რომ თუ ეს ასე არ მოხდა, მე უნივერსიტეტის შიგნით ამ მიზნებით ერთ სრულ წრეზე მეტი მაქვს უკვე გავლილი და შემდგომ წრეებზე სიარულს არა თუ აღარ ვაპირებ, არამედ ამას ჩვენი მეტად მნიშვნელოვანი მიზნებისათვის საზიანოდ მივიჩნევ.

ანუ, უფრო გასაგები რომ გავხადო ის, თუ რას ვთვლი მე საკითხის დადებით გადაწყვეტად, ამ მომართვას დავამთავრებ იმით, რითაც ვამთავრებდი ნაშრომს სათაურით „ცისფერი მთები“ ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! – ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად“, რომლითაც მე ჯერ კიდევ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანს რ. ბოჭორიშვილს მივმართავდი:

**(ციტატის დასაწყისი)**

„ამ ნაშრომის ამ დასკვნით თავში დაყენებულ კითხვაზე ამ ეტაპობრივ ამომწურავ პასუხს შემდეგი ორი გზიდან გასაკეთებელი ის საუნივერსიტეტო არჩევანი მოგვცემს, რომელიც ჯერ კიდევ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს კომპეტენციის ფარგლებშია: პირველი გზა: ფაკულტეტი ამბობს, რომ ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური მანქანების კონსტრუირებისა და ბუნებრივი ენების სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიების უკვე გლობალურად მიმდინარე პროცესების მიუხედავად არანაირი საფრთხე ქართულ ენას არ ემუქრება და რომ, შესაბამისად, ქართული ინტელექტუალური მანქანის კონსტრუირებისა და ქართული ენის სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიების მიზნით ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის ფორმირების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს; ანდა, მეორე გზა: უნივერსიტეტი ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური მანქანებისა და ბუნებრივი ენების სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიების დღეს გლობალურად მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით ადასტურებს ქართული ენის წინაშე არსებული საფრთხეების რეალობას და, ისევე, როგორც ეს იყო რეფორმამდე, რეფორმირებული უნივერსიტეტიც მიზნობრივ პირობებში აყენებს ქართული ენისა და ქართულენობრივი აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის ფორმირების მიზნით უნივერსიტეტშივე დაწყებულ მოძრაობას, რითაც იგი

ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნებისთვის წარმოებული ამ მნიშვნელოვანი მოძრაობის თანამონაწილე და თანაპასუხისმგებელი ხდება!  
(ციტატის დასასრული)

პატივისცემით,

ქართული ენის, ლოგიკისა და გამოთვლელის ღია ინსტიტუტისა ([www.gllc.ge](http://www.gllc.ge)) და  
თსუ მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი  
მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი

/კ. ფხაკაძე/

**მინაწერი:** ბ-ნო რექტორო, უკვე ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე თქვენ ჩვენი არცერთი წერილი რეაგირების გარეშე არ დაგიტოვებიათ, მაშინ როდესაც რ. ბოჭორიშვილისგან ამავე ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე არცერთ წერილზე არც პასუხი მიგვიღია და არც რაიმე დადებითი რეაგირება! – მიუხედავად ამისა, ბ-ნო რექტორო, ჩვენ მზად ვართ აკადემიურ საბჭოზე საკითხის მომზადებულად გატანის მიზნით ბ-ნ რ. ბოჭორიშვილთან თქვენი თანდასწრებით მშვიდ, აკადემიურ ვითარებაში გასასაუბრებლად. – ეს ბუნებრივია ხელს შევიწყობთ საქმის გარშემო უფრო ნათელი სურათის ჩამოყალიბებაში. ამასთან, ჩვენ მზად ვართ წამოგვევით საკითხის კომპრომისული გადაწყვეტების გზების ძიებაში. მაგრამ, ცხადია, ეს არა იმ ეროვნული მიზნების საზიანოდ, რომელთა აქტუალობაში საბედნიეროდ ეჭვი მგონი არც არავის ეპარება.

16 იანვარი, 2009 წელი.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,  
ბატონ რამაზ ბოჭორიშვილს**

გთხოვთ, წინმსწრებ რეჟიმში, როგორც ეს ხდება ხოლმე საზოგადოდ, განიხილოთ და დადებითად გადაწყვიტოთ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის ჩამოყალიბების საკითხი.

ასეთი სამაგისტრო პროგრამის არსებობა აუცილებელია ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების, ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების, თსუ მიზნობრივი პროგრამით „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ განსაზღვრული ამოცანების გადაჭრისა და კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული დასავლური სასწავლო სისტემის წარმატებული დანერგვის უმნიშვნელოვანეს მიზანთა ჭრილში.

ამასთან, სრულიად ნათელია, რომ ბუნებრივი ენების სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიზირების, ანუ ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური მანქანების კონსტრუირების მიზნით დღეს მსოფლიოში სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარე სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ტექნოლოგიური პროცესების ფონზე ასეთ სამაგისტრო პროგრამაზე უარის თქმა ქართული ენის სამომავლო არადაკნინებულ არსებობაზე უარის თქმას ნიშნავს.

გარდა ამისა, ნათელია ისიც, რომ საკითხის ასეთი წინმსწრები პრინციპული გადაწყვეტა ამ საკითხით დაკავებულ ჯგუფს (თსუ „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ჯგუფი“, ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტი) საშუალებას მისცემს შემდგომი სასწავლო წლისათვის სტუდენტებს ადგილობრივი პირობებისა და ამ სფეროში დღეს არსებული საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით შესთავაზოს სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო ხაზის მაქსიმალურად ოპტიმალური განაწერი. – იმის ხაზგასმა, რომ ახალი სამეცნიერო მიმართულების დაფუძნება ყოველთვის განსაკუთრებული და სპეციფიკური სირთულეებით ხასიათდება, ზედმეტად მიგვაჩნია.

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის  
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი /ლ. ეზუგბაია/

არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის  
დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი /მ. მანჯგალაძე/

„ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფისა“  
და თსუ მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული  
პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ  
ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელი /კ. გაბუნია/

„ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფისა“  
და თსუ მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული  
პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ  
ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელი /გ. ჩიჩუა/  
„ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფისა“

და თსუ მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი

/კ. ფხაკაძე/

არაფორმალური სტუდენტური ორგანიზაციის „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ მმართველი საბჭოს თავმჯდომარე

/ს. მასხარაშვილი/

არაფორმალური სტუდენტური ორგანიზაციის „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ მმართველი საბჭოს მდივანი

/ნ. ლაბაძე/

არაფორმალური სტუდენტური ორგანიზაციის „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ მმართველი საბჭოს წევრი

/ლ. აბზიანიძე/

არაფორმალური სტუდენტური ორგანიზაციის „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ მმართველი საბჭოს წევრი

/ნ. ვახანია/

არაფორმალური სტუდენტური ორგანიზაციის „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ მმართველი საბჭოს წევრი

/ნ. ფხაკაძე/

არაფორმალური სტუდენტური ორგანიზაციის „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფის“ მმართველი საბჭოს წევრი

/ბ. ჩიქვინიძე/

კომენტარი: ხომ სრულიად ნათელია, რომ რ. ბოჭორიშვილის მხრიდან ჩვენი ამ ორი წლის წინანდელი ინიციატივის უწყურადღებოდ არ დატოვების შემთხვევაში დღეს უნივერსიტეტში ქართული ენის ბედ-იღბალთან დაკავშირებული საკითხები ასეთ კონფლიქტურ ვითარებაში არ ჩადგებოდა და არც ბუნებრივი ენების ლოგიკის სპეციალიზაცია არჩეული ქართველი სტუდენტების პირველი თაობის სასწავლო საუნივერსიტეტო უფლებები ისე უხეშად არ დაირღვეოდა, როგორც ეს სამწუხაროდ უკვე მოხდა.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
სამეცნიერო სემინარის კოლეგიის ხელმძღვანელს,  
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს**

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სემინარის კოლეგიას მივმართავ თხოვნით სემინარზე დასაშვებად განიხილოს მოხსენება: **ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ.** (მომხსენებელი ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან არსებული „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფის“, თსუ „ლოგიკა, ენა, გამოთვლელი“ სემინარისა და თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალის – „ქართული ენა და ლოგიკა“ – მთავარი რედაქტორი, თსუ მკვლევარი, ფ.მ.კ., კ. ფხაკაძე.)

**სასემინარო მოხსენების ანოტაცია:**

თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით „ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფში“ ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევების ძირითადი შედეგი ისაა, რომ უკვე შემუშავებულია ქართული ენის მათემატიკური თეორიის, ანუ, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის სასაფუძვლო საკითხების ძირითადი ნაწილი.

**ქართული ენის მათემატიკური თეორიის, ანუ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევების უკვე მიღწეული შედეგების შესახებ:**

1. ზოგადმათემატიკური ენობრივი მიდგომების საფუძველზე შემუშავდა ქართული ენის პირდაპირი ფორმალურ-ლოგიკური აღწერის სრულიად ახალი მეთოდი. განისაზღვრა წინარე ზმნური სემანტიკური ერთეულის, ლოგიკური ბრუნებისა და ლინგვისტური მიმართების ფუნდამენტური ცნებები და ალფაბეტურად გაიწერა ქართული წერითი, ზეპირი და აზრითი ენების ბირთვული ნაწილის სიმრავლური მოდელი. ამასთან, გადაწყვეტილია მარტივი თხრობითი წინადადებების მათემატიკურ ენაზე ავტომატური თარგმნის, ანუ, რაც იგივეა, ქართულ აზრით ენაზე ალგორითმული დაყვანის პრობლემა. გარდა ამისა, ზოგადინდოევროპული მიდგომებისაგან განსხვავებით დასაბუთდა, რომ ქართულ ენაში მარტივი მსჯელობის შემადგენელ ნაწილებად არისტოტელესეული სუბიექტის, კოპოლასა და პრედიკატის ნაცვლად განხილულ უნდა იქნეს ამ მსჯელობის ამგები ლინგვისტური პრედიკატი და ის სამსჯელო სახელები, რომლებზედაც ამ პრედიკატით შეტყობინება გვეწოდება. ამ კვლევების შედეგად დასაბუთდა ქართული და ფრეგე-ფხაკაძისეული ფორმალურად განვითარებადი მათემატიკური ენების ზოგადი ერთტიპობრიობა. ამავე კვლევებით დასაბუთდა, რომ ქართული ენის რეფორმალიზების, ანუ ქართული ენის სრული მათემატიკური დაფუძნების პრობლემა თითქმის მთელი მოცულობით დაიყვანება აზრობრივად ნაგულისხმევი და წერითი და ზეპირი მეტყველებისას გამოტოვებული ფრჩხილების აღდგენის პრობლემაზე. – **აღნიშნულნი უმნიშვნელოვანესი მსოფლმხედველობითი და ტექნოლოგიური დატვირთვების მქონე შედეგებია. დასაბუთდა, რომ ამ სამეცნიერო სფეროში ქართველი სპეციალისტების არ არსებობა ართულებს ამ შედეგების სიღრმისეული მნიშვნელობებისა და დატვირთვების გაგებასა და შეფასებას. ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ შედეგების სიღრმისეულ გააზრებასა და ექსპერტიზებას ვერც ამ დარგის უცხოელი ექსპერტები ვერ ახერხებენ, რაშიც მათ ხელს უშლის ქართული ენისათვის დამახასიათებელი და მათთვის მიუწვდომელი ბუნებრივი თავისებურებები.**

2. წარმოებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ქართულ ენაში არაკვანტორული სახელური ფრაზით მოგვეცემა ან ამ ფრაზით გააზრებადი სიმრავლე, ან ამ სიმრავლეზე განსაზღვრული ცვლადი, ან ამავე სიმრავლეზე განსაზღვრული კონსტანტა და რომ ქართულ ენაში სახელური კვანტორული ფრაზები ხასიათდებიან საოპერაციო არაკვანტორული სახელური ფრაზებით აზროვნებაში მოცემულ



ამ ან ცვლადურ, ან კონსტანტურ სახელურ ფრაზებზე ოპერირებით. ამასთან, ეს ოპერირება შედეგად იძლევა ამგვარად წარმოებული კვანტორული სახელური ფრაზით გააზრებად სიმრავლეზე განსაზღვრულ ან უნივერსალურ, ან ეგზისტენციალურ კვანტორულ სახელს. გარდა ამისა, ქართულ ენაში ერთმანეთისაგან განირჩა  $\forall$ -ტიპისა და  $\exists$ -ტიპის მარტივი, შესაბამისად რთული, კვანტორული სიტყვები. ამასთან, სახელური კვანტორული სიტყვა გაიგება მარტივ, შესაბამისად რთულ, კვანტორულ სიტყვად იმისდა მიხედვით, იგი ინარჩუნებს, თუ გარდაქმნის საოპერაციო სახელური ფრაზით აზრობრივად მოცემულ სიმრავლეს. – ამით საფუძვლები ჩაყარა ქართული ენის ე.წ. კვანტორული სიტყვების მათემატიკურ თეორიას. საზგასმით აღვნიშნავ, რომ კლასიკური ენათმეცნიერული კვლევებისას ამ რთული ლოგიკური ბუნების მქონე სიტყვებს არასწორად აკლასიფიცირებდნენ და მათ რიგ შემთხვევებში ნაცვალსახელებად, რიგ შემთხვევებში კი უარმყოფელ ნაწილაკებად იაზრებდნენ. ამით არის განპირობებული ის, რომ ქართულ ენაში საერთო შეთანხმებების სახით დღემდე არ არის ნორმირებული მათი კვანტორული ენობრივ-ლოგიკური ფუნქციონირება, რაც, ბუნებრივია, არსებითად უშლის ხელს საქართველოში კრიტიკული აზროვნებისა და ზოგადი მსჯელობითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ტრადიციული დასავლური საგანმანათლებლო სისტემის წარმატებულ დანერგვას.

3. დასაბუთდა, რომ ქართული ენის მარტივი წინადადებები არაგააზრებადია  $t, f$  ჭეშმარიტული მნიშვნელობების,  $=$  (ტოლობის) ორადგილიანი პრედიკატის,  $\neg, \wedge, \vee$ , ლოგიკური კავშირების, ცვლადისა და კონსტანტის ძირეული ცნებების,  $\exists$ (არსებობისა),  $\forall$ (ზოგადობის),  $\tau$ (ამორჩევის),  $(-/-)$ (ჩასმის) კვანტორული ნიშნების,  $\cap, \cup, \supset, \in$  სიმრავლური ოპერაციებისა და სასაფუძვლო ხასიათის მათემატიკური, ალბათური, გეომეტრიული და ფიზიკური კონცეპტების გარეშე. – ქართული ენისათვის ეს სრულიად ახალი ხედვები ეხმიანება და ერთგვარად აზუსტებს კიდევ ენისა და აზროვნების ფილოსოფიის ფარგლებში იმ უკვე გამოკვეთილ თვალსაზრისებს, რომლებიც სწავლისათვის აუცილებელი ენობრივი და რაოდენობრივი მსჯელობითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო სტრატეგიების მსოფლმხედველობით საფუძვლებშია.

4. ქართული ენის საფუძველზე მათემატიკურად გადააზრდა სიტყვის ცნება. ამ მიდგომებით დაიძებნა ქართულ ენაში ბუნებრივად არსებული და აქამდე უცნობი სინტაქსური კავშირები და მათემატიკური ფორმულების სახით აღიწერა ისინი. ამ შედეგების საფუძველზე ქართულ ენაში ფორმალური თვალსაზრისებით გადააზრდა წინადადების საკითხი. დადგინდა ბრუნვის ნიშნების მათემატიკური ფუნქციები. ამასთან, გაირკვა, რომ ქართულ ენაში ზედსართავ სახელებს მხოლოდ სამი ბრუნვითი ფორმა აქვთ და რომ ზედსართავი სახელების სხვადასხვა მორფოლოგიური ბრუნვითი ფორმები შემამოკლებელი სიტყვებია. ქართულ აზრით ენაში დაიძებნა არსებითი და ზედსართავი სახელების ენობრივ-მათემატიკური შესატყვისები. მათემატიკური თვალსაზრისებით გადააზრდა უღლების ლინგვისტური კატეგორია. დადგინდა ქართულ და ინდოევროპულ უღლებებს შორის არსებული პრინციპული განსხვავებები. რიცხვითი თვალსაზრისებით ამომწურავად დაკლასიფიცირდა ქართული ზმნის სხვადასხვა უღლებითი ფორმები. გამოიყო ვ-ვარ ტიპის პირის ნიშანი და განისაზღვრა პირის ნიშნების მათემატიკური ფუნქციები. მათემატიკური თვალსაზრისებით გადააზრდა გვარის კატეგორია. განისაზღვრა ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვებისა და ინტეგრატორების ცნება და დამტკიცდა, რომ ინტეგრატორები შემამოკლებელი სიმბოლოებია, ხოლო ინტეგრალური გაგების ზმნური სიტყვები კი - შემამოკლებელი ფორმები. წინასწარი სახით მოიხაზა ქართული ენის დროითი წესრიგის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხები, შემუშავდა ქართული ენის ლოგიკის, ქართულ ენაში ენობრივ-ლოგიკური განტოლებებისა და ბუნებრივი გამოყვანების მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხები. პროფ. შ. ფხაკაძისეული აღნიშვნათა თეორიით განსაზღვრული მიდგომების საფუძველზე მოიხაზა ქართული ენის სრული სემანტიკური კვლევის სრულიად ახალი პროგრამა, რომელიც სასაფუძვლოდ ეყრდნობა ენობრივი ნიშნის ჩემს მიერვე შემუშავებულ ახალ გაგებას. – ეს შედეგები სასაფუძვლო მნიშვნელობისაა ქართული ენის სრული მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზანთა ჭრილში. – ნათელია, რომ ქართული ენის სრული მათემატიკური თეორიის არარსებობის პირობებში თავისუფლად ურთიერთობადი და აზროვნებითი და მთარგმნელობითი უნარებით სრულყოფილად აღჭურვილი ქართული მანქანის კონსტრუირება სრულიად არაპერსპექტიულია. ნათელია ისიც, რომ ამგვარი მანქანის ვერკონსტრუირების

შემთხვევაში, ახლო მომავალში, საშუალება იმისა, რომ ქართული ენით ვაწარმოოთ სასწავლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი პროცესები, აღარ გვექნება.

ამგვარად, ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუღებელი ფორმირების აუცილებლობის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზი ზემოაღნიშნულთან ერთად მათემატიკური თვალსაზრისებით ქართული ენის თითქმის სრული შეუსწავლელობაა. ამასთან, ცხადია, რომ ვერსად სხვაგან, თუ არა საქართველოში, და ვერაფერ სხვა, თუ არა ქართული ენის ბუნებრივად მცოდნე სპეციალისტებისა, ვერ შეძლებს ქართული ენის სრული მათემატიკური თეორიის შემუშავებას.

არადა, ასეთი თეორიის არსებობას ითხოვს როგორც კრიტიკული აზროვნებისა და სწავლისათვის აუცილებელი ენობრივი და რაოდენობრივი მსჯელობითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემა, ისე ქართული ენის სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიების ეპოქალური ამოცანა. – გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასავლეთში ბუნებრივი ენების სრული მათემატიკური და მანქანური დაფუძნების მიზნობრივი პროცესები უკვე წლებია მიმდინარეობს და რომ ჩვენ ამ თვალსაზრისებით სულ ცოტა ორმოცდაათწლიანი ჩამორჩენის ქვეშ მანც ვიმყოფებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს აქ საწარმოებელი ადგილობრივი პროცესების ფორსირების აუცილებლობას.

„ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფის“, თსუ  
„ლოგიკა, ენა, გამოძველები“ სემინარისა და თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი  
პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ  
ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალის –  
„ქართული ენა და ლოგიკა“ – მთავარი რედაქტორი, თსუ მკვლევარი, ფ.მ.კ.,  
ქართული ენის უფლებების დამცველი /კ. ფხაკაძე/

დანართი:

პროექტი „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ შემუშავდა 2001 წელს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

2001 წელს პროექტის ჩართვას სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ჩამონათვალში მხარი დაუჭირეს ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის გამგემ, აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ; გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა დავით გორდენიანმა; კომპიუტერების მათემატიკური უზრუნველყოფისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის გამგემ, პროფესორმა ჰამლეტ მელაძემ; მათემატიკის დაფუძნების და სწავლების მეთოდის კათედრის გამგემ, პროფესორმა თამაზ თევზაძემ; მართვის სისტემების ინსტიტუტის ენის მოდელირების განყოფილების გამგემ გიორგი ჩიკოიძემ; აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის აღმოსავლურ ენათა ტიპოლოგიის განყოფილების გამგემ, პროფესორმა მარიკა ჯიქიამ; გმი ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკისა და სწავლების მეთოდის განყოფილების გამგემ ზიმურ რუხაია; სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა კობა იმედაშვილმა; ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა გუნა კვარაცხელიამ; ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარემ ლევან ღვინჯილიამ; ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით თარხან-მოურავმა.

2002 წელს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტში შედგა პროექტის საკომიტეტო განხილვა. ამ განხილვის საფუძველზე კომიტეტის იმდროინდელი თავმჯდომარე აკადემიკოსი ნოდარ ამალღობელი პროექტის თაობაზე წერდა: „მისი აქტუალობა დღეს არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან ეს არის ქართული ენის, როგორც კულტურული ფენომენის, შენარჩუნება-გადარჩენის, მისი განვითარებისა და შესწავლის გაღრმავების საშუალება და ეროვნული ცნობიერების განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა. ამ ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს საერთო მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება.“.

2002 წელს პროექტი ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარდგინებით ერთ-ერთ სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამად განისაზღვრა.

საზგადასმელია ისიც, რომ 2003 წლის 20 ივნისს ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის „ლოგიკა, ენა, გამოთვლელი“ სემინარის ფარგლებში შედგა პირველი ღია დისკუსია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით აუცილებლად საწარმოებელი საუნივერსიტეტო სწავლების გადაუდებელი ფორმირების თაობაზე. **დისკუსიამ ცალსახად დაადასტურა საქართველოში თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით საუნივერსიტეტო სწავლების წარმოების გადაუდებელი აუცილებლობა.** აღნიშნულის გათვალისწინებით ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმდროინდელი რექტორისადმი გაკეთებულ მიმართვას ხელს აწერდნენ აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, აკადემიკოსი გურა კვარაცხელია, პროფესორი დამანა მელიქიშვილი, პროფესორი ირინე მელიქიშვილი, პროფესორი თეოდო უთურგაიძე, პროფესორი მარიკა ჯიქია, პროფესორი ეთერ სოსელია, პროფესორი რუსუდან ასათიანი, პროფესორი ნანა შენგელაია, დოცენტი ინგა შადური, დოცენტი ზაზა კიკნაძე, დოცენტი ჯემალ ანთიძე, დოცენტი გიორგი ჩიკოიძე, დოცენტი ლევან ჩხაიძე, დოცენტი ხიმურ რუსაია, დოცენტი ნუგზარ სხირტლაძე, თსუ პრორექტორი პარმენ მარგველაშვილი, თსუ პრორექტორი თემურ ხუროძე, თსუ პრორექტორი ანზორ ხელაშვილი.

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2004 და 2005 წლების საბიუჯეტო განაცხადში ერთ-ერთ სახელმწიფო მიზნობრივ პუნქტად წარადგინა.

2004 წლის 18 ივნისის თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით მათემატიკის დაფუძნებისა და მეთოდის კათედრაზე პირველად საქართველოში ჩამოყალიბდა „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკის“ სპეციალიზაცია.

საზგადასმელია ისიც, რომ 2004 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საკითხის შესწავლის საფუძველზე პროექტთან დაკავშირებით შემდეგი პოზიცია გამოკვეთა: „სამინისტრო მხარს უჭერს მის (ე.ი. პროექტის) პირდაპირ მიზნობრივ დაფინანსებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში“. ამასთან, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქ.ბ. ბ. წიფურია საქართველოს მთავრობის კანცელარიიდან სამინისტროში შესულ ფ/3446 09.09.04. წერილის პასუხად წერდა: „სამინისტრო მხარს უჭერს იმ თვალსაზრისს, რომ პროექტით მოხაზული მიმართულებით კვლევების არგანვითარების შემთხვევაში ქართულ ენას დეკლუტურიზაციის საშიშროება ემუქრება. გარდა ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აღნიშნულ საკითხთა განხილვისას გამოიკვეთა, რომ ქართულ ენობრივ სისტემაში პროექტით გათვალისწინებული მონტეგეუსული ლოგიკურ-ლინგვისტური კვლევები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ენობრივ-აზროვნებით უნარ-ჩვევებზე ორიენტირებული სწავლების ოპტიმალური და მიზნობრივი წარმართვისათვის, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია პროექტისადმი სამინისტროს მიერ ზემოთ გამოხატული სრული მხარდაჭერისა. გაცნობებთ, რომ სამინისტრო აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტურ დაფინანსებას, გამოიმდინარე მისი აქტუალობიდან, ყოველმხრივ უჭერს მხარს“.

2004 წელს პროექტს მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტმა: „კომიტეტი მიესალმება გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის განხორციელებას და მხარს უჭერს მის პირდაპირ მიზნობრივ დაფინანსებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში“ (ამონაბეჭდი კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ. ნ. გრიგალაშვილის წერილიდან).

პროექტის აქტუალობა გამოიკვეთა აგრეთვე მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის ჭრილშიც. ამონარიდი პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების განყოფილების ხელმძღვანელის, ბ-ნ. ს. ჯანაშიას 2004 წლის 2 ნოემბრის წერილიდან: „ჩვენ ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ ამ ჯგუფის მიერ ქართული ენის ლოგიკურ-ლინგვისტურ კვლევას. ასევე ჩვენ უკვე დავიწყეთ თანამშრომლობა ამ კვლევების შედეგების გათვალისწინებაზე ეროვნულ სასწავლო გეგმებში. იმედი გვაქვს, რომ ჯგუფს საკმარისი საშუალება ექნება, რომ კიდევ უფრო ფართო მასშტაბიანი სამუშაოები ჩაატაროს ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავებელ საგნობრივ ექსპერტებთან ერთად. ვფიქრობთ, რომ ეს მუშაობა ნაყოფიერი იქნება და განათლების რეფორმას წაადგება. იმედი გვაქვს, რომ ზემოხსენებული ჯგუფის მუშაობა წარმატებული იქნება და ამ კვლევის შედეგები წაადგება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ქართული ენით აღჭურვის საქმეს, რაც საბოლოოდ ისევ განათლების ეფექტური ინსტრუმენტი გახდება“

ამ პროცესების გათვალისწინებით 2005 წლის 24 აგვისტოს თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. რ. ბოჭორიშვილს სარეკომენდაციო წერილით მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პროექტ „ილია ჭავჭავაძის“ მათემატიკის ჯგუფის კოორდინატორი ბ-ნ. ზ. გიუნაშვილი და ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის კოორდინატორი ბ-ნ. კ. გაბუნია. ამონარიდი ამ მიმართვიდან: „სწავლების თანამედროვე მოთხოვნებით განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღსაზრდელში ლოგიკურად გამართული აზროვნებითი უნარების ჩამოყალიბებას. ამასთან, ყურადღება ექცევა როგორც მათემატიკური, ისე ენობრივი მსჯელობითი უნარების განვითარებასა და ამ უნარების შეჯვარებას. ... აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მივიჩნევთ უნივერსიტეტში მათემატიკის დაფუძნებისა და სწავლების მეთოდის კათედრაზე უკვე დაწყებული ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო ხაზის განვითარების პროცესს. ცხადია, რომ მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების ერთ-ერთ საფაკულტეტო სასწავლო ხაზად დამკვიდრება არსებითად შეუწყობს ხელს განათლების რეფორმის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტას”

საკითხთა ამგვარმა ფუნდამენტურმა მნიშვნელობებმა განაპირობა ის, რომ თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტმა 2006 წლის სამაგისტრო პროგრამაში „მათემატიკური ლინგვისტიკა“ ერთ-ერთ ცალკე სამაგისტრო საფეხურის მოდულად დაამტკიცა.

2006 წლის 18 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ რექტორს პროფ. გ. ზუბუას მიმართავს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი ქ-ბ. მ. მიმინოშვილი. ამონარიდი ამ მიმართვიდან: „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უკვე წელიწადზე მეტია თანამშრომლობს „ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფთან“, რომელიც მუშაობს თსუ სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამაზე „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“. თანამშრომლობის მიზანია ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში მიმდინარე ზოგადი უნარების ტესტირებასთან ბუნებრივად მიბმული კერძო და ზოგადი ხასიათის ლოგიკურ-ლინგვისტური საკითხების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ამ ტიპის გამოცდებთან დაკავშირებული პრობლემების თანდათანობით ნიველირება და, შესაბამისად, ამ უმნიშვნელოვანესი საგამოცდო ხაზის დადებითი შემადგენლების სრული ამუშავება როგორც მიმდინარე, ისე პერსპექტიული ინტერესების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმდინარე და პერსპექტიულ მიზნობრივ ინტერესებშია ჯგუფის მიერ ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლების შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევები. ამდენად, ამ კვლევითი მიზნების გათვალისწინებით საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო პროცესების შემდგომ გააქტიურებას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მნიშვნელოვნად მიიჩნევს. .... ამგვარად, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მათემატიკური ლინგვისტიკის მოდულის ფორმირებასა და ამ მიმართულებით საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო პროცესების შემდგომ გააქტიურებას ცენტრი ყოველმხრივ მხარს უჭერს.“

ამავე წლის 22 მაისს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებელი ჯგუფის ხელმძღვანელი ბ-ნ ს. ჯანაშია კიდევ ერთხელ ადასტურებს საგანმანათლებლო რეფორმის ჭრილში ზემოაღნიშნულ საკითხთა აქტუალობას. ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების შემუშავებელი ჯგუფის ხელმძღვანელის ბ-ნ. ს. ჯანაშიას წერილიდან: „ორი წელია ვთანამშრომლობთ ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფთან (წარმოდგენილი ბ-ნ. კ. ფხაკაძისა და ბ-ნ. კ. გაბუნიას მიერ) ქართული ენის, ქართული ენის ლოგიკისა და მათემატიკური ლოგიკის სწავლების შესახებ. ეს თემა კვლავაც აქტუალურია. ... ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მხარს უჭერთ ამ ჯგუფის მიერ ქართული ენის ლოგიკურ-ლინგვისტურ კვლევას. ... იმედი გვაქვს, რომ თანამშრომლობა გაგრძელდება და საშუალება გვექნება სასწავლო გეგმების შემუშავებისას ამ ჯგუფის შედეგების გათვალისწინებისა“.

ამგვარად, ის, რომ ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობა აქტუალური და წლების განმავლობაში მრავალმხრივ მხარდაჭერილი საკითხია, ცხადია.

2006 წლის დეკემბერში კ. ფხაკაძემ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტში გააკეთა მოხსენება თემაზე „ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის ფორმირების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ“. მოხსენებისას კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დადებითი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი, რაც უნივერსიტეტის რექტორისადმი 2007 წლის 8 იანვარს გაკეთებული მიმართვიდან დასტურდება „საუნივერსიტეტო სწავლების რეფორმის კვალდაკვალ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათემატიკური ლინგვისტიკის შემსწავლელი სამაგისტრო პროგრამის არსებობა სწორედ უნივერსიტეტის ბაზაზე. კერძოდ, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტში,

სადაც 2004 წლიდან უკვე მიმდინარეობდა ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ენათმეცნიერების სწავლება” (მიმართვას ხელს აწერს არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქ-ბ. ლ. ეზუგბაია).

ამასთან, არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ 2007 წლის 9 იანვრის სხდომაზე განიხილა რა საკითხი სრულად დაუჭირა მხარი ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლისა და თსუ გმი-ში „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის ლაბორატორიის“ ფორმირების საკითხს. ამ მიზნით თსუ რექტორისადმი გაკეთებულ მიმართვას მხარდაჭერითი შინაარსით ხელი მოაწერეს: თსუ სრულმა პროფესორმა ე. ნადარიაძემ, თსუ სრულმა პროფესორმა დ. გორდენიანმა, თსუ სრულმა პროფესორმა რ. ომანაძემ, თსუ სრულმა პროფესორმა უ. გოგინავამ, თსუ სრულმა პროფესორმა თ. თაღუმაძემ, თსუ მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა ო. ფურთუხიამ, თსუ მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ გ. ბარელაძემ, ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ლოგიკის განყოფილების მეცნ. თანამშრომლებმა დ. პატარაიამ, დ. გაბელაიამ, მ. ჯიბლაძემ, ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ლოგიკის განყოფილების გამგემ ლ. ესაკიამ, თსუ სოხუმის ფილიალის ასოცირებულმა პროფესორმა ხ. რუხაიამ, თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორმა გ. ნადიბაიძემ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სამაგისტრო ჯგუფის უფროსმა მ. მანიამ, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ლ. ეზუგბაიამ, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ მ. მანჯგალაძემ, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა დ. თვალთვაძემ, თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა თ. ბოლქვაძემ.

ამავე საკითხს მიეძღვნა საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის 16 მარტის სხდომა. სადისკუსიო განხილვის საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი „საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მიზანშეწონილად და აუცილებლად მიაჩნია, რომ შეიქმნას ჯგუფები, როგორც თსუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ისე თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომლებიც შემდგომი სრული მანქანური (კომპიუტერული) დაფუძნების მიზნით ყოველმხრივ და ამომწურავად შეისწავლიან ქართულ ენასა და მეტყველებას. ვთვლით, რომ ეს საჭიროა და შესაძლებელიც, რადგან საქართველოში არსებობს ორი ძლიერი სკოლა, როგორც ენათმეცნიერებაში, ისე მათემატიკაში. – შეიძლება ეს საკითხი დაგვიანებულიც კი იყოს. ამიტომ ეს საქმე დროულად უნდა გადაწყდეს, რომ ამ საუკუნეში საქართველო სხვა ქვეყნებს არ ჩამორჩეს“ (საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრეზიდენტი, პროფესორი ვ. შარიქაძე).

აღსანიშნავია ისიც, რომ 2007 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე „ქართული სალიტერატურო ენის საკითხები (ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა)“ დაშვებულ იქნა თსუ სახელმწიფო-მიზნობრივ პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელის კ. ფხაკაძისა და ამავე მიზნობრივი პროგრამის თანახელმძღვანელების გ. ჩიჩუასა და კ. გაბუნას ერთობლივი მოხსენება სათაურით „ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის ფორმირების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ“, რაც იმას, რომ საკითხი აქტუალურია და გადაუდებელ გადაწყვეტას ითხოვს, კიდევ ერთხელ ცალსახად ადასტურებს.

**მინაწერი:** ის ძირითადი, რასაც ბოლონის პროცესი, როგორც გამაერთიანებელი იდეოლოგია, სასაფუძვლოდ ეყრდნობა, არის ნაციონალურ უნივერსიტეტებში ნაციონალური მნიშვნელობების მქონე სასწავლო პროცესების მხარდაჭერა, რაც საერთო ევროპულ მოთხოვნებთან ერთად ამ პროცესს სრულყოფილ ხასიათს სძენს. – ანუ, ბოლონის პროცესი დირექტიულად გვისაზღვრავს რა საერთო ევროპულ საგანმანათლებლო მოთხოვნებს, ასევე დირექტიულია იმაში, რომ ნაციონალურმა უნივერსიტეტებმა მაქსიმალურად გააკეთონ აქცენტირება არაუნიფიცირებადი, ანუ მხოლოდ ადგილობრივი, ანუ „ვიწრო“ ნაციონალური ინტერესების დაკმაყოფილებაზე. ამდენად, ის, რომ საუნივერსიტეტო რეფორმამ უარი თქვა 2004-2006 წლებში ქართულენობრივი აზროვნების სრული მათემატიკური და მანქანური დაფუძნების მიზნობრივი ინტერესების გათვალისწინებით უნივერსიტეტში უკვე მიმდინარე სასწავლო პროცესებზე, იყო იგნორირება როგორც სახელმწიფოებრივად დასაბუთებული ეროვნული ინტერესებისა, ისე იმ ინტერესებისა, რასაც ბოლონია ევროპულ უნივერსიტეტებს უსაზღვრავს. – სრულიად ნათელია, რომ ვერსად სხვაგან, თუ არა საქართველოში, და ვერაინ სხვა, თუ არა ქართული ენის ბუნებრივად მცოდნე

სპეციალისტებისა, ვერ შეძლებს ქართული ენის სრული მათემატიკური თეორიის შემუშავებას და რომ ეს საკითხი სწორედაც რომ იმ არაუნიფიცირებად ადგილობრივ ინტერესთა შრეშია, რომლებზედაც ყურადღებათა აქცენტირებას ბოლონის ქარტია პირდაპირ მოგვიწოდებს. ამასთან, უკვე მეორე სემესტრია უნივერსიტეტში მოუწესრიგებელია არჩევითი კურსების სისტემა. ამით ბოლონის პროცესის კიდევ ერთი ძირითადი მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ საუნივერსიტეტო სწავლება სტუდენტის არჩევანზე იყოს ორიენტირებული, თავიდან ბოლომდე იგნორირდება! – რა ახსნა აქვს იმას, რომ რეფორმამდე უნივერსიტეტში უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი არჩევითი კურსების სისტემა და უფრო მეტად კმაყოფილებოდა სტუდენტის თავისუფალი არჩევანი, ვიდრე ეს ახლა ხდება! – ანუ, რა გამართლება აქვს იმას, რომ თსუ მათემატიკის ინსტიტუტის სტუდენტების მოთხოვნა, რომ მათ წაეკითხოთ რეფორმამდე მათ მიერვე არჩეული მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო კურსები დღემდე არ კმაყოფილება?! – მითუმეტეს, რომ მათი ამ მოთხოვნის მართებულობასა და მიზნობრიობას ინსტიტუტის 2007 წლის 9 იანვრის სამეცნიერო საბჭომ სრულად დაუჭირა მხარი! – ან კიდევ, რით გავამართლოთ ის, რომ თსუ მათემატიკის ინსტიტუტის III–IV კურსის სტუდენტებს არჩევითად წოდებული კურსები ყოველგვარი არჩევითობის გარეშე – სავალდებულო რეჟიმში ეკითხებათ?! – ეს ხომ ამ სტუდენტების სასწავლო უფლებების დარღვევაა!? – ეს ხომ უნივერსიტეტის მხრიდან იმ პასუხისმგებლობათა უხეში იგნორირებაა, რომელიც ბოლონის პროცესში ჩართულობის საჭიროებიდან გამომდინარე თვითონვე დაიკისრა?!

მე ვშიშობ, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს თავიანთი სასწავლო უფლებების განხორციელების საშუალება არც მომავალი სემესტრიდან მიეცემათ, რადგან ის ფინანსური ბაღე, რითაც უნივერსიტეტი ბოლონის პროცესით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილებას ცდილობს, როგორც ჩანს არ იძლევა ამ მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების საშუალებას. ამის გამოა, რომ ჩვენ ნაცვლად ევროპულ-ბოლონიური საუნივერსიტეტო სისტემისა მივიღეთ არასწორად გათვლილი საბიუჯეტო „ოპტიმიზაციით“ გაწერილი ქართულ-ბოლონიური საუნივერსიტეტო სისტემა. – თუ არადა, რა ვუწოდეთ და რით ავხსნათ ის, რომ სტუდენტებს საუნივერსიტეტო არჩევითი კურსების აღებაზე, ამგვარი კურსების არარსებობის გამო, ან საერთოდ უარს ეუბნებიან, ან მათ ნაცვლად სხვა ფაკულტეტისა, თუ ინსტიტუტის ჩვეულებრივ კურსებს სთავაზობენ?! – ანუ, რით შეიძლება გამართლდეს, რომ სკოლას სასწავლო განაწერით გაკვეთილები ჰქონდეს დაგეგმილი და თანაც ამ სკოლას ამ გაკვეთილების ჩასატარებლად არც მასწავლებლები ჰყავდეს და არც ასეთი მასწავლებლების მოსაწვევად საჭირო სახელფასო ფონდი გააჩნდეს?! – სანამ უნივერსიტეტი რეფორმის გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომების შესახებ ღიად არ განაცხადებს, ვერც შეცდომები გასწორდება და ვერც რეფორმა ჩაითვლება წარმატებულად, რადგან შეცდომისაგან კი არავინაა დაზღვეული, მაგრამ სიმართლის თქმა თითოეულის მოვალეობაა!

ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სემინარის კოლეგიის ღრმად პატივცემულნი წევრებო! – თქვენ შეგიძლიათ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკითხი სასემინარო მოსმენაზე არ დაუშვათ, და ისიც შეგიძლიათ, რომ დაუშვათ. თქვენ შეგიძლიათ ისიც, რომ საკითხი გააჭიანუროთ და ამით თავი აარიდოთ პირდაპირ პასუხებს პირდაპირ დაყენებულ კითხვებზე. თუმცა, თქვენ ისიც შეგიძლიათ, გულთან მიიტანოთ ქართული ენის სამომავლო ბედ-იღბალი და არსებითად გამოასწოროთ იმ საუნივერსიტეტო კონკურსით დაშვებული ის შეცდომები, რომლებზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. – ეს იმიტომ, რომ იმ საუნივერსიტეტო კონკურსით, რომლის დროსაც ეს შეცდომები იქნა დაშვებული, საკითხთა გადაწყვეტის პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრათ!

მჯერა, რომ კოლეგია უარს არ იტყვის წინამდებარე მოხსენების სასემინარო განხილვისაგან, მითუმეტეს, რომ ფაკულტეტზე უკვე წარმოდგენილია „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფის“, „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდული ჯგუფისა“ და არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი მიმართვა „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის ფორმირების საკითხის

**გადაუდებელი გადაწყვეტის აუცილებლობის თაობაზე, რასთანაც ჩემი სასემინარო მოხსენების თემატიკა პირდაპირ კავშირშია.**

ბატონო რამაზ, ზემოხაზვასმულ საკითხთან დაკავშირებით მე არაერთხელ მისაუბრია თქვენთან და ის, რომ რეფორმამდელი მათემატიკის ინსტიტუტის 2006 წლის სამაგისტრო პროგრამაში უკვე იყო ჩართული მათემატიკური ლინგვისტიკის მოდული, ჩემთვის ამ საკითხისადმი თქვენი დადებითი დამოკიდებულების დადასტურება იყო. იგივეს ადასტურებს ისიც, რომ რეფორმის შემდგომ თსუ მათემატიკის ინსტიტუტმა თქვენივე შემოთავაზებით ჩემს მიერ წარმოდგენილი მათემატიკური ლინგვისტიკის კურსი 2006-2007 სასწავლო წლის I სემესტრის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო კურსად წარადგინა (თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, საუნივერსიტეტო კურსების სისტემის მოუწესრიგებლობის გამო, ამას შედეგი არ მოჰყოლია!). მიუხედავად ამისა, ანუ მიუხედავად ჩემი თქვენადმი პატივისცემითი დამოკიდებულებისა, გამომდინარე საკითხთა მაღალი სიმძაფრიდან და იქიდან, რომ დემოკრატიულ ურთიერთობათა ევროპული გამოცდილება ჩინოვნიკურ, ანუ წერილობით ურთიერთობებს ემყარება, გთხოვთ, სასემინარო მოხსენაზე საკითხის არ დაშვების შემთხვევაში მიპასუხოთ წერილობით, თუ რატომ არ ჩაითვალა იგი სასემინარო განხილვის ღირსად.

პატივისცემით, კ. ფხაკაძე.  
2007, 22 მაისი.

ქართულ ენას უფლება აქვს იყოს კულტურის მატარებელ ენათა რიგში. ჩვენ გვაქვს ამის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. – სრულიად ნათელია, რომ ქართული მათემატიკური ლინგვისტიკური სკოლის გადაუდებელი ფორმირების მიზნით ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარე საუნივერსიტეტო პროცესების შემდგომი შეფერხების შემთხვევაში ქართული ენის კულტურული ფუნქციების შენარჩუნების საკითხის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების პასუხისმგებლობა ფაკულტეტის დღევანდელ მმართველობას დაეკისრება.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
სამეცნიერო სემინარის კოლეგიის ხელმძღვანელს,  
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს**

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი სასემინარო მოხსენაზე დასაშვებად შუამდგომლობს სასემინარო თემას:

**ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტიკური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ**

მომხსენებელი:

**თსუ მკვლევარი, სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი, ფ.მ.კ., კ. ფხაკაძე**

**სასემინარო მოხსენების მოკლე ანოტაცია:**

მოხსენებისას განხილული იქნება თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით „ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფში“ ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევების ძირითადი შედეგები. გარდა ამისა, მოხსენებისას სისტემატიზებული სახით იქნება წარმოდგენილი ქართული მათემატიკური ლინგვისტიკური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის განმაპირობებელი მიზეზები.

**შუამდგომლობის საფუძველი:** საქართველოს მათემატიკოსთა კავშირს მიზანშეწონილად და აუცილებლად მიაჩნია, რომ შეიქმნას ჯგუფები, როგორც თსუ ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე, ისე



თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, რომლებიც შემდგომი სრული მანქანური (კომპიუტერული) დაფუძნების მიზნით ყოველმხრივ და ამომწურავად შეისწავლიან ქართულ ენასა და მეტყველებას. – ვთვლით, რომ ეს საჭიროცაა და შესაძლებელიც, რადგან საქართველოში არსებობს ორი ძლიერი სკოლა, როგორც ენათმეცნიერებაში, ასევე მათემატიკაში.

შეიძლება ეს საკითხი დაგვიანებულად კი იყოს, ამიტომ ეს საქმე დროულად უნდა გადაწყდეს, რომ ამ საუკუნეში საქართველო სხვა ქვეყნებს არ ჩამორჩეს.

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის  
პრეზიდენტი, პროფესორი

/ჯ. შარიქაძე/

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
სამეცნიერო სემინარის კოლეგიის ხელმძღვანელს,  
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტი სამეცნიერო სემინარის კოლეგიას თხოვს სასემინარო მოსმენაზე დაშვების მიზნით განიხილოს სასემინარო თემა:

**ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ**  
მომხსენებელი:

**თსუ მკვლევარი, სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი, ფ.მ.მ.კ., კ. ფხაკაძე**

**სასემინარო მოხსენების მოკლე ანოტაცია:**

მოხსენებისას განხილული იქნება თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით „ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფში“ ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევების ძირითადი შედეგები. გარდა ამისა, მოხსენებისას სისტემატიზებული სახით იქნება წარმოდგენილი ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის განმაპირობებელი მიზეზები.

**შუამდგომლობის საფუძველი:**

2007 წლის 9 იანვარს, თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ განიხილა ქართული მათემატიკური სკოლის მათემატიკური ლინგვისტიკით გაფართოების გადაუდებელი აუცილებლობის საკითხი. სხდომას საბჭოს წევრების გარდა (პროფესორები დავით გორდენიანი, ელიზბარ ნადარაია, თამაზ ვაშაყაძე, თამაზ თადუმაძე, როლანდ ომანაძე, უშანგი გოგინავა, ომარ ფურთუხია (ინსტიტუტის დირექტორი), ვია ბარელაძე (ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე) ესწრებოდნენ „ქართული ენის, ლოგიკისა და გამომთვლელის ახალგაზრდულ ჯგუფში“ გაერთიანებული თსუ ზუსტი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები (ლ. აბზიანიძე, ნ. ვახანია, ნ. ლაბაძე, ა. მასხარაშვილი, ნ. ფხაკაძე, ბ. ჩიქვინიძე). სხდომა ინიცირებული იყო ამავე სტუდენტების მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისადმი გაკეთებული მიმართვით, რომლითაც ისინი ითხოვდნენ მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით გაუქმებული საუნივერსიტეტო სწავლებათა აღდგენას, რათა მათ მისცემოდათ საშუალება საბაკალავრო საფეხურის საუნივერსიტეტო სწავლების მათ მიერვე არჩეული მიმართულებით გაგრძელებისა. საბჭოს საკითხი წარუდგინა თსუ მკვლევარმა კ. ფხაკაძემ. მან მოკლედ მიმოიხილა თანამედროვე მათემატიკურ ლინგვისტიკაში არსებული სამეცნიერო და ტექნოლოგიური მიზნების განსაკუთრებული კულტურული მნიშვნელობები, მიმართულების



ქართველოლოგიური დატვირთვები, ერთმანეთს დაუპირისპირა ამ სამეცნიერო სფეროში დღეს არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი ვითარებები, მოკლედ წარმოადგინა საქართველოში მათემატიკური ლინგვისტიკის დაფუძნების მიზნით ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტისა და ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფის მიერ ბოლო წლებში წარმოებული პროცესების ისტორია და ხაზი გაუსვა ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით შეწყვეტილი საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესების აღდგენის გადაუდებელ აუცილებლობას. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ სრულად გაიზიარა მომხსენებლის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და საბჭოს წევრთა თითქმის მთელმა შემადგენლობამ ხელმოწერით დაუჭირა მხარი ზემოაღნიშნული მიზნებით უნივერსიტეტის რექტორისადმი გაკეთებულ მიმართვას (იხ. დანართი).

საბჭოს სხდომაზე საკითხის გასწვრივ განვითარებული დისკუსიისას თსუ სრულმა პროფესორმა დ. გორდეზიანმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობებს და მიმართულებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სრულმასშტაბიანი სწავლების საკითხის გადასაწყვეტად საჭიროდ მიიჩნია თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ფორმირება, სადაც ეს უმნიშვნელოვანესი ზოგადქართული კულტურული დატვირთვების მქონე თემატიკა ერთ-ერთ ძირეულ სასწავლო ხაზად განისაზღვრებოდა. ამასთან, საკითხის დროში შეზღუდულობის გამო, რაც სასწავლო პროცესში უკვე ჩართული სტუდენტების სასწავლო ინტერესების დროულ დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა, გამოთქვა ინიციატივა ზემოაღნიშნული მიზნით სპეციალური საუნივერსიტეტო ჯგუფის ფორმირებისა, რომელსაც სათავეში თსუ სრული პროფესორი თ. ვაშაყმაძე ჩაუდგებოდა და რომელ ჯგუფშიც ერთ-ერთ წევრად მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულების ინტერესების გათვალისწინებით ითანამშრომლებდა თსუ მკვლევარი კ. ფხაკაძე. ამასთან, ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ო. ფურთუხიამ, ისევ და ისევ საკითხის დროში შეზღუდულობის გამო, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, განპირობებულია სასწავლო პროცესში უკვე ჩართული სტუდენტების სასწავლო ინტერესების დროული დაკმაყოფილების აუცილებლობით, მიზანშეწონილად მიიჩნია მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით არჩევითი კურსების წარდგენა, რაც უკვე მიმდინარე სემესტრიდანვე სტუდენტებს საშუალებას მისცემდა ამ ფორმატით მაინც დაეკმაყოფილებინათ მათი საუნივერსიტეტო სასწავლო ინტერესი. გარდა ამისა, ბატონმა ომარ ფურთუხიამ, გამომდინარე საკითხთა განსაკუთრებული მნიშვნელობებიდან, გამოთქვა ინიციატივა საბჭოზე განხილული უმნიშვნელოვანესი საკითხების თაობაზე მომხსენებელი სპეციალური მოხსენებით წამდგარიყო ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო სემინარზე.

ზემოაღნიშნულ მნიშვნელოვან მოსაზრებებსა და ინიციატივებს საბჭოს წევრთა სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის  
შემსრულებელი, პროფესორი

/ო. ფურთუხია/

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის  
მოვალეობის შემსრულებელი, პროფესორი

/გ. ბარელაძე/

კომენტარი: ხომ სრულიად ნათელია, რომ რ. ბოჭორიშვილს ჩემთვის (კ. ფხაკაძისთვის) ან ამ ორი თანრთული რეკომენდაციით მოთხოვნილი საფაკულტეტო სემინარის ჩატარების საშუალება უნდა მოეცა, ანდა ჩემი თხოვნის შესაბამისად წერილობით უნდა ეპასუხნა თუ რა მიზეზით ბლოკავდა ქართული კულტურული თვალსაზრისებით ასეთ მნიშვნელოვან საფაკულტეტო ღონისძიებას!

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,  
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს**

ბატონო რამაზ, რექტორისადმი გაკეთებული იმ მიმართვის ძირითადი შინაარსი, რომელიც თქვენ განსახილველად გადაუგზავნეთ კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის ინსტიტუტებს, ითვალისწინებდა არა სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ განხილვას, არამედ „ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების, ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირებისა და თსუ სახელმწიფო პროგრამით „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ უკვე მიმდინარე უმნიშვნელოვანესი კვლევითი პროცესების შემდგომი გაღრმავების მიზნით . . . ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში) „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ჩამოყალიბების” საკითხის განხილვას. აქედან გამომდინარე, ჩემთვის სრულიად გაუგებარი ხდება, ამ ე.წ. განხილვის შედეგად შემუშავებულ შემაჯამებელ წერილში (იხ. დანართი) რატომ არაფერია თქმული განსახილველ საკითხზე და რატომ ხდება აქცენტირება და შეფასება თავად იმ მიზნობრივი პროგრამისა, რომელიც იმ მიმართვაში, მათ რომ გადაეგზავნათ, არ იყო?!

ბატონო რამაზ, საკომისიო განხილვა, რომელზედაც განსახილველი თემატიკის წარდგენა კომპიუტერული მეცნიერებათა ინსტიტუტის სრულ პროფესორს კ. გელაშვილს დაევა<sup>1</sup>, მეტად არაკომპეტენტური და არაობიექტური კონტექსტებით წარიმართა:

1. კომისიის პირველ სხდომაზე, რომელიც 26 ივნისს (სამშაბათს) უნდა შემდგარიყო, მე დამევალა განსახილველი თემატიკის წარდგენა, რისთვისაც სამი დღე ვემზადებოდი. 25 ივნისს (ორშაბათს), მე მითხრეს, რომ ეს აღარ იყო საჭირო და რომ კომისიის პირველი სხდომა უჩემოდ ჩატარდებოდა და რომ ისინი საკითხთან დაკავშირებით ჯერ თავად ჩამოყალიბდებოდნენ.
2. კომისიის მეორე სხდომა შედგა 28 ივნისს (ხუთშაბათს), რომელზედაც კ. გელაშვილმა მეც მიმიწვია. ამასთან, სამშაბათ საღამოს ტელეფონით მითხრა, რომ მრავალი შეკითხვა დაგროვდა. თანაც, მთხოვა, რომ წარმედგინა 1. შრომების სია; 2. პროგრამული რეალიზაციები; 3. ACM კლასიფიკატორით პროექტის თემატიკის ინდექსი<sup>2</sup>. – მიუხედავად ხაზგასმისა, რომ გარდა ამ სამი პუნქტით მოთხოვნილი მასალებისა არაფერის წარდგენა არ მევალდებოდა, მე კომისიას საკმაოდ ვრცელი მასალა წარვუდგინე, მათ შორის მიზნობრივი პროექტის ამ ეტაპობრივი ქვეპროექტი, რომელიც ეროვნული სამეცნიერო ფონდის სტანდარტების მიხედვითაა შედგენილი (იხ. დანართი).

<sup>1</sup> **ჩანართი:** კ. გელაშვილს 2003 წელს უკვე ჰქონდა შეხება ზემოხსენებულ მიზნობრივ პროგრამასთან. მაშინ მან, როგორც იმდროინდელი ფაკულტეტის მეთოდ-საბჭოს ხელმძღვანელმა, თსუ ზოგადი და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრის გამგის აკად. თ. გამყრელიძის, ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, თსუ ინფორმატიკის კათედრის გამგის, პროფ. დ. გორდეზიანის, თსუ კომპიუტერების მათ. უზრუნველყოფის და ინფორმატიკული ტექნოლოგიების კათედრის გამგის, პროფ. ჰ. მელაძის, თსუ მათემატიკის დაფუძნებისა და მეთოდიკის კათედრის გამგის, პროფ. თ. თევზაძისა და თსუ პრორექტორის, აკად. ა. ხელაშვილის რეკომენდაციების საფუძველზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუკეთა ზემოხსენებული მიზნობრივი პროგრამის ინტერესების გათვალისწინებით მეთოდსაბჭოზე წარდგენილ საპროექტო განაცხადებს საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების მომზადებაზე „თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის საფუძვლებსა“ და „თანამედროვე კომპიუტერული ლინგვისტიკის საფუძვლებში“ (იხ. თქვენთან რექტორის მიერ გადმოგზავნილი მასალა).

<sup>2</sup> **ჩანართი:** ის, რომ რექტორის თხოვნით ფაკულტეტის დეკანმა მათ ამ საკითხის განხილვა დაავალა, იმას ნიშნავს, რომ საკითხი მნიშვნელოვანია. ასე რომ, გაუგებარია, რატომ არ გაუჩნდათ მათ სურვილი (მხედველობაში მყავს კ. გელაშვილი და გ. სირბილაძე, რომლებიც ამ განხილვის ძირითადი ორგანიზატორები იყვნენ.) თვითონვე ენახათ ეს კლასიფიკატორი და თვითონვე მოეძიათ იქ ამ თემატიკის ინდექსი და ის, იყო თუ არა იქ ეს თემატიკა ინდექსირებული, კომისიისათვის საკითხის ან პლიუს, ან მინუს პაქტორად წარედგინათ?!

ჩემთვის მოულოდნელად მათ იმ მიზეზით, რომ ასეთი ვრცელი მასალის გაცნობას თავს ვერ გაართმევდნენ, ჩემი ეს ნაბიჯი საკომისიო პროცესის ობსტრუქციად შემიფასეს და უარი თქვეს, არათუ მასალის მიღებაზე, არამედ იმაზეც კი, რომ მოესმინათ და იმაში მაინც გარკვეულიყვნენ, რა მასალები მქონდა მიტანილი, და რა არა.

ამასთან, მათი შემაჯამებელი წერილის მეორე აბზაცი<sup>1</sup>, რომელიც მათი წერილის ძირითადი შინაარსია და რომელიც, მათი აზრით, ჩვენს განაცხადს და, შესაბამისად, ჩვენც მეტად არასერიოზულ ჯგუფად წარმოგვაჩინეს, საფუძვლიან ეჭვს ბადებს მათ წინასწარგანზრახულ არაობიექტურ დამოკიდებულებაზე ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხისადმი (მხედველობაში მყავს კ. გელაშვილი და გ. სირბილაძე, რომლებმაც, როგორც უკვე აღვნიშნე, გააფთრებული წინააღმდეგობა გაწიეს ჩემს მიერ მიტანილი მასალების დატოვებაზე).

არადა, იგივე ვითარება, ანუ ის, რომ ის პროგრამა/პროექტი, რომელიც განიხილებოდა, არ იყო წარდგენილი, არასერიოზულად სწორედ ამ საკომისიო განხილვას წარმოაჩინეს. მართლაც, გამომდინარე მათი შემაჯამებელი წერილიდან, ეს კომისია ორი კვირა იმ პროგრამას/პროექტს განიხილავდა, რომლის საფუძვლიანი განხილვის საშუალება, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ განსახილველი პროგრამა/პროექტი საკომისიო განხილვაზე წარდგენილიც კი არ ყოფილა, ბუნებრივია ვერც მიეცემოდათ. – არსებობს სურვილთა ლოგიკა და გასაგებია, რომ მათ ამ შემთხვევაში ჩვენი მრავალწლიანი მოძრაობის გაბაიბურება სურთ. მაგრამ, არსებობს კიდევ აზრთა ლოგიკა, რომელიც თითოეულს წარმოაჩინს: შე კაი კაცო, თუ პროგრამა ან პროექტი, რომლის განხილვაც დაგეგვალათ, წარმოდგენილი არ იყო, იმათთან ერთად, რისი წარმოდგენაც თქვენ მე დამავალეთ, ისიც დაგეგვალბინათ, რომ ეს პროექტიც წარმომედგინა?! – როგორც იტყვიან კომენტარი<sup>2</sup> ზედმეტია!.

---

<sup>1</sup> ჩანართი: მიუხედავად იმისა, რომ ამ შემაჯამებელი წერილის ასლს თან ვურთავ მომართვას, მკითხველის ინტერესების გათვალისწინებით აქვე მომყავს ამ წერილის მეორე და მესამე აბზაცები ციტირებული სახით: (ციტატის დასაწყისი)

„როგორც ცნობილია, ნებისმიერი პროგრამის ან პროექტის წარდგენა შემდგომი ობიექტური დასკვნის გაკეთების წინაპირობად გულისხმობს მთელი რიგი აუცილებელი პუნქტების მკაფიო აღწერას პროექტის ავტორების მიერ, რაც ამავედროულად წარმოადგენს პირველ ტესტს დასახული მიზნების მიღწევის გზაზე. ასეთი რამ ამ პროგრამას/პროექტს თან არ ახლავს, არაა ცნობილი თუ მეცნიერების დარგებიდან რომელ კლასებს მიაკუთვნებენ მას ავტორები (მათემატიკიდან შესაძლებელია, მაგალითად, ZENTRALBLATT-ის კლასიფიკატორზე დაყრდნობა, ინფორმატიკიდან (computing) – ACM-ის კლასიფიკატორზე, საჭიროა ენათმეცნიერებაში მიღებულ კლასიფიკატორთან შეჯერებაც). ასევე ვერ ვნახეთ ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები, როგორებიცაა კვლევის მოსალოდნელი საშუალო და საბოლოო შედეგი ეტაპების მითითებით. პროექტში უნდა ყოფილიყო აგრეთვე დაგეგმილი ადამიანური რესურსების შესაბამისობა განზორციელების პერიოდთან, მიზანთან და ამოცანასთან.

წარმოდგენილი ინფორმაცია (იხ. დანართები), რომლებიც მოიცავს მიმდინარე კვლევითი პროცესების საფუძველზე გამოქვეყნებული მასალის ნუსხასა და ჯგუფის მიერ რეალიზებული პროგრამების ჩვენებას, არ იძლევა საკითხის განხილვის საშუალებას“

(ციტატის დასასრული).

<sup>2</sup> თუმცა, მე მაინც გავაკეთებ მცირე კომენტარს: წერილში ხაზგასმული პროფესორთა ჯგუფიდან (კ. გელაშვილი, გ. სირბილაძე, მ. ხაჩიძე, ზ. მაჩაიძე, ო. ფურთუხია, გ. ბარელაძე, უ. გოვინავა) ბ-ნ უ. გოვინავას ამ საკომისიო შეხვედრებზე პირადად არც შევხვედრივარ. ბ-ნ ზ. მაჩაიძეს ჩვენი თანდასწრებით არცერთი უარყოფითი შეფასება არ გამოუთქვამს არცერთ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, ისე მოხდა, რომ მან მისი დაკავებულობის გამო ვერ შეძლო დასწრებოდა თსუ მიზნობრივი პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელის გ. ჩიჩუას უნიკალური პროგრამული სისტემის წარმატებულ დემონსტრირებას, რისთვისაც მოსვლისთანავე სინანული გამოთქვა. რაც შეეხება ბატონებს ო. ფურთუხიასა და გ. ბარელაძეს, როდესაც შეიტყვეს, რომ იმ ჩემს მიერ წარდგენილ მასალებში, რომელიც კ. გელაშვილმა და გ. სირბილაძემ არ დაიტოვეს, პროექტიც იყო, აზრი გამოთქვეს, რომ ინფორმაცია ამის თაობაზე კომისიის მარგანიზებელი ჯგუფის წევრებისათვის მიგვეწოდებინა. თუმცა, ჩვენი ერთობლივი მცდელობა, რომ ეს ჯგუფი აგვემორებინა ჩემი აზრით მათთვის სამარცხვინო შეცდომისაგან უშედეგოდ დასრულდა. – მათ არ ისურვეს არც ამ ახალი ფაქტობრივი მონაცემების გათვალისწინება და, შესაბამისად, არც საკომისიო მოსმენათა შემდგომი გაგრძელება! (ხაზგასმა ჩემი აზრით, კეთდება იმის გამო, რომ მე ამ საკითხთან დაკავშირებით შემდგომი საუბრები ბ-ნ

4. განსაკუთრებით მინდა შევეხო იმ კითხვარს, რომელიც მე მეორე საკომისიო დღეს (28 ივნისი, ხუთშაბათი) კ. გელაშვილმა გადმომცა (იხ. დანართი<sup>1</sup>). – გადმომცა იმ მიზნით, რომ ჩემგან ამ კითხვარის მიხედვით კომისიას მიეღო „**კომპიუტერული დასკვნის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაცია**“. თვალშისაცემია, რომ არც ამ კითხვარში ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ არ არის წარმოდგენილი ის პროექტი, რომელსაც კომისია, მიუხედავად ამისა, უკვე მათე დღეა განიხილავს. უფრო მეტიც, ამ კითხვარის ქვემოთ მოყვანილი პრეამბულური ნაწილიდან აშკარად დასტურდება, რომ კ. გელაშვილს ჩემი 31 გვერდიანი სტატია („სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ უკვე მიღწეული შედეგებისა და მისალწევი მიზნების, ანუ ქართული მათემატიკური სკოლის მათემატიკური ლინგვისტიკით გაფართოების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ“), რომელიც მათთან გადაგზავნილ მასალებში იყო ჩართული, პროექტად ჩაუთვლია. მართლაც, როდესაც ის ამ პრეამბულაში ამბობს, რომ „**ქვემოთ ყველგან, პროექტიდან ამოღებული ციტატები მოყვანილია დახრილი შრიფტით**“, მოყვანილი აქვს ციტატები, არა პროექტიდან, არამედ ამ სტატიიდან?! – ისევ და ისევ, კომენტარი ზედმეტია<sup>2</sup>!

---

ო. ფურთუხიასთან და გ. ბარელაძესთან აღარ მქონია და, შესაბამისად, საკითხის ისე წარმოჩენის უფლება, რომ ეს მძაფრი შეფასება ჩემი და მათი საერთო აზრია, ჩემი მხრიდან არაღირსეული ქცევა იქნებოდა).

<sup>1</sup> კითხველის ინტერესების გათვალისწინებით მომყავს ამ კითხვარის პრეამბულური ნაწილი ციტირებული სახით: (ციტატის დასაწყისი)

**„მატივცემული კომისიის წევრებო,**

ბატონი დეკანის მიერ ჩვენ დაგველა დასკვნის მომზადება მიზნობრივი პროგრამის თაობაზე:

„კომპიუტერის სრული პროგრამულ – მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“

კომპიუტერული დასკვნის შემუშავებისთვის საჭიროა დამატებითი ინფორმაციის მიღება, ძირითადად პროექტის ავტორებისაგან. გთხოვთ გაეცნოთ შესაძლო კითხვების ნუსხას და შეაჯეროთ იგი პროექტის მითითებულ გვერდებთან. გთხოვთ წამოადგინოთ წინადადებები, თქვენი აზრით მიუღებელი კითხვების ამოღების და, პირიქით, შესაძლო კითხვების დამატების თაობაზე. ქვემოთ ყველგან, პროექტიდან ამოღებული ციტატები მოყვანილია დახრილი შრიფტით.“

(ციტატის დასასრული)

<sup>2</sup> ანუ, გამგები გაიგებს, თუმცა კი არ არის ადვილად გასაგები: აქ შესაძლო ვარიანტებშია სიტუაცია განსახილველი:

**ვარიანტი 1:** მიუხედავად იმისა, რომ კ. გელაშვილი არის თსუ სრული პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, იგი არსებითად მოიკოჭლებს ზოგადი უნარების ვერბალური ნაწილით გათვალისწინებულ საგამოცდო მოთხოვნებში. კერძოდ, იგი ვერ აკმაყოფილებს ტექსტის ანალიზების ელემენტალურ მოთხოვნებს, მართლაც, იგი ვერ გაერკვეა იმაში, რომ „**სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ უკვე მიღწეული შედეგებისა და მისალწევი მიზნების, ანუ ქართული მათემატიკური სკოლის მათემატიკური ლინგვისტიკით გაფართოების გადაუდებელი აუცილებლობის შესახებ**“ არის არა პროექტი, არამედ პრობლემატური ხასიათის ნაშრომი ამ პროექტზე. – ეს რა თქმა უნდა არ შეიძლება შეფასდეს მექანიკურ შეცდომად, ეს კომისიის წევრების შეცდომაში შემყვანი ფუნდამენტური გადაცდომა! – იმ კომისიის წევრისათვის, რომელიც ამ კითხვარს გაეცნო, გასაგები გახდა, რომ ჩვენ საკომისიო წარდგენაზე პროექტი წარდგენილი გვაქვს, რაც გამოდინარე იქიდან, რომ პროექტი წარდგენილი არ ყოფილა, კომისიის წევრების შეცდომაში შემყვანი ტყუილია. – თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ის მართლაც ასე სერიოზულად მოიკოჭლებს ტექსტის ანალიზების უნარებში, მაშინ, ბუნებრივია, ჩვენ მისი ამ ქცევის ტყუილად შეფასების უფლებას მისი ეს სამწუხარო მდგომარეობა გვართმევს. – სხვათაშორის მისი კითხვარის ძირითადი შინაარსული ნაწილი ეჭვს იმის თაობაზე, რომ ის ტექსტის ანალიზების უნარებში მართლაც მოიკოჭლებს, მნიშვნელოვნად ამძაფრებს.

**ვარიანტი 2:** კ. გელაშვილი საკითხის თითქმის ორკვირიანი საკომისიო განხილვის პერიოდში სარგებლობს იმით, რომ იგი ამ განხილვის ძირითადი წამყვანია და წინასწარმედგენილი გეგმის შესაბამისად შეგნებულად ცდილობს კომისიის რიგითი წევრების შეცდომაში შეყვანას. – ანუ, ქმნის ილუზიას იმისა, რომ პროექტი წარმოდგენილია და ამას აკეთებს იმ მიზნით, რომ ბოლო შემაჯამებელ წერილში ხაზი გაესვას იმას, რომ ჩვენ პროექტის წარდგენის საყოველთაოდ მიღებულ წესებსაც კი არ ვიცნობთ, რაც, მათი გეგმით, სერიოზული კომპრომეტაცია იქნებოდა ამ მიზნობრივი პროგრამის, მისი წარმდგენი ჯგუფისა და იმ სპეციალისტებისაც, რომლებიც წლების განამავლობაში ამ არაკომპეტენტურად შედგენილ განაცხადს მხრას უჭერდნენ. – ამ ვარაუდს ისიც ადასტურებს, რომ მათ, ერთის მხრივ, შექმნეს ზემონახსენები კითხვარი, რომლის პრეამბულური ნაწილი ამგვარი საკომისიო ურთიერთობებისათვის სანიშნულოდაც კი გამოდგება (რომ არა ის ტყუილი, რომელზედაც უკვე იყო საუბარი), მეორეს მხრივ კი, დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ მათ მე ამ კითხვარის მიხედვით დაგვემილი მოხსენების გაკეთების საშუალება არ მომცეს, რამდენადაც მე ვიცი, საკომისიო განხილვის საანგარიშო მასალებში არ ჩაურთავთ..

გასაკვირი აღარ უნდა იყოს, მაგრამ ორდღიანი მზადების მიუხედავად მე არც ამ კითხვარის მიხედვით არ მომეცა „კომპეტენტური დასკვნის შემუშავებისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაციის“ მიწოდების საშუალება. – მართალი გითხრათ, გულიც არ მწყდება, რადგან ამ კითხვარის წამკითხველი ადვილად მიხვდება, რომ მისი დამწერისთვის ეს დამატებითი ინფორმაცია არასაკმარისი იქნებოდა!

ბატონო რამაზ, გთხოვთ, ჩემთან გასაუბრების გარეშე, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის საბოლოო დასკვნა არ გამოკვეთოთ. ამასთან, გთხოვთ, თუ თქვენ საჭიროდ ჩათვლით, ფაკულტეტის დასკვნასთან ერთად რექტორს წარუდგინოთ ის მასალებიც, რომელიც კ. გელაშვილისა და გ. სირბილაძის მიერ არაკეთილსინდისიერად ორგანიზებული საკომისიო განხილვის პერიპეტეებს ასახავს (მათ შორის ეს წერილიც). პირადად მე უკვე ვამზადებ კ. გელაშვილის ზემოხსენებული კითხვარის სრულ კრიტიკულ მიმოხილვას (ამ კითხვარის ასლი მის ნაწილობრივ კრიტიკულ ანალიზთან ერთად იხ. დანართის სახით)

რაც შეეხება მათი შემაჯამებელი წერილის ბოლო აბზაცს, მოგახსენებთ, რომ იქ ჩვენი (ამ შემთხვევაში პროექტის წარმდგენებისა და ი. ვეკუას სახ. გმი-ის დირექტორატის) ამ მიმართულებით წარმოებული მრავალწლიანი საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია ასახული და იგი ჩვენი არაერთგან გაცხადებულის პირდაპირი „რიმეკია“, რასაც, ბუნებრივია, ვეთანხმები კიდევ<sup>2</sup>. – სწორედაც რომ ამ აბზაცში აღნიშნული მიზნებითა და მიზეზებით არის განპირობებული მიმართვაში ხსენებული ლაბორატორიის ფორმირების აუცილებელი საჭიროება, რადგან, როგორც ცნობილია, თანამედროვე მათემატიკური – ლოგიკურ-ლინგვისტური თვალსაზრისებით ქართული ენა თითქმის შეუსწავლელია. ამასთან, ბატონო რამაზ, თქვენ იცით, რომ ამავე მიზეზებით იყო განპირობებული ისიც, რომ თსუ მათემატიკის ინსტიტუტში ჯერ საბაკალავრო სასწავლო კურსი დაფუძნდა, მერე კი მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდული. ამ სიმძაფრეებითვე იყო განპირობებული თსუ მათემატიკის ინსტიტუტის მხრიდან სააუნივერსიტეტო კონკურსის შემდეგ გაკეთებული შემოთავაზება ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით სააუნივერსიტეტო კურსის წარდგენაზე. ამითვე იყო განპირობებული რექტორისადმი გაკეთებული იმ სტუდენტების მიმართვა, რომლებსაც რეფორმამდე არჩეული მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკის სპეციალობით სწავლის გაგრძელების ყოველგვარი საშუალება წაერთვათ. ამავეზე იყო საუბარი სტუდენტების ამ მიმართვით ინიცირებული თსუ მათემატიკის ინსტიტუტის 9 იანვრის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, სადაც თსუ სრულმა პროფესორმა, ბატონმა დავით გორდენიანმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობებს და პრობლემის ყოველსმომცველ ოპტიმალურ გადაწყვეტ გზად თსუ-ში გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის

<sup>1</sup> როგორ უნდა გარკვეოთ ის კაცი საქმის ვითარებაში, რომელიც ნაცვლად პროექტით მოხაზული მიზნის განხორციელებისა ლეგ-ის, ანუ ლოგიკა – ენა – გამოთვლელის, ანუ ამ ახლად ფორმირებული სამეცნიერო მიმართულების „ქართული ვერსიის აწყობას“ გვთავაზობს?!

<sup>2</sup> მკითხველის ინტერესებიდან გამომდინარე ვაკეთებ ამ ბოლო აბზაცის ციტირებას მცირე კომენტარით: (ციტატის დასაწყისი)

„ამავე დროს ქართული ენის ყოველმხრივი კვლევის აუცილებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ქართული ენის კვლევა ზღბოდეს კომპლექსურად და კოორდინირებულად დუბლირებათა თავიდან აცილებისა და მაქსიმალური ეფექტის მიღწევის მიზნით საჭიროა დაიძებნოს ფორმა, რომელიც შეათანხმებს ქვეყნის მასშტაბით ამ მიმართულებით მოქმედი ჯგუფების აქტივობას“

(ციტატის დასასრული)

ეს აბზაცი გამომდინარე მისი ძირითადი შინაარსიდან ჩვენთვის აბსოლუტურად მისაღებია, თუმცა ასეთი კომისიის კეთილსინდისიერად განწყობილი და შეცდომაში არ შეყვანილი წევრი იმავე აბზაცს შემდგენიერად წარმოადგენდა: „ამავე დროს ჩვენ ვეთანხმებით საკითხის ინიციატორებს და ქართული ენის ყოველმხრივი კვლევის აუცილებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნევთ, რომ ქართული ენის კვლევა ზღბოდეს კომპლექსურად და კოორდინირებულად. ამასთან, საკითხის ინიციატორებს, ვეთანხმებით იმაშიც, რომ დუბლირებათა თავიდან აცილებისა და მაქსიმალური ეფექტის მიღწევის მიზნით საჭიროა დაიძებნოს ფორმა, რომელიც შეათანხმებს ქვეყნის მასშტაბით ამ მიმართულებით მოქმედი ჯგუფების აქტივობას“ – მათ, (მხედველობაში მყავს გ. სირბილაძე და კ. გელაშვილი), რომლებიც ჩვენ ენთუზიასტებს გვიწოდებენ (იხ. კითხვარის 6 შეკითხვა), მე ვერ მივცემ იმის უფლებას, რომ სააუნივერსიტეტო, და არა მხოლოდ სააუნივერსიტეტო, საზოგადოება გააბაიბურონ!

დაფუძნება დასახა, სადაც ეს თემატიკა სხვა თანამდევ და ასევე მნიშვნელოვან თემებთან ერთად ერთ-ერთ მიზნობრივ ხაზად განისაზღვრებოდა. ამასთან, რაც განსაკუთრებით ყურადსაღები იყო, მის გამოსვლაში ხაზი გაესვა საკითხის დროული გადაწყვეტის აუცილებლობას, რათა სტუდენტების იმ პირველ ჯგუფს, რომელთაც ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით სასწავლო პროცესი შეუწყდათ, არ დაკარგვოდათ საშუალება მათი ამ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სასწავლო ინტერესის ფარგლებში სწავლის გაგრძელებისა. – ასე რომ, ასეთ პირობებში (მხედველობაში მაქვს ის, რომ ეს მასალები ორი კვირის განმავლობაში მათ წინ ედოთ და შეისწავლიდნენ!), ჩვენ ვერ შევეგუებით უკვე წლების განმავლობაში არაერთხელ გაჟღერებული დამოკიდებულებების „რიმეიკირებასა“ და მათ ისეთ წარმოჩენას, თითქოს ეს ჭეშმარიტება მათი ამ ორკვირიანი დაძაბული მუშაობის შედეგი იყოს.

პატივისცემით, კ. ფხაკაძე.  
05. 07. 2007.

**მინაწერი:** ბატონო რამაზ, რადგან მოხდა ისე, რომ კომისიამ ასე საეჭვო, არაკომპეტენტურ ვითარებაში გაასრულა ამ მნიშვნელოვანი საკითხის ორკვირიანი განხილვა და რადგან, განხილვის ორგანოზატორების არაერთგზისი მცდელობების შედეგად მათ მოახერხეს ის, რომ მათთან წარდგენილ მასალებში თსუ მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ – მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ არარსებობის პირობებში კომისიას ეს არწარდგენილი პროექტი გაახილინეს, გთხოვთ მომცემთ საშუალება თქვენით გაფართოებული იგივე კომისიის პირობებში პროექტის სრულყოფილი წარმოდგენისა.

ამასთან, წინასწარვე მოგახსენებთ, რომ ამ ერთწლიანი პროექტით იგეგმება:

1. ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლების შემუშავება, ანუ ქართული ენის ბირთვული ნაწილის ფორმალურად განვითარებად მათემატიკურ თეორიად გადააზრება;
2. ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის საფუძვლების გადამუშავება ფორმირების პროცესში მყოფი საგანმანათლებლო სისტემის მიმდინარე და პერსპექტიული ინტერესების გათვალისწინებით;
3. ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური ურთიერთობის მარეალიზებელი პირველი ქართული ექსპერიმენტული პროგრამული სისტემის კონსტრუირება. კერძოდ, იგეგმება ისეთი ექსპერიმენტული და არაექსპერიმენტული სისტემების კონსტრუირება, როგორებიცაა:
  - 3.1. წინასწარი სწავლებისა და თვითსწავლის პრინციპებით აგებული ქართული მეტყველების ამომცნობი ექსპერიმენტული კომპიუტერული სისტემა;
  - 3.2. ქართული ენის მორფოლოგიური სინთეზატორის, ანალიზატორისა და მართლმწერის კონსტრუირება;
  - 3.3. ქართული ენის II საფეხურის ექსპერიმენტული სინტაქსური სინთეზატორის, ანალიზატორისა და მართლმწერის კონსტრუირება;
  - 3.4. ხმით და ტექსტით მოცემული ლოგიკური ამოცანების ამომხსნელი და ლოგიკური დასკვნების მაწარმოებელი და მაკორექტირებელი II საფეხურის ქართული ექსპერიმენტული პროგრამული სისტემის კონსტრუირება;
  - 3.5. ხმიდან და ტექსტიდან მათემატიკურ ენაზე ავტომატურად მთარგმნელი II საფეხურის ქართული ექსპერიმენტული პროგრამული სისტემა და ამ სისტემის გერმანულენობრივი და ინგლისურენობრივი გაფართოებების კონსტრუირება;
  - 3.6. კომპიუტერთან თავისუფალი ბუნებრივენობრივი (ე.ი. ზეპირმეტყველებითი და წერიტმეტყველებითი) ინტელექტუალური ურთიერთობის მარეალიზებელი პირველი ქართული ექსპერიმენტული პროგრამული სისტემის კონსტრუირება.

**კომენტარი:** ხომ სრულიად ნათელია, რომ რ. ბოჭორიშვილს უნდა გაეთვალისწინებია ეს მიმართვა და უნდა მოეცა ჩვენთვის იმის საშუალება, რასაც ამ მიმართვის მინაწერით ვითხოვდით, ანდა წერილობით მანც უნდა ეპასუხნა თუ ასეთ საჩოთირო პირობებში რა მიზეზით ამბობს უარს ამ შეთავაზებაზე.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,  
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს**

ბატონო დეკანო! – ვთვლი, რომ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ვალდებულია გაუკეთოს შეფასება იმ საკომისიო განხილვას, რომელიც თქვენი დავალებით შედგა და სადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში) „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ჩამოყალიბების საკითხის განხილვის ნაცვლად ისე განიხილეს და ისე მოამზადეს შემაჯამებელი დასკვნა მიზნობრივ პროგრამაზე „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“, რომ თავად ეს უმნიშვნელოვანესი და მრავალმხრივ მხარდაჭერილი პროგრამა არც კი უნახავთ! – მე არა მგონია ფაკულტეტს იმის უფლება ჰქონდეს, რომ თვალი დაუხუჭოს თავისი წამყვანი სრული პროფესორების ასეთ უპასუხისმგებლო ქცევებს! – ვის გაუგია მიზნობრივი იქნება ეს თუ რაიმე სხვა სახის პროგრამის განხილვა თავად ამ განსახილველი პროგრამის უნახავად?! – გთხოვთ მიპასუხოთ წერილობით.

ბატონო დეკანო, ჩემი ოფიციალური თხოვნის შესაბამისად თქვენ არ აჩქარდით და არ აიღეთ უაპელაციო საფუძვლად ამ უპრეცედენტო საკომისიო განხილვის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელიც, უნდა ითქვას, რომ არ არის ცალსახად უარყოფითი. – მე ვთვლი, რომ ეს თქვენი მხრიდან სწორი ქცევა იყო! – მაგრამ, თუ საკითხთა სპეციფიკების (მხედველობაში მაქვს მათემატიკური ლინგვისტიკისა და ბუნებრივი ენების ლოგიკის ქართველი სპეციალისტების ფაქტობრივი არ არსებობა და ზემოაღნიშნული თვალსაზრისებით ქართული ენისა და აზროვნების თითქმის სრული შეუსწავლელობა) და ჩემი ზემოხსენებული ოფიციალური თხოვნის შესაბამისად არ გაუკეთებთ ორგანიზებას საკითხის ღია განხილვას ფაკულტეტის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე, რაც, ბუნებრივია, შექმნილ ვითარებაში სრულიად მართებული მოთხოვნაა, მაშინ მე იძულებული ვიქნები დავასკვნა, რომ თქვენ მოქმედებთ არა სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესებით, არამედ ვიწრო დარგობრივი ხასიათის დაკვეთებით, რაც ჩემთვის ისევე მტკივნეული იქნება, როგორც ის, რომ ასეთები აღმოჩნდნენ კ. გელაშვილი და გ. სირბილაძე. – ბატონო დეკანო, თუ თქვენ არ გაქვთ დაგეგმილი საკითხის დამატებითი განხილვა, მაშინ ნუღარ დააყოვნებთ და უპასუხეთ ბატონი რექტორისაგან თქვენთან ივნისის თვეში შემოსულ მომართვას!

ქართული ენის უფლებების დამცველი,  
ოსუ მკვლევარი /კ ფხაკაძე/  
29. 10. 07.

**P.S.** ბატონო დეკანო, ღრმად პატივცემულო სამეცნიერო საბჭოს წევრებო! – გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მხრიდან გაკეთებული შემოთავაზების მიუხედავად მე უარი ვთქვი მონაწილეობა მიმელო ლოგიკისა და დაპროგრამირების ლაბორატორიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, რადგან ჩემი მიზანი არის არა საზოგადოდ რომელიმე საუნივერსიტეტო ლაბორატორიის ხელმძღვანელობა, არამედ უნივერსიტეტში მათემატიკური ლინგვისტიკისა და ბუნებრივი ენების ლოგიკის მიმართულებით რეფორმით ბლოკირებული სასწავლო პროცესების აღდგენა, რის აუცილებლობასაც ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები განაპირობებენ! – იმედი მაქვს, რომ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო არ შეეგუება ქართული ენის სამომავლო ბედ-იღბლისადმი ისეთ უდიერ დამოკიდებულებებს, როგორიც ზემოხსენებული საკომისიო განხილვისას წარმოჩინდა.

კომენტარი: რ. ბოჭორიშვილი არც ამ შემთხვევაში იძლევა რაიმე პასუხს! – ამან მაიძულა იმავე საკითხთან დაკავშირებით 2007 წლის 24 დეკემბერს განმეორებით მიმემართა რექტორისთვის, რითაც შიდა საფაკულტეტო კონფლიქტურმა ვითარებამ საუნივერსიტეტო მასშტაბები შეიძინა.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,  
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს**

ბატონო დეკანო, თხოვნით, რომ ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების, ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირებისა და თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამით „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ უკვე მიმდინარე უმნიშვნელოვანესი კვლევითი პროცესების შემდგომი აუცილებელი გაღრმავების მიზნით საბოლოოდ გადაწყვეტილიყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში) „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ჩამოყალიბების საკითხი, მე მივმართე ბატონ რექტორს 2007 წლის 22 ივნისს.

ბატონმა რექტორმა გამომდინარე განსახილველის სპეციფიკიდან საკითხის შესწავლა და მასზე საბოლოო დასკვნის მომზადება თქვენ დაგავალათ.

2007 წლის 29 ნოემბერს, იმის გამო, რომ საკითხი ჯერ კიდევ პასუხგაუცემელი იყო, მოვმართეთ თხოვნით ან განგეხილათ საკითხი საბოლოო დასკვნის მისაღებად, ან გეპასუხნათ რექტორისთვის, რადგან დრო, რომელიც ყოველთვის მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაშიც როლს თამაშობდა.

იმის გამო, რომ 2007 წელი იწურებოდა და საკითხი ჯერ კიდევ პასუხ გაუცემელი იყო, 2007 წლის 24 დეკემბერს იმავე საკითხთან დაკავშირებით განმეორებით მივმართე რექტორს.

მიმართვას შემდეგი სიტყვებით ვასრულებდი: „**ბატონო რექტორო, იმ შემთხვევაში, თუ 2008 წლის საუნივერსიტეტო ბიუჯეტში არ იქნება გათვალისწინებული ზემოხსენებული ლაბორატორიის ფორმირებისთვის აუცილებელი თანხები, მე ჩემი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე ვალდებული ვიქნები ბრალი დავდო უნივერსიტეტის დღევანდელ ხელმძღვანელობას უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო თემატიკის ჯერ ბლოკირებაში, მერე კი მის სრულ ანულირებაში! – შეგახსენებთ, რომ საკითხი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ღირებულებებით იტვირთება და იგი დღეს მსოფლიოში ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების გლობალურად მიმდინარე პროცესების ფონზე პირდაპირობით უკავშირდება ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მიზანს.**“

ბატონმა რექტორმა 2008 წლის იანვრის დასაწყისში ამ საკითხის ამომწურავი განხილვა ამჯერად უკვე თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს დაავალა.

დეპარტამენტში დეტალურად იქნა შესწავლილი საკითხთან დაკავშირებული საკმაოდ ვრცელი მასალა. ამის შემდგომ განისაზღვრა საექსპერტო ჯგუფის შემადგენლობა. ექსპერტებს დაევალებათ საკითხის წერილობითი რეცენზირება. ამასთან, 2008 წლის 7 თებერვალს დეპარტამენტმა საკითხის მნიშვნელობების შესაბამისად ორგანიზება გაუკეთა ღია საუნივერსიტეტო სემინარს.

სემინარზე საშუალება მომეცა ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების მიზნით დღეს მსოფლიოში გლობალურად მიმდინარე პროცესების ფონზე კიდევ ერთხელ დამესაბუთებინა ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეთა რეალობა.

სემინარი დაიხურა დეპარტამენტის წარმომადგენლის დასკვნითი სიტყვით. მან დამსწრე საზოგადებას ამცნო, რომ თითქმის ერთთვიანი განხილვის შედეგად საკითხის აქტუალობა დაადასტურა განხილვაში მონაწილე ყველა ექსპერტმა, რის საფუძველზეც დეპარტამენტში გამოიკვეთა დასაბუთებული თვალსაზრისი განსახილველი საკითხის აქტუალობის თაობაზე, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისებით.



აქვე მინდა ხაზი გავუსვა ამ მანამდე კონფლიქტური საკითხის საექსპერტოდ გამოყოფილი ჯგუფის დაკომპლექტების იმ ერთადერთ მართებულ გადაწყვეტას, რაც დეპარტამენტში საკითხის წინასწარი შესწავლის დროს შემუშავდა. მხედველობაში მაქვს ის, რომ ექსპერტთა შორის იყვნენ როგორც საკითხისადმი მანამდე კრიტიკულად განწყობილი (თსუ სრული პროფესორები კ. გელაშვილი, გ. სირბილაძე, მ. ხაჩიძე), ისე მომხრე (არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ლ. ეზუგბაია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი კ. გაბუნია), ასევე ამ თვალსაზრისებით ნეიტრალური ექსპერტები (მათ შორის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ო. კაპანაძე).

ხაზი მინდა გავუსვა იმასაც, რომ განხილვის ერთ-ერთ საფუძვლად იქცა 24 დეკემბრის ზემოხსენებულ მიმართვაზე თანრთული ნაშრომი სათაურით „**ცისფერი მთები ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად**“, რომელიც მე თქვენ ჯერ კიდევ 29 ნოემბრის მიმართვამდე მოგაწოდეთ.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით რექტორმა ჩემი 2007 წლის 22 ივნისის მიმართვისა და იმავე საკითხთან დაკავშირებით 2007 წლის 24 დეკემბრის განმეორებით მიმართვის პასუხად 2008 წლის 20 თებერვალს თქვენ №2687 წერილით მოგმართათ. იმავე დღეს მე ჩემი ინიციატივით შეგხვდით თქვენ და გთხოვეთ გაგეცნოთ ჩემთვის რექტორის პასუხი, რაზედაც თქვენ მე უარი მითხართ.

მიუხედავად ამისა, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ ამ წერილით რექტორი გავალებთ შემომთავაზოთ სასწავლო კურსის წარმოდგენა. ამასთან, ბატონო დეკანო, მიაქციეთ ყურადღება, წერილი, რომელიც რექტორმა თქვენთან გადმოაგზავნა, კოდირებულია სათაურით **თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამა „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“**, რაც თქვენთვის არ ვიცი, მაგრამ ჩემთვის, იმ ყველაფრის გათვალისწინებით, რაც ამ პროგრამის გარშემო უკვე იყო, ფრიად ნიშანდობლივია!

სადეპარტამენტო განხილვის შემდგომ საკითხის გასწვრივ კონსულტირებისას მე მითხრეს, რომ ფაკულტეტს უკვე მიმდინარე სემესტრშივე უფლება აქვს აქტუალური სასწავლო მიმართულების განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვას აკადემიური საშტატო ერთეული. მითხრეს ისიც, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტი სამმილიონნახევარია და რომ ფაკულტეტს ასეთი საშტატო ერთეულის დაშვების ფინანსური საშუალება აქვს. ამასთან, ლაბორატორიის თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები ექვემდებარებიან და ემსახურებიან უკვე არსებულ სასწავლო მიმართულებებს, მირჩიეს, რომ მიმართვით მოთხოვნილი „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ფორმირების საკითხი შესაბამისი სასწავლო მიმართულების ფორმირების საკითხის შემდგომ გამეაქტიურებინა. თუმცა, მითხრეს ისიც, რომ თუ ფაკულტეტი გამოძებნის ლაბორატორიის და სასწავლო მიმართულების პარალელურად ფორმირების გზებს, უნივერსიტეტი, გამომდინარე ამ საკითხთა აქტუალობის თაობაზე უკვე გამოკვეთილი დამოკიდებულებებიდან, მხარს დაუჭერს საკითხის ასეთ სრულ გადაწყვეტას.

ბატონო დეკანო, აქედან გამომდინარე აღარ ველოდები თქვენს შემოთავაზებას და გთავაზობთ საკითხის გადაწყვეტის ჩემულ ხედვას:

- ა) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის, ანუ ლოგიკის, ენისა და გამოთვლების სასწავლო მიმართულების გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობიდან გამომდინარე, რაც პირდაპირობით უკავშირდება ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების, ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების მიზნებს, ფაკულტეტი უშვებს ერთ დამატებით აკადემიურ საშტატო ერთეულს. ამასთან, თქვენ მე მავალებთ და მე წარმოგიდგენთ „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საბაკალავრო

კურსს”. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მომავალი სემესტრის უკვე დაკომპლექტებული სალექციო ბაღე არ იძლევა თუნდაც საფაკულტეტო არჩევითი კურსის სახით „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საბაკალავრო კურსის” სასწავლო პროცესში ჩართვას, რაც, უნდა გითხრათ, ჩემთვის სრულიად გაუგებარია, მაშინ აქტუალური სასწავლო მიმართულებით ზემოთ შემოთავაზებული აკადემიური საშტატო ერთეულის დასაშვებ საფუძვლად თქვენ შეგიძლიათ დაეყრდნოთ იმ საათობრივ დატვირთვას, რომელიც მე უნდა მქონდეს „ბუნებრივი ენების ლოგიკისა“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ უკვე წარმოდგენილ ღია საუნივერსიტეტო არჩევით კურსებზე.

ბ) იმ შემთხვევაში თუ მე მომეცემა საშუალება აკადემიური საშტატო დატვირთვით ვუხელმძღვანელო ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო მიმართულებას, რომელიც რეფორმამდელ უნივერსიტეტში თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით ერთხელ უკვე იყო დაფუძნებული, არა თუ თანახმა ვიქნები, არამედ პატივად ჩავთვლი პარალელურად საზოგადოებრივ საწყისებზე ვუხელმძღვანელო აგრეთვე „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიას. – უნდა დამეთანხმოთ, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა აკმაყოფილებს როგორც აქტუალურ, ისე ოპტიმალურ საუნივერსიტეტო მოთხოვნებს!

გ) ამასთან, ამ ეტაპზე ამ ლაბორატორიის ფორმირებისთვის დამატებით სრულიად საკმარისი იქნება 1,5 ფინანსირებადი საშტატო ერთეული. ამასთან, მოგახსენებთ იმასაც, რომ სექტემბრიდან, ან უკიდურეს შემთხვევაში მომავალი საბიუჯეტო წლიდან, იმედი მაქვს, ფაკულტეტი გაგვისრულებს ლაბორატორიის საშტატო დატვირთვას, რაც საშუალებას მოგვცემს ლაბორატორიის საქმიანობაში ჩავრთოთ იმ დროისთვის უკვე საბაკალავრო სწავლება გამოვლილი ის წარმატებული სტუდენტები, რომლებმაც მიმართულებით თავიანთი სიღრმისეული ინტერესები უკვე დაადასტურეს. – უნდა დამეთანხმოთ იმაშიც, რომ ეს ფორმირების პროცესში მყოფი ახალი სამეცნიერო მიმართულების განვითარებისთვის ფრიად მნიშვნელოვანი საუნივერსიტეტო მხარდაჭერა იქნება!

ბატონო დეკანო, ამ თემატიკასთან დაკავშირებულ კონფლიქტურ საუნივერსიტეტო სიტუაციას დასაბამი 2006 წლის კონკურსის შემდგომ დაედო. კერძოდ, ჩემი №85 საკონკურსო განაცხადის თაობაზე პირველი სააპელაციო მიმართვა რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის სახელზე 2006 წლის 7 აგვისტოს გავაკეთე (იხ. თქვენთან არსებული მასალები).

ამ მიმართვაში საკითხები საკმარისი სიმძაფრით იყო დაყენებული. იქ მე ვწერდი: „იქნა თუ არა გათვალისწინებული, რომ უმძიმესი პირობების მიუხედავად მე შევძელი საქართველოში თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის, ანუ ჩომსკი-მონტეგოუსეული ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო მიმართულების დაფუძნება და რომ თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის ქართველი სპეციალისტების აღზრდა აუცილებლობის წესით არის განსაზღვრული ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი მიზნებიდან გამომდინარე? – იმ შემთხვევაში თუ ზემოაღნიშნული არ იქნა გათვალისწინებული, გთხოვთ მიპასუხოთ წერილობით იმ საფუძვლების შესახებ რის გამოც, ხოლო თუ ზემოაღნიშნული გათვალისწინებულ იქნა, მაშინ რით უნდა ავხსნათ ის, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკისა და ინფორმატიკის მიმართულებამ ფაქტიურად უარი თქვა იქ უკვე დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკის სპეციალიზაციისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალობის წამყვან კადრზე და იმის ნაცვლად, რომ საკონკურსოდ გამოყოფილი 6-ე საშტატო აკადემიური ადგილი ამ უმნიშვნელოვანესი ქვემიმართულებით გაეხარჯა, საერთოდ არ გამოიყენა იგი!“.

ამასთან, ამ მიმართვას შემდეგი მინაწერით ვასრულებდი: „P.S. ის, რომ რეფორმირებულ ფაკულტეტზე მათემატიკური ლინგვისტიკა ანუ ლოგიკა-ენა-გამომთვლელი არ არის ცალკე

ქვემდებარებად, მაშინ როდესაც ქართულენობრივი აზროვნებითი წესთწყობის შესწავლა თანამედროვე მათემატიკური – ლოგიკურ-ლინგვისტური მეთოდებით და ქართული ენის სრულმასშტაბიანი ტექნოლოგიზება დღის წესრიგში მდგარ აუცილებლობას წარმოადგენს, რეფორმირებული ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ნაკლად მიმაჩნია. – იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში წინასწარ გაწერილი გეგმისა და მიზნობრივად და ოპტიმალურად შერჩეული ვადების ფარგლებში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკა ანუ ლოგიკა-ენა-გამომთვლელი ერთ-ერთ სახელმწიფო მიზნობრივ მიმართულებად განისაზღვრება. ყველა სხვა შემთხვევაში გამოვა, რომ ჩვენ უპასუხისმგებლოდ ვეკიდებით ქართული ენის სამომავლო ბედ-იღბალს.”

ბატონო დეკანო, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი წერილობითი პასუხი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო განაცხადზე არ მიმიღია, 2006 წლის ოქტომბერში მე მომეცა საშუალება გავსაუბრებოდი ბატონ რექტორს ამ სააპელაციო საკითხებთან დაკავშირებით. საუბრის დასასრულს მან მაძღობა მითხრა გაწეული საქმიანობისთვის და მირჩია, რომ არ ავჩქარებულებოდა.

იქიდან მოყოლებული ზემო აღნიშნული სააპელაციო პროცესი ჩემი მხრიდან პრინციპული, თანმიმდევრული და კონსტრუქციული ნაბიჯებით მიმდინარეობდა და ის, რომ ეს პროცესი დროში ასე ხანგრძლივ გაიჭიმა მეტწილ განპირობებულია იმით, რომ თქვენ, როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენელი, ამ თემატიკასთან და, შესაბამისად, ჩემთან მიმართებაში არ მოქმედებდით საუნივერსიტეტო შრომითი ხელშეკრულების 2.2.1, 2.2.3, 2.2.4 და 2.2.5 პუნქტების შესაბამისად, რომელთა მიხედვით დამსაქმებელი ვალდებული იქნება „უზრუნველყოს დასაქმებულისათვის შრომის ნორმალური პირობების შექმნა, დაკისრებული ფუნქციებისა და ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულებისათვის“, „მუდმივად იზრუნოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე“, „იზრუნოს სამეცნიერო კვლევებისა და პროფესიული განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნაზე“ და „უზრუნველყოს დასაქმებულის ჩართვა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში“.

ის, რომ ეს ასეა, აშკარად დასტურდება იმით, რომ თქვენთან რექტორის მიერ ივნისის თვეში გადმოგზავნილი მიმართვა, რომელიც გამომდინარე მისი შინაარსიდან, ჩემი ინდივიდუალური სახელშეკრულებო სამეცნიერო საკვლევი თემის ფარგლებში არსებულ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს ეხებოდა, ექვსი თვის განმავლობაში თქვენ უპასუხოდ დატოვეთ.

და ეს მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრის თვეში მე უკვე წარმოდგენილი მქონდა 62 გვერდიანი ნაშრომი სათაურით „**ციფფერი მთები ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად**“, რომელზედაც ორი თვე ვმუშაობდი, და რომელშიც დეტალურად მქონდა მიმოხილული ამ საკითხის თითქმის ყველა შემადგენელი.

გარდა ამისა, თქვენი მხრიდან ჩემი და ჩემი მეტად მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო თემატიკისადმი არამართებულ დამოკიდებულებებს აშკარად ადასტურებს აგრეთვე ის, რომ მე საშუალება არ მომეცა გამეკეთებინა ჩემს მიერ 2007 წლის 22 მაისს ოფიციალურად მოთხოვნილი სემინარი თემაზე **ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუღებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ**.

ბატონო დეკანო, ერთ-ერთი საუბრისას მიზეზად იმისა, რომ ამ სემინარის ორგანიზება ვერ ხერხდებოდა, თქვენ დაასახელეთ ის, რომ ჯერ კიდევ რეალურად ვერ ამუშავდა ფაკულტეტის სამეცნიერო სემინარი, რაც, გეთანხმებით, რა თქმა უნდა არასასიამოვნოა. მაგრამ, ასეთ შემთხვევაშიც, ხომ შეგეძლოთ დაგეხვით საკითხი ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს რიგით სხდომაზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭო უარს არ იტყოდა და მხარს დაუჭერდა იმას, რომ სასემინარო საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე ფაკულტეტს ორგანიზება გაეკეთებინა თუნდაც ერთი ღია სემინარისთვის, რაც, ბუნებრივია, თქვენც შეგიწყობდათ ხელს რექტორის მხრიდან შემოსულ და ექვსი თვის განმავლობაში უპასუხოდ დატოვებულ მიმართვაზე კომპეტენტური პასუხის გაცემაში.

ამგვარად, ბატონო დეკანო, თუნდაც მხოლოდ ის, რომ თქვენ სახელმწიფო პერიოდის შვიდი თვის განმავლობაში მე არ მომეცით 2007 წლის 22 მაისის განაცხადით მოთხოვნილი სემინარის ჩატარების საშუალება, ამასთან ის, რომ თქვენ იმავე სახელმწიფო პერიოდის ექვსი თვის განმავლობაში ვერ გამონახეთ დრო საბოლოოდ განგეხილათ და გეპასუხათ რექტორისთვის ჩემ 2007 წლის 22 ივნისის მიმართვაზე, იმას, რომ ჩემთან და ჩემ სახელმწიფო მიზნობრივ თემატიკასთან მიმართებაში არ მოქმედებდით შრომითი ხელშეკრულების 2.2.1, 2.2.3, 2.2.4 და 2.2.5 პუნქტების შესაბამისად, აშკარად ადასტურებს.

ამასთან, ბატონო დეკანო, როგორც უკვე აღვნიშნე, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი წერილობითი პასუხი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო განაცხადზე რექტორისაგან არ მიმიღია, მე ვთვლი, და ვფიქრობ საფუძვლიანადაც, რომ ზემოხსენებულ სააპელაციო განაცხადს რექტორის მხრიდან პასუხი გაეცა თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტში ორგანიზებული განხილვით, რომლითაც დადასტურდა ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო აქტუალობა როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისებით.

ამგვარად, მე დღეს უფლება მაქვს ვთქვა, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის კონკურსით ბლოკირებული სასწავლო მიმართულების თაობაზე ჩემს მიერ 2006 წლის 7 აგვისტოს დაწყებული სააპელაციო პროცესი დასრულდა არა ჩემი, არამედ ჩემი და უნივერსიტეტის გამარჯვებით, რადგან მიუხედავად საკითხის დროში ხანგრძლივად მიმდინარეობისა, საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტში საკითხთან დაკავშირებით ეროვნულ და სახელმწიფოებრივ ინტერესებთან გაწონასწორებული დამოკიდებულებები გამოიკვეთა.

თუმცა, გასაგებია ისიც, რომ მხოლოდ დამოკიდებულებების გამოკვეთა არ არის საკმარისი და რომ ამავდროულად აუცილებელია ამ უკვე გამოკვეთილი დამოკიდებულებების მიზანშეწონილი და გეგმაზომიერი საუნივერსიტეტო რეალიზაციები, რაც უკვე, ბუნებრივია, საფაკულტეტო ქმედებების სფეროშია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, და მიუხედავად თქვენი მისამართით ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმული საფუძვლიანი პრეტენზიებისა, მე იმედი მაქვს, რომ ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო მიმართულებათა თაობაზე უნივერსიტეტში კიდევ ერთხელ გამოკვეთილი აქტუალობათა შესაბამისად ფაკულტეტი დაუშვებს დამატებით მიზნობრივ სახელმწიფო საშტატო აკადემიურ ერთეულს პირადად ჩემზე, რაც მე მართებულად მიმაჩნია, რადგან აქ საუბარია საქართველოში ახალი მათემატიკური დარგის ფორმირებაზე, რომლის ფორმირების მიზნები და პასუხისმგებლობები უკვე წლებია მე ვიკისრე.

ბატონო დეკანო, წინამდებარე მომართვა, რომელიც ამ დროში ხანგრძლივად მიმდინარე საკითხის ყველა შემადგენლის გადაზრებისა და შეჯერების შედეგია, ჩათვალეთ კიდევ ერთ თანამშრომლობით ნაბიჯად. იმედია იგი წაგადგებათ ეროვნული და სახელმწიფოებრივი მიზნების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საპასუხისმგებლო საქმეში.

ბატონო დეკანო, იმ შემთხვევაში, თუ ჩემს მიერ გაკეთებული მონახაზი საკითხის არამართებულ გადაწყვეტად მიგაჩნიათ, გთხოვთ გააკეთოთ ოფიციალური შემოთავაზება საკითხის თქვენეული გადაწყვეტის თაობაზე. ამასთან, გთხოვთ მომცეთ საშუალება ვნახო ის მასალა, რაც ამ საკითხთან დაკავშირებით რექტორმა თქვენ გადმოგიგზავნათ.

მეგობრული პატივისცემით,  
ქართული ენის უფლებების დამცველი /კ. ფხაკაძე/

P.S. ბოლო მოვლენები, მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ დეპარტამენტში ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი გამოკვეთილი შესაბამისი დამოკიდებულებები, არამედ ისიც, რომ კ. გელაშვილმა, გ.

სირბილაძემ და მ. ხაჩიძემ, მიუხედავად მძაფრი კონტექსტისა, შეძლეს საკითხზე ახალი ხედვის ჩამოყალიბება და მისი აქტუალობის დადასტურება, საფუძვლიან იმედს მაძლევს, რომ უნივერსიტეტის შიგნით შემდგომში გასაკეთებელ მიმართვებზე მე იძულება იმისა, რომ ხელი მოვაწერო როგორც ქართული ენის უფლებების დამცველმა, აღარ მექნება და რომ ამ უფლებებს შემდგომში, თუ ეს საჭირო გახდა, უნივერსიტეტთან ერთად ერთობლივად დავიცავთ.

ბატონო რამაზ, ყველაფერთან ერთად თქვენ ჩემთვის ბატონი დავით გორდენიანის მოწაფე ხართ, და, მერწმუნეთ, არანაირი სურვილი ვითარების შემდგომი კონფლიქტური განვითარებისა არა მაქვს, მით უფრო, რომ იმ საქმის განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობების წარმოჩენა და აქტუალიზაცია, რომლის გასწვრივაც უკვე წლებია ვურთიერთობთ, არამარტო ჩემი მცირერიცხოვანი ჯგუფის საქმიანობის შედეგია, ის არანაკლებ ბატონი დავითის საქმიანობის შედეგაცაა, რადგან სწორედ მასთან ერთად და სწორედ მისი მნიშვნელოვანი მონაწილეობით წლების განმავლობაში ვცდილობდით და შევძელით კიდევ ჩვენ ამის გაკეთება!

ამასთან, ამ მომართვას თან ვურთავ 2007 წლის 22 მაისის რიცხვით ჩემს მიერ გაკეთებულ ოფიციალურ განაცხადს სასემინარო თემაზე **ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ** და ამ განაცხადზე თანართულ თსუ მათემატიკის ინსტიტუტისა და საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის სარეკომენდაციო მხარდაჭერებს.

ამით კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით გაუკეთოთ ორგანიზება ამ მეტად საჭირო სემინარს, რომლის ანოტაციაში მე ვწერდი, რომ „**თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით „ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფში“ ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზნით წარმოებული კვლევების ძირითადი შედეგი ისაა, რომ უკვე შემუშავებულია ქართული ენის მათემატიკური თეორიის, ანუ, როგორც ჩვენ მას ვუწოდებთ, ქართული ენის ლოგიკური გრამატიკის სასაფუძვლო საკითხების ძირითადი ნაწილი.**“ – ბატონო დეკანო, იმედია რომ ახლა უკვე თქვენ აღარ თვლით იმას, რომ ჩემი ის განაცხადი, რომლითაც მე იმას ვამბობ, რომ უკვე შემუშავებულია ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხები, არ წარმოადგენს საფაკულტეტო ინტერესის საგანს!

ამასთან, მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი და ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხების შესახებ მოხსენებას სასემინარო თვალსაზრისებით უმნიშვნელოდ არ ჩათვლის, მით უფრო, რომ, როგორც ცნობილია, მათემატიკური თვალსაზრისებით ქართული ენა და აზროვნება თითქმის შეუსწავლელია!

2008 წლის 27 თებერვალი,  
კ. ფხაკაძე

კომენტარი: რ. ბოჭორიშვილი არ არღვევს ტრადიციას და არც ამ შემთხვევაში იძლევა რაიმე პასუხს! – ხაზგასასმელია, რომ ამ მიმართვით კიდევ ერთხელ ვთხოვე მას მოეცა ჩემთვის 2007 წლის 22 მაისის განაცხადით მოთხოვნილი საფაკულტეტო სემინარის (სასემინარო თემის დასახელება: ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ) ჩატარების საშუალება, თუმცა კი ამჯერადაც უშედეგოდ!

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს,  
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს**

როგორც უკვე იცით, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა 2007 წლის 24 დეკემბერს თსუ რექტორისადმი გაკეთებული ჩემი მიმართვის და ამ მიმართვაზე თანართული მასალების საფუძველზე ორგანიზება გაუკეთა საკითხის საექსპერტო განხილვას. ამასთან, დეპარტამენტმა, ა/წ 7 თებერვალს განსახილველი საკითხისადმი მიძღვნილ საუნივერსიტეტო სემინარზე საშუალება მომცა კიდევ ერთხელ წარმომედგინა საკითხთან დაკავშირებული ჩემეული ხედვები.

ამ ყველაფრის საფუძველზე დეპარტამენტმა დაადასტურა მიმართვით დაყენებული საკითხის აქტუალობა, როგორც საუნივერსიტეტო სასწავლო, ისე სამეცნიერო კვლევითი თვალსაზრისებით. ამის გათვალისწინებით, ა/წ 20 თებერვალს, 26/87 წერილით, რომელიც თქვენ გადმოგეგზავნათ, ბატონმა რექტორმა უპასუხა ჩემს 2007 წლის 24 დეკემბრის მიმართვას. ამ საკითხთან დაკავშირებით მე თქვენ ა/წ 27 თებერვალს 41/26 წერილით მოგმართეთ. ამასთან დაკავშირებით:

I. გთხოვთ მიპასუხოთ 2008 წლის 27 თებერვლის მიმართვაზე, ან წერილობით, ან უშუალოდ. ანუ, იქნებ გამონახოთ დრო ჩემთან თუნდაც 15 წუთიანი საუბრისა და სიტყვიერად მაინც მითხრათ, როგორ აპირებთ ამ მიმართვით ჩემს მიერ წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტას.

II. 7 თებერვლის ზემოხსენებულ საუნივერსიტეტო სემინარზე თსუ ასოცირებულმა პროფესორმა ვ. ანთიძემ, ითხოვა რა სიტყვა, სანიმუშოდ მიმოიხილა ჩემი 2005 წელს გამოქვეყნებული ფუნდამენტური ნაშრომის ერთი შემაღგენელი და მას ყოვლად არამართებულად „სისულელე“ უწოდა. მერე თქვა, რომ მთელი ნაშრომი „ასეთი სისულელებით არის სავსე“ და ამას ისიც დაუმატა, რომ თურმე ის, რასაც მე ვაკეთებ, „უტოპიაა“. – არადა, 2003 წელს, ვ. ანთიძემ, მხარდაჭერითი შინაარსით ხელი მოაწერა თსუ იმდროინდელი რექტორისადმი იმის კეთების აქტუალობის მასაბუთებელ მიმართვას, რასაც მან 2008 წლის 7 თებერვალს უტოპია უწოდა!

ჩემს საპასუხო გამოსვლაში მე მას შევახსენე, რომ ამ საკითხთან მიმართებაში იგი უკვე მეორედ იყენებს მეცნიერისთვის შეუფერებელ ქცევით ფორმებს (იხ. დანართი) და კიდევ ერთხელ ვთხოვე წერილობითი ფორმით გამოეხატა მისი მოსაზრებები და ამ მოსაზრებების დამადასტურებელი მისეული არგუმენტები! – გთხოვთ, დაავალოთ მას წერილობით დააფიქსიროს თუნდაც ის ერთი, იმ დღეს სასემინარო აუდიტორიასთან სანიმუშოდ გამოტანილი საკითხი. ამ შემთხვევაში მე მას წერილობითვე ვუპასუხებ, რაც, ცხადია, წაადგება საქართველოში ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის ახლა ფორმირების პროცესში მყოფი სამეცნიერო მიმართულების წარმატებული ფორმირების მიზნებს. – მეცნიერება უპირველეს ყოვლისა არის შეცდომებისა და დაზუსტებული შეცდომების დროში თანდათანობით მიმდინარე პროცესი, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის პიროვნული ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში განსხვავებული სამეცნიერო მოსაზრებების დაპირისპირებასა და კრიტიკულ შეჯერებას, რაც, ბუნებრივია, ხერხდება და რეგულირდება აკადემიური ურთიერთობათა განმსაზღვრელი ფორმების დაცვით, რომელთა შორის საკამათო საკითხის წერილობითი განხილვა ერთ-ერთი ძირითადია. – ის, რომ ვ. ანთიძე თავს არიდებს საკითხის წერილობით ფორმატში განხილვას, მით უფრო მაშინ, როცა საკითხი უშუალოდ უკავშირდება ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მიზანს, მას კარგად არ ახასიათებს.

მიუხედავად იმისა, ვ. ანთიძე წარმოადგენს თუ არა თავის კრიტიკულ მოსაზრებებს წერილობითი ფორმით, 2007 წლის 22 მაისის და განმეორებით 2008 წლის 27 თებერვლის მიმართვით მოთხოვნილ სემინარზე აუცილებლად ვუპასუხებ ჩემ 2005 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომზე „ლინგვისტური მიმართებისა და ლოგიკური ბრუნების საკითხისათვის ქართულში“ მის მიერ

გამოთქმულ მოსაზრებებს. – **თუმცა, ეს რა თქმა უნდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ამ სემინარის ჩატარების საშუალებას მოძვედით!** – ამასთან, აქვე მოგახსენებთ, რომ ეს ნაშრომი ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების მიზანთა ჭრილში და მასში მრავლად არის სამეცნიერო თვალსაზრისებით მეტად მნიშვნელოვანი განაცხადები.

III. ა/წ 7 თებერვლის საუნივერსიტეტო სემინარზე გ. ჩიჩუამ, რომელიც თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ერთ-ერთი თანახელმძღვანელია, გააკეთა მისივე თეორიული მიდგომებით რეალიზებული ქართული მეტყველების ამომცნობი და მასინთეზებელი კომპიუტერული პროგრამების დემონსტრირება. ამასთან, მან წარმოადგინა მისი ამ მეტად მნიშვნელოვანი შედეგების ამსახველი სადისერტაციო ნაშრომის წინასააპრობაციო ვარიანტი, რომელიც, ბუნებრივია, დღეს არსებული სადისერტაციო ნორმების შესაბამისად შემდგომ დახვეწასა და გასრულებას მოითხოვს.

ქართული მეტყველების კომპიუტერული ამომცნობის კონსტრუირების ამოცანის უკვე დადასტურებული აქტუალობიდან გამომდინარე კარგი იქნება თუ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო ყურადღებით მოეკიდება ამ საკითხს და ხელს შეუწყობს ამ ახალგაზრდა მკვლევარს მისი ამ ეტაპობრივი სადისერტაციო მიზნების წარმატებულად განხორციელებაში.

**კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო ამ ჩემს შესაძლოა ბოლო ოფიციალურ მომართვაში:** ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ კომპიუტერულ მეცნიერებათა ინსტიტუტის ოთხი სტუდენტისთვის, კითხვაზე ქონდათ თუ არა მათ ჩემს მიერ წარმოდგენილი მათემატიკური ლინგვისტიკის კურსის არჩევის უფლება, ამავე ინსტიტუტის წარმომადგენელს უპასუხნია, რომ მათემატიკური ლინგვისტიკის კურსზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი სტუდენტია ჩაწერილი და რომ ჯგუფის დაკომპლექტებას 15 კაცი ჭირდება, რაც თითქოსდა საშიშროებას ქმნიდა იმისა, რომ კურსის არ დაკომპლექტების შემთხვევაში, მათ ერთი კრედიტი დაეკარგებოდათ. – ამ პასუხით შემფოთებულმა სტუდენტებმა კურსზე თავიანთი არჩევანი აღარ დააფიქსირეს. ჩემთვის ეს გარემოება სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი. არადა, სავარაუდოა, რომ ასეთი დამაბნეველი პასუხი ბევრმა სხვა სტუდენტმაც მიიღო. – ბუნებრივად ჩდება კითხვა: როგორ დავაზღვიოთ სტუდენტები ასეთი არაკოლეგიალური დამოკიდებულებებისგან?

ბატონო დეკანო, იმედია არ ფიქრობთ, რომ დავილლები და საქმეს, რომელიც აქამდე მოვიყვანე, მივატოვებ! – ამასთან, გარწმუნებთ, არ მოხდება ის, რომ თსუ მათემატიკის ინსტიტუტი, ისევე როგორც კომპიუტერულ მეცნიერებათა ინსტიტუტი, ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანების გარეშე დარჩეს!

კვლავაც ქართული ენის  
უფლებების დამცველი  
კ. ფხაკაძე

2008 წლის, 14 მარტი.

კომენტარი: ამ მიმართვით რ. ბოჭორიშვილს ვთხოვე ეპასუხნა ჩემთვის 2008 წლის 27 თებერვლის მიმართვაზე და, აგრეთვე, კიდევ ერთხელ ვთხოვე მოეცა ჩემთვის 2007 წლის 22 მაისის განაცხადით მოთხოვნილი საფაკულტეტო სემინარის (სასემინარო თემის დასახელება: ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ) ჩატარების საშუალება. – იგი ამ შემთხვევაშიც არ დალატობს ტრადიციას: ანუ არც წერილობით პასუხს იძლევა და არც ასეთ ვითარებაში ასე საჭირო საფაკულტეტო სემინარს არ უკეთებს ორგანიზებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის  
დეკანის მოვალეობის შემსრულებელს,  
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს

ბატონო რამაზ,

უკვე 50 წელზე მეტია, რაც საერთო მსოფლიო მასშტაბით ინტენსიურად მიმდინარეობს კვლევითი პროცესები სხვადასხვა ენების მათემატიკური თეორიების შემუშავებისა და სხვადასხვა ბუნებრივ-ენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების მიზნით.

გამომდინარე ამ კვლევითი პროცესების კულტურული მნიშვნელობებიდან, ანუ გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის ვერშემუშავების და, შესაბამისად, საბაზისო ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის ვერკონსტრუირების შემთხვევაში ქართველი ერი შეუძლო იქნება უზრუნველყოს ქართული ენის შემდგომი არდაკნინებული არსებობა, ჩვენ ვერ კიდევ სამი წლის წინ განვსაზღვრეთ ჩვენი საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნები.

თუმცა, 2006 წლის საუნივერსიტეტო რეფორმამ, სრულიად არამართებულად დაბლოკა რა თსუ-ში ახლად დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკის საბაკალავრო სპეციალიზაცია და მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდული, მნიშვნელოვანი ბარიერები შეუქმნა ეროვნულ მიზნებთან შეთანხმებულ ჩვენს ზემოაღნიშნულ სასწავლო მიზნებს.

ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების გათვალისწინებით, მოგმართავთ თხოვნით, რომ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების სახით მხარი დაუჭიროთ მომავალი წლის თსუ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით გაუქმებული მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდულის აღდგენას. — ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს შესაბამისად ჩვენივე არაკერძო ხასიათის საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებისა ჩამოგყალიბდეთ მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტებად.

იმედი გვაქვს, რომ თსუ აკადემიური საბჭოს, თსუ რექტორის და ფაკულტეტის საბჭოს შეთანხმებული მოქმედებით გამოიძენება ამ არაუმნიშვნელო საკითხის გადამწყვეტი გზები. მით უფრო, რომ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტმა, ზოგადად განიხილა რა ზემოაღნიშნული საკითხები, 2008 წლის 7 თებერვლის საუნივერსიტეტო სემინარზე ღიად დაადასტურა ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო აქტუალობა.

პატივისცემით,

თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის  
სტუდენტები:

- /ლაშა აბზიანიძე/
- /ლაშა გურასაშვილი/
- /ნიკოლოზ ვახანია/
- /ალექსანდრე მასხარაშვილი/
- /ნიკოლოზ ფხაკაძე/

2 ივნისი, 2008 წელი.

კომენტარი: წერილობითი პასუხი ამჯერადაც არ მიგვიღია, თუმცა მთლად უპასუხოდაც არ დავრჩენილვართ: ანუ, იხილეთ დანართი 9.



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის  
დეკანის მოვალეობის შემსრულებელს  
პროფესორ რამაზ ბოჭორიშვილს,**

**თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
მათემატიკის მიმართულების პროფესორთა საბჭოს,  
მათემატიკის, წმინდა მათემატიკისა და გამოყენებითი მათემატიკის  
სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს**

ა/წ 2 ივნისს, თხოვნით, რომ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების სახით მხარი დაეჭირათ მომავალი წლის თსუ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის საუნივერსიტეტო რეფორმით გაუქმებული **მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოდულის აღდგენისთვის**, მივმართეთ თსუ რექტორსა და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს. ამასთან, იქვე აღვნიშნავდით, რომ ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემდა შესაბამისად ჩვენზე არაკერძო ხასიათის საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებისა ჩამოვყალიბებულიყავით მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტებად.

ა/წ 12 ივნისს, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის სპეციალისტმა პროფ. გ. ბარელაძემ ზეპირი შეტყობინების სახით მოგვანოხდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩვენი ამ მომართვებით წამოჭრილი საკითხი განხილული იქნა სამაგისტრო პროგრამებზე პასუხისმგებელი გაფართოებული საუნივერსიტეტო ჯგუფის სხდომაზე (თუ დასახელება არ გვემდება!). ამავე შეტყობინებით ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ამ სხდომაზე ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხის დადებით გადაწყვეტას, გამომდინარე მისი განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობებიდან, სრულად დაეჭირა მხარი (გთხოვთ მოგვანოდოთ ამ სხდომის აქ აღნიშნული სულისკვეთების ამსახველი დოკუმენტური მასალა, თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მასალა, ან ოქმის სახით, ან ანგარიშის სახით, ან რაიმე სხვა სახით საერთოდ არსებობს!). ამავე ზეპირი შეტყობინებით ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ საუბარი იყო საკითხის გადაწყვეტის 2 ვარიანტზე:

1 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს საკითხის გადაწყვეტას მათემატიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაში „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოდულის აღდგენის გზით (საკითხის გადაწყვეტის ეს ვარიანტი სრულად ემთხვევა საკითხზე ჩვენეულ ხედვას).

2 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს საკითხის გადაწყვეტას მათემატიკის მიმართულებასთან კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებისა და ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლობით მიმართულებათა შორისი სამაგისტრო პროგრამის ფორმირების გზით.

მოგახსენებთ, რომ ჩვენ თანახმა ვართ საკითხის გადაწყვეტის ორივე ვარიანტზე, რადგან ორივე შემთხვევაში ჩვენ გვეძლევა საშუალება მათემატიკური ლინგვისტიკის სპეციალისტებად ჩამოვყალიბებისა. თუმცა, ქვეყნისთვის სრულიად ახალი საუნივერსიტეტო სასწავლო ხაზის ფორმირების ლოგიკის, სირთულეების და საკითხის დროში შეზღუდულობის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, მართებულად მივიჩნევთ ზემოშემოთავაზებულთაგან საკითხის 1 ვარიანტის მიხედვით გადაწყვეტას. – ანუ, ჩვენ არ გვინდა, რომ მიუხედავად ამ კიდევ ერთი სრული მხარდაჭერისა, დროში არასწორად გაწერილი და არამართებულად გააზრებული მოქმედებების შედეგად საკითხი ამჯერადაც გადაწყვეტელი დარჩეს!

ესე რომ არ მოხდეს, ვთავაზობთ საკითხის გადაწყვეტის დროში მკაცრად გაწერილ გეგმას:

1. თსუ მათემატიკის მიმართულების პროფესორთა საბჭომ უახლოეს მომავალში (26 ივნისამდე!) მომავალი წლის სამაგისტრო საფეხურის სწავლებაზე უნდა წარადგინოს ან ერთი, ან ორი სამაგისტრო პროგრამა, რომელთაგან ერთ-ერთში „მათემატიკური ლინგვისტიკა“ ერთ-ერთ სამოდულლო ხაზად იქნება განსაზღვრული. ამასთან, საბჭომ ოფიციალურად უნდა დაავალოს სამაგისტრო პროგრამის (ან პროგრამების) შემადგენელი მოდულების ხელმძღვანელებს მათი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მოდულების საბოლოო სახით ფორმირება და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ამ მოდულების შიდასამაგისტრო თანამშრომლობის საკითხების მოწესრიგება. – ამასთან, იმ გამოცდილების გათვალისწინებით, რომ მიმართულებამ წინა სასწავლო წელს ვერ მოახერხა არა თუ ორი, ერთი სამაგისტრო პროგრამის დაკომპლექტებაც კი, ჩვენი აზრით, ფიქრი იმაზე, გაკეთდეს ორი,

თუ ერთი სამაგისტრო პროგრამის წარდგინება, გაუმართლებელია, როგორც ლოგიკური, ისე სტატისტიკური, ანუ, მთლიანობაში, შედეგობრივი თვალსაზრისებით.

2. ამ შემთხვევაში, ანუ იმ შემთხვევაში, თუ 26 ივნისამდე თსუ მათემატიკის მიმართულებას ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით უკვე განსაზღვრული ექნება მომავალი სასწავლო წლის სამაგისტრო პოლიტიკა, ჩვენ, 26 ივნისს დაგეგმილ საუნივერსიტეტო ღონისძიებაზე (იხ. დანართი), წარდგინებასა და რეკლამირებას გავეუკუთებთ როგორც მიმართულების სამაგისტრო პროგრამას (ან პროგრამებს), ასევე ამ სამაგისტრო პროგრამაში (ან პროგრამებში) არსებულ მოთანამშრომელ მოღვაწეებს. ამასთან, ბუნებრივია, უფრო მეტი მოცულობითა და დეტალურობით შევეხებით „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოდულს. – ასეთ შემთხვევაში, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს გარდა კიდევ სხვა მსრუველებიც გამოჩნდებიან სამაგისტრო საფეხურის სწავლის თსუ მათემატიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამის (ან პროგრამების) ფარგლებში გაგრძელებისა. – ის, თუ რამდენ რამდენ მოდულიან სამაგისტრო პროგრამას წარადგენს მიმართულება, ცხადია, მიმართულების პროფესორთა საბჭოს გადასაწყვეტია. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გასათვალისწინებელია წინა წლის წარუმატებელი გამოცდილება და ისიც, რომ წელს მათემატიკის მიმართულებით მხოლოდ ექვსი საბაკალავრო ნაშრომი კეთდება.

ნათელია, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულება მოვალეა საბაკალავრო სწავლების მეოთხე კურსის სტუდენტების საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესის დასრულებამდე გააკეთოს მათთან თავისი სამაგისტრო პროგრამის (ან პროგრამების) ღია და საჯარო წარდგინება, როგორც პროგრამის (ან პროგრამების) სასწავლო მიზნებისა და ამოცანების, ისე მისი (ან მათი) ფინანსური ჩარჩოების გათვალისწინებით. – ასეთ, და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, მიმართულება შეძლებს სამაგისტრო პროგრამით (ან პროგრამებით) დროულად დააინტერესოს მიმართულების მიმდინარე წლის საბაკალავრო გამოშვების სტუდენტები (და არა მხოლოდ ისინი!).

გარდა ამისა, ასეთ, და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, მიმართულების სამაგისტრო პროგრამით (ან პროგრამებით) დაინტერესებულ ბაკალავრებს მიეცემათ საშუალება ან საბანკო-სასესხო, ან კერძო-საგრანტო, ან სახელმწიფო-საგრანტო დახმარების სახით დროულად უზრუნველყონ თავ-თავიანთი სასწავლო სამაგისტრო მიზნები.

ნათელია, რომ მიმართულების სამაგისტრო პროგრამის (ან პროგრამების) ზემოაღნიშნული სახის წინასწარი ღია და საჯარო არწარდგენის შემთხვევაში, საბაკალავრო სწავლების დამასრულებელი კურსის სტუდენტებს ფაქტობრივ ერთმევათ მათი სამაგისტრო საფეხურის სასწავლო მიზნების დროში უწყვეტი და გააზრებული დაგეგმვის მათთვის ფრიად მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, რაც, ბუნებრივია, მიმართულების მხრიდან სტუდენტების უფლებების უხემ დარღვევადაც კი შეიძლება შეფასდეს.

პატივისცემით,

თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის  
სტუდენტები:

/ლაშა აბზიანიძე/  
/ლაშა გურასაშვილი/  
/ნიკოლოზ ვახანია/  
/ალექსანდრე მასხარაშვილი/  
/ნიკოლოზ ფხაკაძე/

2008 წლის 17 ივნისი

**კომენტარი:** წერილობითი პასუხი ამჯერადაც არ არის. თუმცა მთლად უპასუხოდ არც ამჯერად არ დავრჩენილვართ: ანუ, იხილეთ დანართი 10.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს  
პროფესორ გიორგი ზუბუას

ბატონო რექტორო, ა/წ 2 ივნისს ჩვენ მოგმართეთ თხოვნით, რომ საუნივერსიტეტო გადაწყვეტილების სახით მხარი დაგეჭირათ მომავალი წლის თსუ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით გაუქმებული მათემატიკური ლინგვისტიკის სამაგისტრო მოღულის აღდგენისთვის, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემდა შესაბამისად ჩვენთვის არაკერძო ხასიათის საუნივერსიტეტო სასწავლო მიზნებისა ჩამოვყალიბებულიყავით ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის პირველ ქართველ სპეციალისტებად.

10 ივნისს თქვენ საკითხი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით გადაუგზავნეთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს.

12 ივნისს პროფ. გ. ბარელაძემ ზეპირი შეტყობინების სახით მოგვაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ჩვენი ამ მომართვით წამოჭრილი საკითხი განხილული იქნა სამაგისტრო პროგრამებზე პასუხისმგებელი გაფართოებული საუნივერსიტეტო ჯგუფის სხდომაზე (თუ დასახელება არ გვემლება!).

ამავე ზეპირი შეტყობინებით ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ ამ სხდომაზე საკითხის გადაწყვეტას, გამომდინარე მისი განსაკუთრებული ეროვნული მნიშვნელობებიდან, სრულად დაეჭირა მხარი და რომ ამ განხილვისას გამოიკვეთა მისი გადაწყვეტის ორი შესაძლო ვარიანტი:

1 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მოღულის აღდგენას მათემატიკის მიმართულების მიერ სამაგისტროდ წარდგენილ ერთ-ერთ პროგრამაში (საკითხის გადაწყვეტის ეს ვარიანტი სრულად ემთხვევა საკითხზე ჩვენეულ ხედვას!).

2 ვარიანტი: ეს ვარიანტი გულისხმობს მათემატიკის მიმართულებასთან კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლობით მიმართულებათაშორისი სამაგისტრო პროგრამის ფორმირებას.

ამასთან დაკავშირებით: ა/წ 24 ივნისს ჩვენ გვქონდა პირადი საუბარი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელთან ბ-ნ რ. ბოჭორიშვილთან.

ჩვენს შეკითხვაზე აპირებდა თუ არა ფაკულტეტი საკითხის ზემოაღნიშნული 1 ვარიანტის მიხედვით გადაწყვეტას მან გვიპასუხა, რომ უნივერსიტეტში მოღულებიანი სამაგისტრო პროგრამები დაშვებული არ არის, რაც ფრიად მოკლევნებისანი ტყუილია.

გარდა ამისა, თუ, როგორც რ. ბოჭორიშვილი ამბობს, უნივერსიტეტში მოღულებიანი სამაგისტრო პროგრამები დაშვებული არ არის, მაშინ რატომ შემოგვთავაზა სამაგისტრო პროგრამებზე პასუხისმგებელმა გაფართოებულმა საუნივერსიტეტო ჯგუფმა საკითხის გადაწყვეტის ზემოაღნიშნული 1 ვარიანტი?! – ეს მით უფრო გაუგებარია ხდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ როგორც ჩანს უოქმოდ ჩატარებულ სხდომას თავად რ. ბოჭორიშვილიც ესწრებოდა.

ბატონო რექტორო, მაღლობას გინდით 26 ივნისის საუნივერსიტეტო ღონისძიების ორგანიზებაში მხარდაჭერისთვის.

ამასთან, იმედი გვაქვს, რომ ვერ იქნება წარმატებული რ. ბოჭორიშვილის ის ჩვენთვის ყოვლად აუხსნელი მცდელობები, რომლითაც იგი ცდილობს დაიბლოკოს ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით უნივერსიტეტში დღეს მიმდინარე მოძრაობა.

პატივისცემით,

თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
IV კურსის სტუდენტები:

- /ლაშა აბზიანიძე/
- /ლაშა გურასაშვილი/
- /ნიკოლოზ ვახანია/
- /ალექსანდრე მასხარაშვილი/
- /ნიკოლოზ ფხაკაძე/

25 ივლისი, 2008 წელი.

კომენტარი: ხომ სრულიად ნათელია, რომ წერილობითი პასუხების შემთხვევაში ასეთი არაფრის მომცემი ზეპირთხრობითი რიტორიკები არ იქნებოდა!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს  
პროფესორ გიორგი ზუბუას

ბატონო რექტორო, მოგმართავთ 2004 წლიდან თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელი გ. ჩიჩუა.

პროგრამაში, რომლის ხელმძღვანელიცაა ბ-ნ კ. ფხაკაძე და რომელიც წელსაც თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის სახით უნივერსიტეტმა ეროვნულ სამეცნიერო ფონდში საგრანტო დაფინანსებაზე წარადგინა, მე მეტყველების სინთეზისა და ამოცნობის მიმართულებას თანახელმძღვანელობ.

ბატონო რექტორო, თქვენთვის კარგადაა ცნობილი ზემოაღნიშნული თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განსაკუთრებული აქტუალობა, რაც კიდევ ერთხელ ღიად გაცხადდა 2008 წლის 7 თებერვალს თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ საუნივერსიტეტო სემინარზე.

ამ სემინარზე მე მომეცა საშუალება წარმედგინა ზემოაღნიშნული პროგრამის კვლევითი მიზნების გათვალისწინებით მომზადებული ქართული მეტყველების ამომცნობი პროგრამული სისტემა და ბ-ნ კ. ფხაკაძის ხელმძღვანელობით გასრულებული ჩემი სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის წინასააპრობაციო ვარიანტი. სემინარზე ცალსახად დაეჭირა მხარი როგორც სადისერტაციო ნაშრომის მაღალ აქტუალობას, ისე წარმოდგენილი შედეგების მაღალ ადგილობრივ მნიშვნელობებს.

საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი ჯგუფის ფარგლებში მიმდინარე კვლევების საფუძველზე ჩემს მიერ შემუშავებული პროგრამული სისტემის გარდა, ქართული მეტყველების ამომცნობი სხვა პროგრამული სისტემა არ არსებობს. არადა, სრულიად ნათელია, რომ ქართული მეტყველების ამომცნობი სისტემის ვერ კონსტრუირების შემთხვევაში ქართულ ენას ახლო მომავალში საგრძნობლივ შეეზღუდება კულტურული აქტივობის შესაძლებლობები.

ის, რომ ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების მიზნით მთელი რიგი ენობრივი სისტემები მათემატიკური თვალსაზრისებით თითქმის ამომწურავადაა შესწავლილი და ის, რომ ამ კვლევების საფუძველზე ამ ენებისთვის უკვე კონსტრუირებულია საკმარისი ძალის მეტყველების ამომცნობი სისტემები, ცხადს ხდის იმას, რომ ქართული მეტყველების ამომცნობი სისტემის კონსტრუირების მიზნით საქართველოში მიმდინარე კვლევები შემდგომ აუცილებელ თანადგომასა და მხრდაჭერას ითხოვს.

ბატონო რექტორო, ჩემი სადოქტორო თემისა და წინასააპრობაციო ნაშრომის წარმატებული წარდგინება მე გავაკეთე აგრეთვე ა.წ. 1 ივლისს თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ საუნივერსიტეტო სემინარზე და ა.წ. 25 ივლისს საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სემინარზე. რომელსაც რუსთველის ფონდის წარმომადგენლობაც ესწრებოდა. ამასთან, მოგახსენებთ, რომ ჩემი კვლევის შედეგები პრეზენტაციების, სემინარებისა და პუბლიკაციების მეშვეობით ფართოდ ცნობილია საკითხით დაინტერესებული სამეცნიერო წრეებისათვის, მათ შორის ჩემს შედეგებს კარგად იცნობენ არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტშიც.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში კ. ფხაკაძის ხელმძღვანელობით უკვე თითქმის გასრულებული ჩემი სადოქტორო ნაშრომის აქტუალობიდან გამომდინარე ჩემთვის დაუშვათ მიზნობრივი დოქტორანტურა მათემატიკურ ლინგვისტიკაში, რის გარეშეც, ბუნებრივია, მე გამიჭირდება ქართული მეტყველების ამომცნობი სისტემის კონსტრუირების მიზნით უკვე წარმოებული კვლევების საბოლოო შეჯამება. – ბატონო რექტორო, მათემატიკური თვალსაზრისებით ქართული მეტყველების თითქმის სრული შეუსწავლელობისა და მეტყველების გამოცნობაში მათემატიკური მეთოდებით მომუშავე ადგილობრივი სპეციალისტების თითქმის სრული არ არსებობის პირობებში ჩემი საკითხისადმი მიზნობრივ დამოკიდებულებათა აუცილებლობა სრულიად ნათელია!

პატივისცემით,  
თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელი /გ. ჩიჩუა/

24.09.08.

**კომენტარი: ბ-ნმა რექტორმა მიმართვა დაუყოვნებლივ გადაუგზავნა ფაკულტეტს. დღემდე არანაირი პასუხი არ არის!**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის  
დეკანის მოვალეობის შემსრულებელს პროფესორ რ. ბოჭორიშვილს**

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, იმ არაადეკვატური დამოკიდებულებებისადმი პროტესტის ნიშნად, რასაც თქვენ იჩენთ ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნის და პასუხისმგებლობის შესაბამისად 2004-2006 წლებში თსუ-ში ერთხელ უკვე დაფუნდებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის სასწავლო ხაზებისადმი, გაცნობებთ, რომ მიმდინარე სემესტრში უარს ვამბობ „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ თავისუფალი კურსების წაყვანაზე.

**თავისუფალი სასწავლო კურსის მიზანია შესაბამისი სრულფასოვანი სასწავლო კურსის „რეკლამირება“.** ამდენად, არსებობა „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ თავისუფალი კურსების და არ არსებობა შესაბამისი სრულფასოვანი სასწავლო კურსების, არაფრით არ განსხვავდება იმ „საქონლის“ რეკლამირებისგან, რომელიც გაყიდვაში არ არის!

არშემოთავაზება „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო კურსების, რომელთა თაობაზე ჩემთვის შემოთავაზების გაკეთების თხოვნით თქვენ რექტორმა ჯერ კიდევ 2008 წლის 20 თებერვალს მოგმართათ, და ამ არშემოთავაზების არგუმენტირება იმით, რომ მე უკვე მიმყავდა „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ თავისუფალი, ანუ „სარეკლამო“ კურსები, ცალსახად ადასტურებს იმას, რომ თქვენ ცუდად ერკვევით სტუდენტის არჩევანზე ორიენტირებული სასწავლო სისტემის იდეოლოგიურ საფუძვლებში. – რატომ უნდა გაიხარავოს საუნივერსიტეტო სახსრები „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ „სარეკლამო“ კურსებზე და რა გამართლება აქვს სტუდენტების ამ სასწავლო ხაზებით დაინტერესებას თუ მათ ამავე ხაზების გასწვრივ სრულფასოვან სასწავლო კურსებს აღარ შევთავაზებთ?

ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ გემოქმედათ რექტორის 2008 წლის 20 თებერვლის თხოვნის შესაბამისად, რაც საკითხის ერთოვანი დახურული საექსპერტო განხილვის და 2008 წლის 7 თებერვლის ღია საუნივერსიტეტო სემინარის შედეგებს ემყარებოდა, თქვენ იმოქმედეთ სრულიად საპირისპიროდ, რაც, საბოლოო ჯამში, ჩემს მიერ ზემოთ დასაბუთებულად წარმოჩენილი საფაკულტეტო აბსურდის მიზეზად იქცა! – გაუგებარია რა საჭირო იყო ეს ერთოვანი საექსპერტო განხილვა და 2008 წლის 7 თებერვლის ღია საუნივერსიტეტო სემინარი, რომელსაც თქვენ არც კი დაესწარით, და რისთვის გაიღო უნივერსიტეტმა ამ ღონისძიებებისთვის საჭირო თანხები, თუ მერე საკითხს თქვენ მაინც თქვენი ნება-სურვილის მიხედვით გადაწყვეტდით!

თქვენი ასეთი უდიერი დამოკიდებულებების გამო ზოგჯერ ისეთი გრძნობა მიჩნდება, რომ პირველ ქართულ უნივერსიტეტში საქართველო აღარ არის, რადგან ხომ სრულიად ნათელია, რომ საქართველოში ქართული ენის უფლებების დაცვისათვის მე ბრძოლა არ უნდა მიხდებოდეს!

დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, თუ ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების საფაკულტეტო განხილვის მიზნით 14-15 ნოემბრამდე არ დაინიშნება ოფიციალური საფაკულტეტო სემინარი თემაზე „ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“ და თუ არ შედეგება ღია და საჯარო საუბრები ამ საფრთხეების აღმოფხვრისათვის ფაკულტეტზე განსაზოცილებელი ქმედებების თაობაზე, იმ მიზნით, რომ 2009 წლის საფაკულტეტო ბიუჯეტში განისაზღვროს შესაბამისი თანხობრივი განაკვეთები „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის“ მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიისა და „ბუნებრივი ენების ლოგიკისა“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მიმართულებით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის მიზნობრივი სასწავლო პროცესების სარეალიზაციოდ, მაშინ თქვენ მიიღებთ იმას, რასაც არაეროვნულ და არასახელმწიფოებრივ ნიადაგზე მდგარი თანამდებობის პირი იმსახურებს.

გაუგებარია, რისთვის იხარჯება მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებზე გამოყოფილი საუნივერსიტეტო საბიუჯეტო თანხები და ქართული სახელმწიფოებრივი თვალსაზრისებით რა უფრო მნიშვნელოვანი სასწავლო მიზნებითაა დაკავებული ეს მიმართულებები, ვიდრე ეს იქნებოდა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების და საბაზისო ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნებით პირველი ქართველი სპეციალისტების აღზრდა?! – ან იქნებ თქვენ თვლით, რომ ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების მიუხედავად ამ მიმართულებებზე სასწავლო მიზნები და პრიორიტეტები ამ საფრთხეების გაუთვალისწინებლად უნდა განისაზღვროს?! –

როგორც ჩანს თქვენ ასე თვლით, რადგან მიუხედავად თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ამ მიზნებით ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის უკვე დადასტურებული საუნივერსიტეტო აქტუალობისა, თქვენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მათი აქტუალიზების მიმართულებით არცერთი ნაბიჯი არ გადავიდგამთ! – ანდა იქნებ თქვენ მიიჩნევთ, რომ არანაირი ზემოაღნიშნული სახის საფრთხეები ქართული ენის წინაშე არ დგას?! – მაშინ, კეთილი ინებეთ და გამობრძანდით ზემომოთხოვნილ ღია საფაკულტეტო სემინარზე და საჯაროდ დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება!

ქართული ენის უფლებების დამცველი,  
/კ. ფხაკაძე/  
2008 წლის 6 ნოემბერი.

**მინაწერი:** საქმე, რომელზედაც მე ვზრუნავ, ანუ საქმე, რომელსაც შენ ხელს უშლი, იმდენად მართალია, რომ არ გირჩევ ამ სიმართლესთან ასეთ ზურგშექცეულ დგომას! – ჯერ კიდევ გაქვს დრო დაძლიო შინაგანი წინააღმდეგობანი და იმოქმედო არა ჩვენი ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ურთიერთობებიდან, არამედ საქმის მნიშვნელობებიდან გამომდინარე, რადგან, საბოლოო ჯამში, აქ ყველაფერი შეფასდება არა ჩვენი ურთიერთობებით, არამედ თავად ამ საქმის მნიშვნელობებით! – 2008 წლის 26 ივნისს თქვენი ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივითა და რექტორის მხარდაჭერით ივ. ჯავახიშვილის სხდომათა დარბაზში შედგა სადისკუსიო ხასიათის სემინარი თემაზე „ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანა და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“. – თქვენ ამ სემინარს არ დაესწარით, არ შეხვედით სტუდენტებთან თემის გასწვრივ დიალოგში: არც ის უთხარით მათ, რომ არანაირი საფრთხეები ქართული ენის წინაშე არ დგას და არც ის, თუ რა გეგმები ჰქონდა ფაკულტეტს ამ საფრთხეების აღმოფხვრის მიმართულებით. – ამასთან დაკავშირებით გეკითხებით: **გაქვთ თუ არა რაიმეგვარი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება თქვენს სტუდენტებთან და ქართულ ენასთან მიმართებაში?!**

1. დეკანის მოვალეობის შემსრულებლო, ის სტუდენტები, რომლებიც თქვენგან განსხვავებით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კულტურული დაკნინების საფრთხის წინაშე მდგარი ქართული ენა როგორმე ამ საფრთხეს ააშორონ, დღეს თქვენი ფაკულტეტის მაგისტრანტები არიან.

ეს ის სტუდენტები არიან, რომლებსაც 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით უკვე გაკეთებული სასწავლო არჩევანი წაართვით, რითაც უკვე ერთხელ უხეშად დაარღვიეთ მათი საუნივერსიტეტო უფლებები.

ის, რომ მათ მათ მიერვე არჩეული სპეციალობით სწავლის გაგრძელების საშუალება წაერთვათ აშკარად დასტურდება იმით, რომ ა. მასხარაშვილის საბაკალავრო ნაშრომი „ზოგიერთი რთული წინადადების მათემატიკური ანალიზი“, ნ. ფხაკაძის საბაკალავრო ნაშრომი „შემამოკლებელი სიმბოლოების შესახებ ქართულ ენაში“ და ლ. აბზიანიძის საბაკალავრო ნაშრომი „მათემატიკური მეთოდებით აგებული მართლმწერი ქართული მარტივი წინადადებისათვის“ ოფიციალურად გაფორმდა როგორც საბაკალავრო ნაშრომები სპეციალობით „აღგებრა-გეომეტრია“! – რა შუაშია ეს საბაკალავრო ნაშრომები და „აღგებრა-გეომეტრია“! – ის, რომ თქვენ რექტორს ატყუებთ, როდესაც ჩემი სააპელაციო თხოვნის კონტრარგუმენტად იმას ეუბნებით, რომ ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით კონკურსამდელი ვითარება კონკურსის შემდეგ არ შეცვლილა, სრულად დასტურდება ამ სამარცხვინო საფაკულტეტო ფაქტით!

თქვენ რექტორს მაშინაც ატყუებთ, როცა ჩემი ზემოხსენებული სააპელაციო თხოვნის კიდევ ერთ კონტრარგუმენტად იმას ეუბნებით, რომ ბუნებრივი ენების ლოგიკა და მათემატიკური ლინგვისტიკა არ ექცევა მათემატიკის ფარგლებში და რომ ეს სასწავლო დისციპლინები კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების ფარგლებშია: 2004 წლის 18 ივნისს იმდროინდელი მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა ბუნებრივი ენების ლოგიკით გააფართოვა მათემატიკური ლოგიკის სპეციალიზაცია და ამით პირველად საქართველოში დააფუძნა მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკის სპეციალიზაცია, რომელიც მთელი მოცულობით ჯდება მათემატიკის დაფუძნებისა და მათემატიკური ლოგიკის ფარგლებში, რაც იმედია იცით, რომ მათემატიკის ფარგლებშია!

ამასთან, დავუშვათ ბუნებრივი ენების ლოგიკა და მათემატიკური ლინგვისტიკა მთელი მოცულობით მოქცეულია მხოლოდ კომპიუტერულ მეცნიერებების მიმართულების ფარგლებში: ასეთ პირობებში, როცა უკვე ცნობილია, რომ ამ დარგების ქართველი სპეციალისტების დაჩქარებული ფორმირების გარეშე ვერაფრით ვერ მოხერხდება ქართული ენის არდაკნინებული არსებობის უზრუნველყოფა, ეროვნული ინტერესებით მოქმედ დეკანს ამავე ინტერესებით მოქმედი რექტორისთვის ის უნდა ეთქვას, რომ ეს სასწავლო ხაზები კურუკულუმში არ ჯდებაო, თუ იმაზე უნდა ეზრუნა, რომ კომპიუტერულ მეცნიერებების მიმართულების ფარგლებში თემატიკის ჩასმის გზები გამოეძებნა?!

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ თქვენთვის, როგორც ჩანს, სულ ერთია როგორც ქართული ენის ბედ-იბაღი, ისე უნივერსიტეტის ფუნდამენტური ვალდებულება დააკმაყოფილოს სტუდენტის სასწავლო ინტერესი, მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები რათა თქვენს მაგისტრანტებს მიეცეთ საშუალება თავიანთი სამაგისტრო სწავლების კონკურსამდე არჩეული სასწავლო მიმართულების ფარგლებში წარმართვისა, რათა ისინი ამავე მიმართულებით უწყვეტ რეჟიმში გადავიდნენ სადოქტორო საფეხურის სწავლებაზე. – ყველა სხვა შემთხვევაში ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების ხარისხი საგრძნობლად იზრდება, რაც გასაგებს ხდის იმას, რომ აქ წამოჭრილი პრობლემა არის არა პიროვნული, არამედ ეროვნული ინტერესებისა და მნიშვნელობების მქონე საკითხი. - იმედი იმისა, რომ აქ ჩემი მხრიდან რაიმეგვარი კომპრომისი იქნება, ნუ გექნებათ!

2. დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, მე არაერთხელ მოგმართეთ თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელის გ. ჩიჩუას თაობაზე, რომელსაც უკვე მზად აქვს თავისი მეტად აქტუალური სადისერტაციო ნაშრომის „მეტყველების გამოცნობა და სინთეზი“ სააპრობაციო ვარიანტი.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ჩიჩუას ზემოაღნიშნული სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი ვარ (თუმცა ეს ჩემი ხელმძღვანელობა მხოლოდ ვიწრო მათემატიკური და ლინგვისტური ასპექტებით იფარგლება), ოფიციალურად არ მეძლევა უფლება ვიყო გ. ჩიჩუას ზემოაღნიშნული სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ არ ვარ უნივერსიტეტის აკადემიური სამსახურით ერთეული, რაც, თავის მხრივ, 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსის იმ არასწორი გადაწყვეტილების შედეგია, რომლის თაობაზე გაკეთებული ჩემი სააპელაციო მოთხოვნის გაბათილებასაც თქვენ თქვენთვის ჩვეული ტყუილებით ცდილობთ.

ეს მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის ამ ახალგაზრდა მკვლევარს განვითარდეს მისი მეტად მნიშვნელოვანი საკვლევო თემატიკის გასწვრივ, არადა მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ გ. ჩიჩუა დღესდღეობით არის მეტყველების გამოცნობაში მათემატიკური მეთოდებით მომუშავე ერთადერთი ქართველი სპეციალისტი და ეს მაშინ, როდესაც მთელი რიგი ენებისთვის კომპიუტერული ამომცნობის კონსტრუირების ამოცანა საბედნიეროდ ჯერჯერობით არასრული, მაგრამ უკვე საკმარისი მოცულობითაა გადაჭრილი.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ თქვენთვის, როგორც ჩანს, სულ ერთია როგორც ქართული ენის ბედ-იბაღი, ისე თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელის გ. ჩიჩუას სადისერტაციო პრობლემები, მოგიწოდებთ დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები, რათა მას მიეცეს საშუალება თავისი მეტად მნიშვნელოვანი სადისერტაციო მიზნების წარმატებული გასრულებისა, რაც ბუნებრივად ითხოვს ფაკულტეტზე მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით სადოქტორო საფეხურის სწავლების ორგანიზებას. – ყველა სხვა შემთხვევაში ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების ხარისხი საგრძნობლად იზრდება, რაც გასაგებს ხდის იმას, რომ წამოჭრილი პრობლემა არის არა პიროვნული, არამედ ეროვნული ინტერესებისა და მნიშვნელობების მქონე საკითხი. - იმედი იმისა, რომ აქ ჩემი მხრიდან რაიმეგვარი კომპრომისი იქნება, ნუ გექნებათ!

3. დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, მიმდინარე წლის ზაფხულში ქალბატონ ი. დარჩიასთან მე მომეცა საშუალება გავცნობოდი თქვენს წერილს, რომლითაც თქვენ ბატონ რექტორს ჩემი 2008 წლის 6 მაისის მიმართვაზე პასუხობთ. ამ მიმართვაში მე ვასაბუთებდი ჩემი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო პროცესის შედეგობრივ დასრულებას, რის გაბათილებასაც თქვენ თქვენს ამ წერილში სამ პუნქტად გაწერილი კონტრარგუმენტაციით ცდილობთ, რომელთაგან ორზე ზემოთ უკვე მქონდა საუბარი.

ამასთან, თქვენი ამ სამი კონტრარგუმენტიდან პირველი ის არის, რომ თურმე მე არც კონკურსამდე არ ვყოფილვარ უნივერსიტეტის თანამშრომელი! – კონკურსამდელი ჩვენებით მე ვიყავი თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი და ამ პროგრამის კვლევითი მიზნების ფარგლებში უკვე მქონდა დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით აუცილებლად საწარმოებელი საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო და კვლევითი პროცესები. ამავდროულად, მე უკვე შემუშავებული მქონდა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხები. ამასთან, იმავე კონკურსამდელი ჩვენებით უკვე დასაბუთებული იყო თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი მიზნების და „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ საუნივერსიტეტო სასწავლო ხაზების პირდაპირი კავშირები ქართული ენის არდაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნულ მიზანთან. – ეს არის ჩემი სააპელაციო განაცხადის ძირითადი საფუძველი, თქვენ კი ამ ყველაფერზე არაფერს ამბობთ, თუმცა ამბობთ იმას, რომ მე თურმე არც კონკურსამდე არ ვყოფილვარ

უნივერსიტეტის თანამშრომელი, რაც, ერთი მხრივ, ტყუილია, მეორე მხრივ კი, აშკარად ადასტურებს იმას, რომ თქვენ ჩემი აპელაციის ძირითადი საფუძვლების უარყოფელი არცერთი წონადი არგუმენტი არ გაგაჩნიათ! – ხომ სრულიად ნათელია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ უნივერსიტეტში იმ საუნივერსიტეტო კადრს, რომელმაც შეძლო ისეთი სასწავლო და სამეცნიერო პროცესების დაფუძნება, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ენის არდაკინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნულ მიზანთან, საკონკურსო შედეგებით უნივერსიტეტის მიღმა არ დატოვებდნენ, ან თუ დატოვებდნენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საკონკურსო რეალობით ამ უნივერსიტეტში ამ ქვეყნის სახელმწიფო ენა არად უღირთ!

ის, რომ ქართული ენის არდაკინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით ძლივს დაფუძნებული „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესების აღუდგენლად ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების ხარისხი საგძნობლივ იზრდება, გასაგებს ხდის იმას, რომ ამ სასწავლო ხაზების უნივერსიტეტში დაბრუნება არის არა პიროვნული, არამედ ეროვნული ინტერესებისა და მნიშვნელობების მქონე საკითხი. – ამდენად იმედი იმისა, რომ აქ ჩემი მხრიდან რაიმეგვარი კომპრომისი იქნება, ნუ გექნებათ!

4. დეკანის მოვალეობის შემსრულებლო, კიდევ ერთი საკითხი იმ თქვენი წერილის შესახებ, რომლითაც თქვენ რექტორს პასუხობთ ჩემს 2008 წლის 6 მაისის მიმართვაზე და რომელშიც თქვენ იქ გამოკვეთილ თქვენეულ ტყუილებზე დაფუძნებულ უარყოფით დამოკიდებულებებს ვერ ამყარებთ ამ მიმართვით წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი საკითხების ვერცერთი საფაკულტეტო საფეხურის ღია და საჯარო განხილვით: – როგორ ბედავთ იმ მნიშვნელოვან და, ამაგდროულად, მნიშვნელოვნად გამყარებულ საკითხებზე, რომელსაც მე ჩემი 2008 წლის 6 მაისის მიმართვით წარმოვადგენ, უარყოფითი საფაკულტეტო დამოკიდებულების გამოკვეთას შესაბამისი საფაკულტეტო ნორმებისა და ინსტრუმენტების აუთუშავებლად?! – ანუ, თავიც რომ დავანებოთ „ბუნებრივი ენების ლოგიკისა“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ უკვე დადასტურებულ საუნივერსიტეტო აქტუალობას, როგორ გაბედეთ უარყოფითად გეპასუხნათ იმაზე, დაბრუნდეს თუ არა ფაკულტეტზე ეს სასწავლო ხაზები, ისე, რომ არ ისარგებლეთ 2007 წლის 22 მაისს იმ ჩემი ორი თანართული რეკომენდაციით გაკეთებული მომართვით, რომლითაც მე ვთხოვდით მოგეცათ საშუალება საფაკულტეტო სემინარზე წარმომედგინა მოხსენება თემაზე „ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ“?! – ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თქვენ გამიზნულად მოძრაობთ ქართული კულტურული თვალსაზრისებით ასეთი უმნიშვნელოვანესი თეორიის შემუშავებისთვის 50 წლიანი დაგვიანებით ძლივს დაწყებული ადგილობრივი პროცესების სრული ბლოკირების მიზნით?! – დამიჯერეთ, არ გამოვივათ!

საქმე რომელზედაც მე ვზრუნავ, ანუ საქმე რომელსაც შენ ხელს უშლი, იმდენად მართალია, რომ არ გირჩევ ამ სიმართლესთან ასეთ ზურგშექცეულ დგომას! – 2008 წლის 29 აპრილის ჩვენი პირველი სადერეფანო კონფლიქტის შემდეგ 2008 წლის 6 მაისს სრულიად შემთხვევით უნივერსიტეტის კარებში შემხვდი. საპასუხო გამარჯობის ნაცვლად მე გკითხე, თუ რატომ იქცეოდი ასე, რაზეც შენ მიპასუხე: „ჩემზე დამოკიდებული რომ იყოს, შენ ხომ იცი, რომ მე ამ საკითხს აქამდეც გადავიწყვიტავდიო!“ – გასაგებია რას ნიშნავს ეს, თუმცა, გამომდინარე საქმის ისტორიის მანამდელი და შემდგომი ნაწილებიდან, მგონია, რომ შენ ტყუი და საქმეს ხელს უშლი არა იმიტომ, რომ ამას ვინმე გაიძულებს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმის ფეხზე დაყენება შენს პირად ინტერესებში არ არის! – მოგიწოდებ ღმერთი გაიხსენო, პირჯვარი გადაიწერო და თუ ვინმე მართლა გაიძულებს ასე მტრულად მოექცე შენსავე მშობლიურ ენას, უფალი მიგახვედრებს რა უპასუხო მას! – ეს წერილი და მისი გამღიზიანებელი ტონალობა ისეთია, რომ გაგიჭირდება მოთხოვნილი საფაკულტეტო სემინარის ორგანიზებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება. არადა, ვითარებიდან გამომდინარე, შენი ერთადერთი სწორი ნაბიჯი ასეთი ასე დაგვიანებული ღია და საჯარო საფაკულტეტო სემინარის ორგანიზებაა.

2008 წლის 6 ნოემბერი.

კომენტარი: ამ მიმართვით ვითხოვდით ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების საფაკულტეტო განხილვის მიზნით 14-15 ნოემბრამდე ოფიციალურ საფაკულტეტო სემინარს თემაზე „ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“: კვლავ არანაირი პასუხი: შესაბამისად, 2008 წლის 28 ნოემბერს კვლავ რექტორს მივმართეთ თხოვნით „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და გამოთვლითი ენათმეცნიერების“ სამაგისტრო პროგრამის მხარდაჭერისა და ზემოაღნიშნული სემინარის ორგანიზების თაობაზე (იხ. დანართი 13):



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს  
პროფესორ გიორგი ხუბუას**

ბატონო რექტორო, წარმოგიდგინებ სამაგისტრო პროგრამას „ბუნებრივი ენების ლოგიკა და გამოთვლითი ენათმეცნიერება“.

მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამების განხილვის მიმდინარე ციკლის ვადებს ავცდით (რაც, ბუნებრივია, მიზეზთა გამოა და არა უმიზეზოდ), საკითხთა განსაკუთრებული მნიშვნელობებიდან გამომდინარე, გთხოვთ, დართოთ ნება ხარისხის მართვის სამსახურს წარმოდგენილი პროგრამის მიმდინარე სამაგისტრო ციკლში განხილვაზე.

პატივისცემით,

ქართული ენის უფლებების დამცველნი:

- /კ. ფხაკაძე/
- /გ. ჩიჩუა/
- /ს. მასხარაშვილი/
- /ლ. აბზიანიძე/

**მინაწერი:** ბატონო რექტორო, გთხოვთ საკითხის ნურც განხილვას, ნურც გადაწყვეტას ბოჭორიშვილს ნუ დაავალბთ, რადგან ჩვენ ადრეც გვითქვამს და ახლაც ვალდებულნი ვართ მიგანიშნოთ რ. ბოჭორიშვილის იმ სრულიად არაადეკვატურ ქცევებზე, რასაც იგი უკვე ორი წელია იჩენს ჩვენი საკითხისადმი, ანუ იმ საკითხისადმი, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნულ მიზანთან!

ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 24 დეკემბერს შემდეგით მოგმართეთ:

**(ციტატის დასაწყისი)**

**„ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,  
პროფესორ გიორგი ხუბუას**

ბატონო რექტორო,

თხოვნით, რომ ქართული ენის მათემატიკური თეორიის შემუშავების, ქართული მათემატიკური ლინგვისტური სკოლის გადაუდებელი ფორმირებისა და თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამით „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ უკვე მიმდინარე უმნიშვნელოვანესი კვლევითი პროცესების შემდგომი აუცილებელი გარმაკების მიზნით საბოლოოდ გადაგეწყვიტათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში) „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის“ სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის ჩამოყალიბების საკითხი, მე თქვენ მოგმართეთ ა/წ 22 ივნისს 7379/02 წერილით, რომლის ასლს თან ვურთავ წინამდებარეს. – საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია, არადა უკვე იწურება მიმდინარე წელი და უნივერსიტეტი 2008 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესშია!

ბატონო რექტორო, იმ შემთხვევაში, თუ 2008 წლის საუნივერსიტეტო ბიუჯეტში არ იქნება გათვალისწინებული ზემოხსენებული ლაბორატორიის ფორმირებისთვის აუცილებელი თანხები, მე ჩემი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე ვალდებული ვიქნები ბრალი დავდო უნივერსიტეტის დღევანდელ ხელმძღვანელობას უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო თემატიკის ჯერ ბლოკირებაში, მერე კი მის სრულ ანულირებაში! – შეგახსენებთ, რომ საკითხი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ღირებულებებით იტვირთება და იგი დღეს მსოფლიოში ბუნებრივენობრივი ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემების კონსტრუირების გლობალურად მიმდინარე პროცესების ფონზე პირდაპირობით უკავშირდება ქართული ენის კულტურული ფუნქციებით შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ეროვნულ მიზანს.

პატივისცემით,

ქართული ენის უფლებების დამცველი,  
თსუ მკვლევარი /კ. ფხაკაძე/

**P.S.** ბატონო რექტორო, ამ მომართვას თან ვურთავ ვრცელ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ხასიათის პრობლემატურ ნაშრომს ვრცელი სათაურით „**ცისფერი მთები ანუ, იმის შესახებ, თუ როგორ განიხილეს მიზნობრივი პროგრამა, ამ მიზნობრივი პროგრამის უნახავად! ანუ, კვლავ ქართული ენის უფლებების დასაცავად**“ და ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანისადმი ა/წ 29 ოქტომბერს გაკეთებულ ჩემ ბოლო მიმართვას.

2007 წლის 24 დეკემბერი.“

**(ციტატის დასასრული)**

ამ მომართვას სხვებთან ერთად მხარდაჭერითი შინაარსით ხელს აწერდნენ:

1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის, მათემატიკური ლოგიკის და გეომეტრიის მიმართულების სრული პროფესორი რ. ომანაძე;
2. ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ლოგიკის განყოფილების უმთ დ. პატარაია;
3. ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ლოგიკის განყოფილების უმთ დ. გაბელაია;
4. ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ლოგიკის განყოფილების გამგე ლ. ესაკია;
5. ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის ლოგიკის განყოფილების უმთ მ. ჯიბლაძე;
6. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სამაგისტრო ჯგუფის უფროსი მ. მანია;
7. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ლ. ეზუგბაია;
8. არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი მ. მანჯგალაძე;
9. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი ო. ფურთუხია;
10. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის სრული პროფესორი დ. გორდეზიანი;
11. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გ. ბარელაძე;
12. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის სრული პროფესორი უ. გოგინავა;
13. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის სრული პროფესორი თ. თაღუმაძე;
14. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის სრული პროფესორი ე. ნადარაია;
15. თსუ სოხუმის ფილიალის ასოცირებული პროფესორი ხ. რუხაია;
16. თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი დ. თვალთვაძე;
17. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ბ. ცხადაძე;
18. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორი გ. ნადიბაძე;
19. თსუ ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თ. ბოლქვაძე.

თქვენ ეს მომართვა და მასზედ თანრთული მასალები გადაუგზავნეთ თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტს.

დეპარტამენტში შედგა საკითხის ერთთვიანი დახურული საექსპერტო განხილვა. რის შემდგომაც დეპარტამენტმა საკითხის დამატებითი განხილვის მიზნით 2008 წლის 7 თებერვალს ორგანიზება გაუკეთა ღია საუნივერსიტეტო სემინარს, სადაც ჩვენ კიდევ ერთხელ წარმოვადგინეთ ჩვენეული ხედვა და საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობები: კერძოდ, ხაზი გავუსვით იმ საფრთხეთა რეალობას, რის გამოც ამ წერილსაც ხელს როგორც ქართული ენის უფლებების დამცველნი ვაწერთ.

სემინარს ესწრებოდა პროფესორი დ. გორდეზიანი: მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სასემინარო დისკუსიაში და კიდევ ერთხელ ღიად და საჯაროდ დაუჭირა მხარი საკითხის საუნივერსიტეტო აქტუალობას.

სემინარი დაიხურა ბ-ნ ნოდარ სურგულაძის დასკვნითი სიტყვით: მან ემოციურად გაუსვა ხაზი იმას, რომ „**მის პრაქტიკაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა საკითხის აქტუალობა კითხვის ნიშნის ქვეშ განხილვაში მონაწილე არცერთ ექსპერტს არ დაუყენებია**“ და შეაჯამა რა ერთთვიანი სადეპარტამენტო პროცესი ღიად და საჯაროდ დაადასტურა „**ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის საუნივერსიტეტო აქტუალობა, როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო თვალსაზრისებით**“.

ამ სასემინარო განხილვას სხვებთან ერთად ესწრებოდნენ პროფესორები გ. ჯაიანი და თ. ვაშაყმაძე; ბ-ნ ნ. სურგულაძის ზემოციტირებული სიტყვის და სემინარის დასრულების შემდეგ ისინი პირადად მოვიდნენ და მოგვილოცეს კიდევ ერთი წარმატებული დღე.

ეს იყო უნივერსიტეტში, ივ. ჯავახიშვილის სხდომათა დარბაზში, და იყო 2008 წლის 7 თებერვალს: მიუხედავად ამ ყველაფრისა, ანუ მიუხედავად ასეთი სრული მხარდაჭერითი განწყობისა ბოჭორიშვილმა მოახერხა ის, რომ უნივერსიტეტში დღემდე, ანუ 2008 წლის 28 ნოემბრამდე, **ბუნებრივი ენების ლოგიკის და მათემატიკური ლინგვისტიკის აქტუალიზების მიზნითა და მიმართულებით არაფერი გაკეთებულა!**

ეს და არა მარტო ეს იყო მიზეზი იმისა, რომ 2008 წლის 6 ნოემბერს რ. ბოჭორიშვილს შემდეგით მივმართე. (ქვემოთ მომყავს ეს მიმართვა სრულად ციტირებული სახით):

(ციტატის დასაწყისი)

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელს პროფესორ რ. ბოჭორიშვილს**

დეკანის მოვალეობის შემსრულებელო, იმ არაადეკვატური დამოკიდებულებებისადმი პროტესტის ნიშნად, რასაც თქვენ იჩენთ ქართული ენის არდაკანინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნის და პასუხისმგებლობის შესაბამისად 2004-2006 წლებში თსუ-ში ერთხელ უკვე დაფუძნებული **ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის** სასწავლო ხაზებისადმი, გაცნობებთ, რომ მიმდინარე სემესტრში უარს ვამბობ **„ბუნებრივი ენების ლოგიკის“** და **„მათემატიკური ლინგვისტიკის“** თავისუფალი კურსების წაყვანაზე.

**თავისუფალი სასწავლო კურსის** მიზანია შესაბამისი **სრულფასოვანი სასწავლო კურსის „რეკლამირება“**. ამდენად, არსებობა **„ბუნებრივი ენების ლოგიკის“** და **„მათემატიკური ლინგვისტიკის“** თავისუფალი კურსების და არ არსებობა შესაბამისი სრულფასოვანი სასწავლო კურსების, არაფრით არ განსხვავდება იმ „საქონლის“ რეკლამირებისგან, რომელიც გაყიდვაში არ არის!

არშემოთავაზება **„ბუნებრივი ენების ლოგიკის“** და **„მათემატიკური ლინგვისტიკის“** სასწავლო კურსების, რომელთა თაობაზე ჩემთვის შემოთავაზების გაკეთების თხოვნით თქვენ რექტორმა ჯერ კიდევ 2008 წლის 20 თებერვალს მოგმართათ, და ამ არშემოთავაზების არგუმენტირება იმით, რომ მე უკვე მიმყავდა **„ბუნებრივი ენების ლოგიკის“** და **„მათემატიკური ლინგვისტიკის“** თავისუფალი, ანუ „სარეკლამო“ კურსები, ცალსახად ადასტურებს იმას, რომ თქვენ ცუდად ერკვევით სტუდენტის არჩევანზე ორიენტირებული სასწავლო სისტემის იდეოლოგიურ საფუძვლებში. – რატომ უნდა გაიხარჯოს საუნივერსიტეტო სახსრები **„ბუნებრივი ენების ლოგიკის“** და **„მათემატიკური ლინგვისტიკის“** „სარეკლამო“ კურსებზე და რა გამართლება აქვს სტუდენტების ამ სასწავლო ხაზებით დაინტერესებას, თუ მათ ამავე ხაზების გასწვრივ სრულფასოვანი სასწავლო კურსებს აღარ შევთავაზებთ?

ამგვარად, ნაცვლად იმისა, რომ გემოქმედათ რექტორის 2008 წლის 20 თებერვლის თხოვნის შესაბამისად, რაც საკითხის ერთგვანი დახურული საექსპერტო განხილვის და 2008 წლის 7 თებერვლის ღია საუნივერსიტეტო სემინარის შედეგებს ემყარებოდა, თქვენ იმოქმედეთ სრულიად საპირისპიროდ, რაც, საბოლოო ჯამში, ჩემს მიერ ზემოთ დასაბუთებულად წარმოჩენილი საფაკულტეტო აბსურდის მიზეზად იქცა! – გაუგებარია რა საჭირო იყო ეს ერთგვანი საექსპერტო განხილვა და 2008 წლის 7 თებერვლის ღია საუნივერსიტეტო სემინარი, **რომელსაც თქვენ არც კი დაესწარით**, და რისთვის გაიღო უნივერსიტეტმა ამ ღონისძიებებისთვის საჭირო თანხები, თუ მერე საკითხს თქვენ მაინც თქვენი ნება-სურვილის მიხედვით გადაწყვეტდით!

თქვენი ასეთი უდიერი დამოკიდებულებების გამო ზოგჯერ ისეთი გრძნობა მიჩნდება, რომ პირველ ქართულ უნივერსიტეტში საქართველო აღარ არის, რადგან ხომ სრულიად ნათელია, რომ **საქართველოში ქართული ენის უფლებების დაცვისათვის მე ბრძოლა არ უნდა მიხდებოდეს!**

დეკანის მოვალეობის შემსრულებელო, თუ **ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების საფაკულტეტო განხილვის მიზნით** 14-15 ნოემბრამდე არ დაინიშნება ოფიციალური საფაკულტეტო სემინარი თქმაზე **„ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“** და თუ არ შედეგა ღია და საჯარო საუბრები ამ საფრთხეების აღმოფხვრისათვის **ფაკულტეტზე განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე**, იმ მიზნით, რომ 2009 წლის საფაკულტეტო ბიუჯეტში განისაზღვროს შესაბამისი თანხობრივი განაკვეთები **„ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის“** მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიისა და **„ბუნებრივი ენების ლოგიკისა“** და **„მათემატიკური ლინგვისტიკის“** მიმართულებით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო

საფეხურის მიზნობრივი სასწავლო პროცესების სარეალიზაციოდ, მაშინ თქვენ მიიღებთ იმას, რასაც არაეროვნულ და არასახელმწიფოებრივ ნიადაგზე მდგარი თანამდებობის პირი იმსახურებს.

გაუგებარია, რისთვის იხარჯება მათემატიკის და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებებზე გამოყოფილი საუნივერსიტეტო საბიუჯეტო თანხები და ქართული სახელმწიფოებრივი თვალსაზრისებით რა უფრო მნიშვნელოვანი სასწავლო მიზნებითაა დაკავებული ეს მიმართულებები, ვიდრე ეს იქნებოდა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების და საბაზისო ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების მიზნებით პირველი ქართველი სპეციალისტების აღზრდა?! – ან იქნებ თქვენ თვლით, რომ ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების მიუხედავად ამ მიმართულებებზე სასწავლო მიზნები და პრიორიტეტები ამ საფრთხეების გაუთვალისწინებლად უნდა განისაზღვროს?! – როგორც ჩანს თქვენ ასე თვლით, რადგან მიუხედავად თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ ამ მიზნებით ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის უკვე დადასტურებული საუნივერსიტეტო აქტუალობისა, თქვენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მათი აქტუალიზების მიმართულებით არცერთი ნაბიჯი არ გადავიდგამთ! – ანდა იქნებ თქვენ მიიჩნევთ, რომ არანაირი ზემოაღნიშნული სახის საფრთხეები ქართული ენის წინაშე არ დგას?! – მაშინ, კეთილი ინებეთ და გამობრძანდით ზემომოთხონილ ღია საფაკულტეტო სემინარზე და საჯაროდ დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება!

ქართული ენის უფლებების დამცველი,  
/კ. ფხაკაძე/  
2008 წლის 6 ნოემბერი.

**მინაწერი:** საქმე, რომელზედაც მე ვზრუნავ, ანუ საქმე, რომელსაც შენ ხელს უშლი, იმდენად მართალია, რომ არ გირჩევ ამ სიმართლესთან ასეთ ზურგშექცეულ დგომას! – ჯერ კიდევ გაქვს დრო დაძლიო შინაგანი წინააღმდეგობანი და იმოქმედო არა ჩვენი ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ურთიერთობებიდან, არამედ საქმის მნიშვნელობებიდან გამომდინარე, რადგან, საბოლოო ჯამში, აქ ყველაფერი შეფასდება არა ჩვენი ურთიერთობებით, არამედ თავად ამ საქმის მნიშვნელობებით! – 2008 წლის 26 ივნისს თქვენი ფაკულტეტის სტუდენტების ინიციატივითა და რექტორის მხარდაჭერით ივ. ჯავახიშვილის სხდომათა დარბაზში შედგა სადისკუსიო ხასიათის სემინარი თემაზე „ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანა და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“. – თქვენ ამ სემინარს არ დაესწარით, არ შეხვედით სტუდენტებთან თემის გასწვრივ დიალოგში: არც ის უთხარით მათ, რომ არანაირი საფრთხეები ქართული ენის წინაშე არ დგას და არც ის, თუ რა გეგმები ჰქონდა ფაკულტეტს ამ საფრთხეების აღმოფხვრის მიმართულებით. – ამასთან დაკავშირებით გეკითხებით: გაქვთ თუ არა რაიმეგვარი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება თქვენს სტუდენტებთან და ქართულ ენასთან მიმართებაში?!

1. დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ის სტუდენტები, რომლებიც თქვენგან განსხვავებით ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კულტურული დაკნინების საფრთხის წინაშე მდგარი ქართული ენა როგორმე ამ საფრთხეს ააშორონ, დღეს თქვენი ფაკულტეტის მაგისტრანტები არიან.

ეს ის სტუდენტები არიან, რომლებსაც 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსით ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით უკვე გაკეთებული სასწავლო არჩევანი წაართვით, რითაც უკვე ერთხელ უხეშად დაარღვიეთ მათი საუნივერსიტეტო უფლებები.

ის, რომ მათ მათ მიერვე არჩეული სპეციალობით სწავლის გაგრძელების საშუალება წაერთვათ აშკარად დასტურდება იმით, რომ ა. მასხარაშვილის საბაკალავრო ნაშრომი „ზოგიერთი რთული წინადადების მათემატიკური ანალიზი“, ნ. ფხაკაძის საბაკალავრო ნაშრომი „შემამოკლებელი სიმბოლოების შესახებ ქართულ ენაში“ და ლ. აბზიანიძის საბაკალავრო ნაშრომი „მათემატიკური მეთოდებით აგებული მართლმწერი ქართული მარტივი წინადადებისათვის“ ოფიციალურად გაფორმდა როგორც საბაკალავრო ნაშრომები სპეციალობით „აღგებრა-გეომეტრია“! – რა შუაშია ეს საბაკალავრო ნაშრომები და „აღგებრა-გეომეტრია“! – ის, რომ თქვენ რექტორს ატყუებთ, როდესაც ჩემი სააპელაციო თხოვნის კონტრარგუმენტად იმას ეუბნებით, რომ ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით კონკურსამდელი ვითარება კონკურსის შემდეგ არ შეცვლილა, სრულად დასტურდება ამ სამარცხვინო საფაკულტეტო ფაქტით!

თქვენ რექტორს მაშინაც ატყუებთ, როცა ჩემი ზემოხსენებული სააპელაციო თხოვნის კიდევ ერთ კონტრარგუმენტად იმას ეუბნებით, რომ ბუნებრივი ენების ლოგიკა და მათემატიკური ლინგვისტიკა არ ექცევა მათემატიკის ფარგლებში და რომ ეს სასწავლო დისციპლინები კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების ფარგლებშია: 2004 წლის 18 ივნისს იმდროინდელი მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა ბუნებრივი ენების ლოგიკით გააფართოვა მათემატიკური ლოგიკის სპეციალიზაცია და ამით პირველად

საქართველოში დააფუძნა მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკის სპეციალიზაცია, რომელიც მთელი მოცულობით ჯდება მათემატიკის დაფუძნებისა და მათემატიკური ლოგიკის ფარგლებში, რაც იმედია იცით, რომ მათემატიკის ფარგლებშია!

ამასთან, დავუშვათ ბუნებრივი ენების ლოგიკა და მათემატიკური ლინგვისტიკა მთელი მოცულობით მოქცეულია მხოლოდ კომპიუტერულ მეცნიერებების მიმართულების ფარგლებში: ასეთ პირობებში, როცა უკვე ცნობილია, რომ ამ დარგების ქართველი სპეციალისტების დაჩქარებული ფორმირების გარეშე ვერაფრით ვერ მოხერხდება ქართული ენის არდაკნინებული არსებობის უზრუნველყოფა, ეროვნული ინტერესებით მოქმედ დეკანს ამავე ინტერესებით მოქმედი რექტორისთვის ის უნდა ეთქვა, რომ ეს სასწავლო ხაზები კურსულში არ ჯდება, თუ იმაზე უნდა ეზრუნა, რომ კომპიუტერულ მეცნიერებების მიმართულების ფარგლებში თემატიკის ჩასმის გზები გამოეძებნა?!

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ თქვენთვის, როგორც ჩანს, სულ ერთია როგორც ქართული ენის ბელ-ილბალი, ისე უნივერსიტეტის ფუნდამენტური ვალდებულება დააკმაყოფილოს სტუდენტის სასწავლო ინტერესი, მოგიწოდებთ, დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები რათა თქვენს მაგისტრანტებს მიეცეთ საშუალება თავიანთი სამაგისტრო სწავლების კონკურსამდე არჩეული სასწავლო მიმართულების ფარგლებში წარმართვისა, რათა ისინი ამავე მიმართულებით უწყვეტ რეჟიმში გადავიდნენ სადოქტორო საფეხურის სწავლებაზე. – ყველა სხვა შემთხვევაში ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების ხარისხი საგრძნობლივ იზრდება, რაც გასაგებს ხდის იმას, რომ აქ წამოჭრილი პრობლემა არის არა პიროვნული, არამედ ეროვნული ინტერესებისა და მნიშვნელობების მქონე საკითხი. - იმედი იმისა, რომ აქ ჩემი მხრიდან რაიმეგვარი კომპრომისი იქნება, ნუ გექნებათ!

2. დეკანის მოვალეობის შემსრულებლო, მე არაერთხელ მოგმართეთ თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელის გ. ჩიჩუას თაობაზე, რომელსაც უკვე მზად აქვს თავისი მეტად აქტუალური სადისერტაციო ნაშრომის „მეტყველების გამოცნობა და სინთეზი“ სააპრობაციო ვარიანტი.

მიუხედავად იმისა, რომ გ. ჩიჩუას ზემოაღნიშნული სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი ვარ (თუმცა ეს ჩემი ხელმძღვანელობა მხოლოდ ვიწრო მათემატიკური და ლინგვისტური ასპექტებით იფარგლება), ოფიციალურად არ მეძლევა უფლება ვიყო გ. ჩიჩუას ზემოაღნიშნული სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ არ ვარ უნივერსიტეტის აკადემიური საშტატო ერთეული, რაც, თავის მხრივ, 2006 წლის საუნივერსიტეტო კონკურსის იმ არასწორი გადაწყვეტილების შედეგია, რომლის თაობაზე გაკეთებული ჩემი სააპელაციო მოთხოვნის გაბათილებასაც თქვენ თქვენთვის ჩვეული ტყუილებით ცდილობთ.

ეს მნიშვნელოვან სირთულეებს უქმნის ამ ახალგაზრდა მკვლევარს განვითარდეს მისი მეტად მნიშვნელოვანი საკვლევე თემატიკის გასწვრივ, არადა მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ გ. ჩიჩუა დღესდღეობით არის მეტყველების გამოცნობაში მათემატიკური მეთოდებით მომუშავე ერთადერთი ქართველი სპეციალისტი და ეს მაშინ, როდესაც მთელი რიგი ენებისთვის კომპიუტერული ამომცნობის კონსტრუირების ამოცანა საბედნიეროდ ჯერჯერობით არასრული, მაგრამ უკვე საკმარისი მოცულობითაა გადაჭრილი.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ თქვენთვის, როგორც ჩანს, სულ ერთია როგორც ქართული ენის ბელ-ილბალი, ისე თსუ სახელმწიფო-მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ თანახელმძღვანელის გ. ჩიჩუას სადისერტაციო პრობლემები, მოგიწოდებთ დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები, რათა მას მიეცეს საშუალება თავისი მეტად მნიშვნელოვანი სადისერტაციო მიზნების წარმატებული გასრულებისა, რაც ბუნებრივად ითხოვს ფაკულტეტზე მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით სადოქტორო საფეხურის სწავლების ორგანიზებას. – ყველა სხვა შემთხვევაში ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების ხარისხი საგრძნობლივ იზრდება, რაც გასაგებს ხდის იმას, რომ წამოჭრილი პრობლემა არის არა პიროვნული, არამედ ეროვნული ინტერესებისა და მნიშვნელობების მქონე საკითხი. - იმედი იმისა, რომ აქ ჩემი მხრიდან რაიმეგვარი კომპრომისი იქნება, ნუ გექნებათ!

3. დეკანის მოვალეობის შემსრულებლო, მიმდინარე წლის ზაფხულში ქალბატონ ი. დარჩიასთან მე მომეცა საშუალება გავცნობოდი თქვენს წერილს, რომლითაც თქვენ ბატონ რექტორს ჩემი 2008 წლის 6 მაისის მიმართვაზე პასუხობთ. ამ მიმართვაში მე ვასაბუთებდი ჩემი 2006 წლის 7 აგვისტოს სააპელაციო პროცესის შედეგობრივ დასრულებას, რის გაბათილებასაც თქვენ თქვენს ამ წერილში სამ პუნქტად გაწერილი კონტრარგუმენტაციით ცდილობთ, რომელთაგან ორზე ზემოთ უკვე მქონდა საუბარი.

ამასთან, თქვენი ამ სამი კონტრარგუმენტიდან პირველი ის არის, რომ თურმე მე არც კონკურსამდე არ ვყოფილვარ უნივერსიტეტის თანამშრომელი! – კონკურსამდელი ჩვენებით მე ვიყავი თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურებითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ

ენობრივ გარემოში“ ხელმძღვანელი და ამ პროგრამის კვლევითი მიზნების ფარგლებში უკვე მქონდა დაფუძნებული ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის მიმართულებით აუცილებლად საწარმოებელი საუნივერსიტეტო საფეხურის სასწავლო და კვლევითი პროცესები. ამავდროულად, მე უკვე შემუშავებული მქონდა ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხები. ამასთან, იმავე კონკურსამდელი ჩვენებით უკვე დასაბუთებული იყო თსუ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში“ კვლევითი მიზნების და „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ საუნივერსიტეტო სასწავლო ხაზების პირდაპირი კავშირები ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნულ მიზანთან. – ეს არის ჩემი სააპელაციო განაცხადის ძირითადი საფუძველი, თქვენ კი ამ ყველაფერზე არაფერს ამბობთ, თუმცა ამბობთ იმას, რომ მე თურმე არც კონკურსამდე არ ვყოფილვარ უნივერსიტეტის თანამშრომელი, რაც, ერთი მხრივ, ტყუილია, მეორე მხრივ კი, აშკარად ადასტურებს იმას, რომ თქვენ ჩემი აპელაციის ძირითადი საფუძვლების უარყოფელი არცერთი წონადი არგუმენტი არ გაგაჩნიათ! – ხომ სრულიად ნათელია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ უნივერსიტეტში იმ საუნივერსიტეტო კადრს, რომელმაც შეძლო ისეთი სასწავლო და სამეცნიერო პროცესების დაფუძნება, რომლებიც პირდაპირ კავშირშია სახელმწიფო ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნულ მიზანთან, საკონკურსო შედეგებით უნივერსიტეტის მიღმა არ დატოვებდნენ, ან თუ დატოვებდნენ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საკონკურსო რეალობით ამ უნივერსიტეტში ამ ქვეყნის სახელმწიფო ენა არად უღირს!

ის, რომ ქართული ენის არადაკნინებული არსებობის უზრუნველყოფის ეროვნული მიზნით ძლივს დაფუძნებული „ბუნებრივი ენების ლოგიკის“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესების აღუდგენლად ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების ხარისხი საგრძნობლივ იზრდება, გასაგებს ხდის იმას, რომ ამ სასწავლო ხაზების უნივერსიტეტში დაბრუნება არის არა პიროვნული, არამედ ეროვნული ინტერესებისა და მნიშვნელობების მქონე საკითხი. – ამდენად იმედი იმისა, რომ აქ ჩემი მხრიდან რაიმეგვარი კომპრომისი იქნება, ნუ გექნებათ!

4. დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, კიდევ ერთი საკითხი იმ თქვენი წერილის შესახებ, რომლითაც თქვენ რექტორს პასუხობთ ჩემს 2008 წლის 6 მაისის მიმართვაზე და რომელშიც თქვენ იქ გამოკვეთილ თქვენულ ტყუილებზე დაფუძნებულ უარყოფით დამოკიდებულებებს ვერ ამყარებთ ამ მიმართვით წამოჭრილი უმნიშვნელოვანესი საკითხების ვერცერთი საფაკულტეტო საფეხურის ღია და საჯარო განხილვით: – როგორ ბედავთ იმ მნიშვნელოვან და, ამავდროულად, მნიშვნელოვნად გამყარებულ საკითხებზე, რომელსაც მე ჩემი 2008 წლის 6 მაისის მიმართვით წარმოვადგენ, უარყოფითი საფაკულტეტო დამოკიდებულების გამოკვეთას შესაბამისი საფაკულტეტო ნორმებისა და ინსტრუმენტების აუთენტიკურობა?! – ანუ, თავიც რომ დავანებოთ „ბუნებრივი ენების ლოგიკისა“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ უკვე დადასტურებულ საუნივერსიტეტო აქტუალობას, როგორ გაბედეთ უარყოფითად გეპასუხნათ იმაზე, დაბრუნდეს თუ არა ფაკულტეტზე ეს სასწავლო ხაზები, ისე, რომ არ ისარგებლეთ 2007 წლის 22 მაისს იმ ჩემი ორი თანართული რეკომენდაციით გაკეთებული მომართვით, რომლითაც მე გთხოვდით მოგეცათ საშუალება საფაკულტეტო სემინარზე წარმომედგინა მოხსენება თემაზე „ქართული ენის მათემატიკური თეორიის სასაფუძვლო საკითხებისა და ქართული მათემატიკური ლინგვისტიკური სკოლის გადაუღებელი ფორმირების აუცილებლობის შესახებ“?! – ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თქვენ გამიზნულად მოძრაობთ ქართული კულტურული თვალსაზრისებით ასეთი უმნიშვნელოვანესი თეორიის შემუშავებისთვის 50 წლიანი დაგვიანებით ძლივს დაწყებული ადგილობრივი პროცესების სრული ბლოკირების მიზნით?! – დამიჯერეთ, არ გამოვივათ!

საქმე რომელზედაც მე ვზრუნავ, ანუ საქმე რომელსაც შენ ხელს უშლი, იმდენად მართალია, რომ არ გირჩევ ამ სიმართლესთან ასეთ ზურგშექცეულ დგომას! – 2008 წლის 29 აპრილის ჩვენი პირველი სადერეფანო კონფლიქტის შემდეგ 2008 წლის 6 მაისს სრულიად შემთხვევით უნივერსიტეტის კარებში შემხვდი. საპასუხო გამარჯობის ნაცვლად მე გკითხე, თუ რატომ იქცეოდი ასე, რაზეც შენ მიპასუხე: „ჩემზე დამოკიდებული რომ იყოს, შენ ხომ იცი, რომ მე ამ საკითხს აქამდეც გადაგიწყვიტავდიო!“ – გასაგებია რას ნიშნავს ეს, თუმცა, გამომდინარე საქმის ისტორიის მანამდელი და შემდგომი ნაწილებიდან, მგონია, რომ შენ ტყუი და საქმეს ხელს უშლი არა იმიტომ, რომ ამას ვინმე გაიძულებს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმის ფეხზე დაყენება შენს პირად ინტერესებში არ არის! – მოგიწოდებ ღმერთი გაიხსენო, პირველად გადაიწერო და თუ ვინმე მართლა გაიძულებს ასე მტრულად მოექცე შენსავე მშობლიურ ენას, უფალი მიგახვედრებს რა უპასუხო მას! – ეს წერილი და მისი გამდიზიანებელი ტონალობა ისეთია, რომ გაგიჭირდება მოთხოვნილი საფაკულტეტო სემინარის ორგანიზებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღება.

არადა, ვითარებიდან გამომდინარე, შენი ერთადერთი სწორი ნაბიჯი ასეთი ასე დაგვიანებული ღია და საჯარო საფაკულტეტო სემინარის ორგანიზებაა.

2008 წლის 6 ნოემბერი.“

(ციტატის დასასრული)

ბატონო რექტორო, შემოციტირებულ მიმართვაში, რომელსაც იმედია უკვე გაეცანით, ბოჭორიშვილს შემდეგით მივმართავდით:

(ციტატის დასაწყისი)

„დეკანის მოვალეობის შემსრულებლო, თუ ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეების საფაკულტეტო განხილვის მიზნით 14-15 ნოემბრამდე არ დაინიშნება ოფიციალური საფაკულტეტო სემინარი თემაზე „ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“ და თუ არ შედგება ღია და საჯარო საუბრები ამ საფრთხეების აღმოფხვრისათვის ფაკულტეტზე განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე, იმ მიზნით, რომ 2009 წლის საფაკულტეტო ბიუჯეტში განისაზღვროს შესაბამისი თანხობრივი განაკვეთები „ბუნებრივი ენების ლოგიკისა და მათემატიკური ლინგვისტიკის“ მიზნობრივი სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიისა და „ბუნებრივი ენების ლოგიკისა“ და „მათემატიკური ლინგვისტიკის“ მიმართულებით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის მიზნობრივი სასწავლო პროცესების სარეალიზაციოდ, მაშინ თქვენ მიიღებთ იმას, რასაც არაერთოვნი და არასახელმწიფოებრივ ნიადაგზე მდგარი თანამდებობის პირი იმსახურებს.

(ციტატის დასასრული)

ბატონო რექტორო, იგივეთი, ოღონდ სრულიად განსხვავებული კონტექსტით, მოგმართავთ თქვენ: ანუ: გთხოვთ 14-15 დეკემბრამდე დაინიშნოთ ოფიციალური საუნივერსიტეტო სემინარი თემაზე „ქართული ენის და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავებისა და ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის კონსტრუირების ამოცანები და ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეები“, რათა შედგეს ღია და საჯარო საუნივერსიტეტო საუბრები ამ საფრთხეების აღმოფხვრისათვის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აუცილებლად განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე, იმ მიზნით, რომ 2009 წლის ბიუჯეტში მიზნობრივად განისაზღვროს შესაბამისი თანხობრივი განაკვეთები.

ბატონო რექტორო, ახლო მომავალში ჩვენ კიდევ ერთი მომართვით შემოგეხმინებით, სადაც უფრო დეტალურად გავაშუქებთ საკითხთა შემადგენლებს!

2008 წლის 28 ნოემბერი.

კომენტარი: ის, რომ ბ-ნმა რექტორმა გაითვალისწინა საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობები და რომ თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით 2008 წლის 24 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის სხდომათა დარბაზში შედგა მისი წინასწარი პრეზენტირება თქვენ უკვე იცით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის  
მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის  
ხელმძღვანელებს, სრულ პროფესორებს

უ. გოგინავას, დ. გორდუზიანს, თ. ვაშაყმაძეს, თ. თაღუმაძეს, ე. ნადარაიას, რ. ომანაძეს

ბ-ნებო, გთხოვთ მხარდაჭერას ჩვენი სამაგისტრო საფეხურის სასწავლო მიზნების განხორციელებაში: ანუ, გთხოვთ მხარდაჭერას იმაში, რომ:

1. უკვე მიმდინარე სემესტრში ოფიციალურად დაგვიმტკიცდეს ჩვენს მიერ უკვე არჩეული სამაგისტრო თემები. ამასთან, აქვე მოგახსენებთ, რომ ბ-ნ კ. ფხაკაძესთან უწყვეტად მიმდინარე არაფორმალური სასემინარო თანამშრომლობის შედეგად ჩვენ უკვე ავირჩიეთ ჩვენ-ჩვენი სამაგისტრო თემები (ესენია: **ქართული ზმნის მათემატიკური ანალიზი და წერით ენაში ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის სასაფუძვლო რეალიზაციები (I), ქართული ზმნის მათემატიკური ანალიზი და წერით ენაში ქართული ინტელექტუალური კომპიუტერული სისტემის სასაფუძვლო რეალიზაციები (II)**), რომლებიც ჩვენი საბაკალავრო ნაშრომების (ესენია: „ზოგიერთი რთული წინადადების მათემატიკური ანალიზი“ (ა. მასხარაშვილი), „მათემატიკური მეთოდებით აგებული მართლმწერი ქართული მარტივი წინადადებისათვის“ (ლ. აბზიანიძე)) შედეგების შემდგომი გაღრმავების, ინტეგრირებისა და ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის შემუშავების ამ ეტაპობრივი ამოცანების გადაჭრის მიზნებს ემსახურება.
2. უკვე მომავალი სემესტრიდან მოგვეცეს ჩვენი ხელმძღვანელის ბ-ნ კ. ფხაკაძის კურსებიდან ერთი, ან ორი კურსის არჩევის საშუალება. ამასთან, აქვე მოგახსენებთ, რომ მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაში არჩევითი კურსების სახით წარდგენილია ბ-ნ კ. ფხაკაძის სამი კურსი (ესენია: **1. ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური და მანქანური დაფუძნების არჩევითი სამაგისტრო კურსი; 2. ლოგიკის, ენისა და გამოთვლების არჩევითი სამაგისტრო კურსი; 3. ლოგიკისა და ენის არჩევითი სამაგისტრო კურსი**)

ამასთან, გთხოვთ, საკითხი გადაწყვიტოთ მათემატიკური თვალსაზრისებით შეუსწავლევლობის გამო ქართული ენის წინაშე მდგარი საფრთხეებისა და ბუნებრივი ენების ლოგიკის და მათემატიკური ლინგვისტიკის უკვე დადასტურებული საუნივერსიტეტო აქტუალობის გათვალისწინებით.

თსუ „მათემატიკის“ მაგისტრატურის  
სტუდენტები:

/ლ. აბზიანიძე/

/ა. მასხარაშვილი/

2008 წლის 3 დეკემბერი.

კომენტარი: ეს საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება, თუმცა უკვე მიმდინარეობს მუშაობა მათ გადაწყვეტაზე. კერძოდ, 2009 წლის 9 და 16 იანვარს ამ და არამხოლოდ ამ მიზნებით თსუ მათემატიკის მიმართულების ალგებრა-გეომეტრიის ქვემიმართულებაზე (ხელმძღვანელი სრული პროფესორი რ. ომანაძე) უკვე შედგა ორი სემინარი თემაზე „ქართული ენისა და აზროვნების მათემატიკური თეორიის ცნების რაობისა და სასაფუძვლო შედეგების შესახებ“. მესამე სემინარი დაგეგმილია მიმდინარე კვირაში.